საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

OTAR TURMANIDZE

# EAZIDOMS RELATIONSHIPS IN SOUTH-WESTERN CEORGIA DURING THE OTTOMANS (XVI C.-1878 Y.)

(IN CEORGIAN)

ОТАР ТУРМАНИДЗЕ

# ПОЗЕМЕЛЬНЫЕ ОТНОШЕНИЯ В ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ В ПЕРИОД ОСМАНСКОГО ГОСПОДСТВА (XVI В.-1878 Г.)

(НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ)

BATUMI-2001-БАТУМИ

ოთარ თურმანიძე

# საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში (XVI ს.-1878 წ.)

გამომცემლობა
„ბათუმის უნივერსიტეტი“
2001

ნაშრომში განხილულია საადგილმამულო ურთიერთობანი, ბეგარა-გადასახადების სახეები და სამამულო განმათავისუფლებელი მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი მ. სვანიძე

რეცენზენტები:
ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ფ. სიხარულიძე
ისტ. მეცნ. კანდიდატი. დოცენტი ნ. კახიძე

ISBN 99928-48-79-0
გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“

# წინათქმა

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მამულისათვის ბრძოლას ყოველთვის ეკავა უპირველესი ადგილი. ილია ჭავჭავაძემ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული მთლიანობა ლაკონიურად ჩამოაყალიბა სამ სიტყვაში: „მამული, ენა, სარწმუნოება". ცხადია, ამ ერთობაში განმსაზღვრელია მამული. მასზეა დაფუძნებული ხალხის არსებობა, მისი აწმყო და მომავალი.

უცხო დამპყრობლები საუკუნეების განმავლობაში სწორედ მამულს გვეცილებოდნენ და უმოწყალოდ გვებრძოდნენ მშობლიური მიწა-წყლის წართმევისათვის. ქართველი კაცი ყველა ეპოქაში თავგამოდებით იცავდა მამულს, სიცოცხლის ფასად ინარჩუნებდა თითოეულ გოჯა მიწას. ამ ბრძოლას ასიათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

მოძალადეების გამუდმებული შემოსევების შედეგად საქართველომ ვეღარ შეინარჩუნა ეროვნულ-ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენი მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი უცხო დამპყრობლების ბატონობაში მოექცა. XVI საუკუნეში თურქეთმა მიიტაცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და მაშინვე დაიწყო ბრძოლა თავის ეროვნულ-სახელმწიფო ორგანიზმთან მიერთებისათვის. ამ მიზნის მიღწევის უმთავრესი საშუალება იყო ადგილ-მამულზე ოსმალური წესებისა და კანონების გავრცელება. ქართველი ხალხის გაოსმალება და გამუსლიმანება ქართული ეროვნული მამულის გაუცხოებით დაიწყო.

უმძიმესი იყო ქართველი ხალხისათვის XIX საუკუნეში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა. მართალია, რუსეთის ბატონობის პირობებში საქართველოს დაუბრუნდა თავისი მიწა-წყლის ნაწილი, მაგრამ ამავე დროს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად დაიწყო ჩვენი მამულის გაუცხოების პროცესი. იგი შეჩერდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს (1918-1921 წწ.). სამწუხაროდ, გასაბჭოების შემდეგ მშობლიური მიწა-წყლის გაუცხოების პროცესი შენიღბულად გაგრძელდა.

ამიტომ 1991 წელს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშობლიური მიწა-წყლის დაცვაში, ეროვნული სამამულო მიწათფლობელობა-მიწათსარგებლობის წესებისა და ფორმების განვითარებაში. მართალია, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ გარე ძალებმა საქართველოს ჩამოაცილეს თავისი მიწა-წყლის ნაწილი (აფხაზეთი და სამაჩაბლო), მაგრამ ქართველი ხალხი არასოდეს შეურიგებია ამას და იგი თავგამოდებით იბრძვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის.

წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვნად წაადგება დღევანდელობას, რამდენადაც მასში გაშუქებულია საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ამ მხარეში მშობლიური მიწა-წყლის დაცვისათვის ბრძოლის ისტორიული გამოცდილება, რაც შეძენილია ოსმალთა ბატონობის პერიოდში – XVI-XIX საუკუნეებში (1878 წლამდე).

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 300 წლის განმავლობაში იმყოფებოდა ოსმალთა ბატონობაში. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა ხალხის ცხოვრებაში. ყველაზე მეტად საგრძნობი იყო მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის წესებსა და ბეგარა-გადასახადების სისტემაში მომხდარი ცვლილებები.

მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ოსმალური წესები, საადგილ-მამულო საგადასახადო სისტემა მკვეთრად განსხვავდებოდა ქართულიაგან. ოსმალეთში, როგორც მთლიანად აღმოსავლეთის მუსლიმანურ ქვეყნებში, აგრარული კანონმდებლობანი იურიდიულად ამტკიცებდა ტირანის (სულთნის) მონოპოლიურ საკუთრებას ადგილ-მამულზე. მიწა, რომელიც გაიცემოდა სამხედრო ლენის (საკარგავის) სახით, არა მარტო სახელმწიფოს შემოსავლების ძირითადი წყარო იყო, არამედ აგრეთვე სხვა ქვეყნების დაპყრობის, დამონება-დამორჩილების, გამუსლიმანებისა და გაოსმალების დადმნიშვნელოვანი საშუალებაც.

ქართველი კაცისათვის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ოსმალური წესები აშკარად მიუღებელი იყო, რადგან იგი ნიშნავდა რელიგიის შეცვლას და უცხო ქვეყნის სამსახურში ჩადგომას. ეს გარემოება არა მარტო გამუსლიმანების, არამედ აგრეთვე გაოსმალების მომასწავებელიც იქნებოდა. ამიტომ ქართველობა 3-4 საუკუნის განმავლობაში შეუპოვრად იბრძოდა ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მასშტაბი საკმაოდ დიდ იყო. მიუხედავად ამისა, ოსმალებმა ქართველები, პირველ რიგში საზოგადოების პრივილეგირებული ფენები აიძულეს დამორჩილებოდნენ ამ წესებს.

მართალია, ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ზოგიერთ კუთხეში ქართული მიწათმფლოპელობის წესები და ფორმები დიდხანს შემორჩა, მაგრამ ამ გარემოებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სულთნის მთავრობამ ადგილ-მამულის საკითხი, წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც გადაჭრა ოსმალური კანონმდებლობის საფუძველზე. ამით რამდენადმე დააჩქარა ქართველი მოსახლეობის გამუსლიმანების პროცესი. ოსმალური სამიწათმოქმედო ბეგარა-გადასახადების სახეები და სიმძიმე ასევე გამიზნული იყო ქართველების სულიერი დაბეჩავების, ფიზიკური დაუძლურების, გაოსმალებისა და გამუსლიმანებისაკენ.

სულთნის სულშემხუთავი რეჟიმის პირობებში ქართველმა ხალხმა უდიდესი სიძნელეები, გაჭირვება და ტანჯვა-წვალება

გადაიტანა. აგრარულმა მოძრაობამ, რომელიც გადანასკვული იყო საერთო ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლასთან, საზოგადოების ყველა ფენა მოიცვა და ჩაუქრობელი ხანძარივით გიზგიზებდა. ამდენად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია ოსმალთა ბატონობის ხანაში სპეციფიკით გამოირჩევა და საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გააშუქოს მიწათმფლობელობის ოსმალური წესების გავრცელება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აჩვენოს მისი როლი მოსახლეობის გამუსლიმანებაში. კვლევა-ძიების ძირითად ამოცანას წარმოადგენს ამ თემაზე დღემდე გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურის გაანალიზების შედეგად საკითხის შესწავლის დონის განსაზღვრა, ხარვეზების გამოვლენა. ახალი საარქივო მასალების მოძიებისა და გამოქვეყნებული დოკუმენტური წყაროების გულდასმით დამუშავებით შედარებით სრულყოფილი ნაშრომის შექმნა, სამეცნიერო სფეროში ახალი მასალების შემოტანა.

მართალია, ნაშრომის გეოგრაფია ვრცელდება მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, მაგრამ აქცენტი აღებულია აღნიშნული მხარის იმ ქართულ ისტორიულ პროვინციებზე, რომელთაგან 1878 წელს შეიქმნა ბათუმისა და ყარსის ადმინისტრაციული ოლქები. გამოკვლევის ქრონოლოგია მოიცავს თითქმის 4 საუკუნეს — XVI საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე 1878 წლამდე, ე.ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან დაბრუნებამდე.

ნაშრომს აქვს არა მარტო ისტორიულ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა, არამედ აგრეთვე პრაქტიკულ-გამოყენებითი ღირსებაც. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ოსმალური წესების, ბეგარა-გადასახადების სახეებისა და საგადასახადო სისტემის მეცნიერული გამოკვლევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა შეგვესწავლა აგრარული ურთიერთობა და აგრარული მოძრაობის ისტორია მეფის რუსეთის მფლობელობის ხანაში.

საქმე ის გახლავთ, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალური ბეგარა-გადასახადები 900-იან წლებამდე შემორჩა, ხოლო მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის წესებსა და ფორმებში, გამონაკლისების გარდა, არსებითი რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა. როგორც ოსმალეთის, ისე რუსეთის ბატონობის პირობებში ადგილ-მამულები სახელმწიფოს საკუთრებად რჩებოდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაბრუნების შემდეგ მიწისმფლობელებმა შეცვალეს ბრძოლის მისამართი და ფორმები. ამჯერად ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ და შეუპოვრად იცავდნენ თავიანთ შეუვალ უფლებებს ადგილ-მამულზე. მართალია, ამ მიმართულებით შეიარაღებულ

გამოსვლებსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მოძრაობის ძირითადმა სიმძიმემ გადაინაცვლა მთავრობის ორგანოებში თხოვნა-საჩივრებზე.

ოსმალთა ბატონობის დროს ქართველების გამძლეობას, მათ შეუპოვარ წინააღმდეგობას მოწმობს არა მარტო ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობის ფორმების შენარჩუნება, არამედ აგრეთვე მამულისადმი უზადო სიყვარულისა და კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის შეურყევლობა. ეს თვისება თურქი-ოსმალებისათვის ნაკლებად იყო დამახასიათებელი. ქართველი კაცის ცნობიერებაში წარუშლელი დარჩა მიწის ნაკვეთების საგამიჯნო საზღვრები, მიუხედავად იმისა, რომ ადგილ-მამულები სულთნის საკუთრებად ითვლებოდა. იგი თაობიდან თაობაში მთელი გულმოდგინეობით გადაეცემოდა. მოსახლეობა, განსაკუთრებით კი გლეხკაცობა მტკივნეულად განიცდიდა მიწის ნაკვეთების საგამიჯნო ცვლილებებს, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა თითოეულ გოჯა მიწას, იტანდა უმძიმეს სამიწათმოქმედო გადასახადებსაც კი, ოღონდ ადგილ-მამული საკუთრებაში ჰქონოდა.

მამულისადმი ამ უზადო სიყვარულით იყო განპირობებული აგრარული და სამამულო განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი და მასშტაბი. საკითხის ამ მხარეს ძალზე დიდი პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

ამრიგად, ჩვენს მიერ შერჩეული თემა უაღრესად აქტუალურია, იგი თავისი დანიშნულებით თანამედროვეობასაც პასუხობს. ნაშრომი რამდენადმე ავსებს ქართული საისტორიო მეცნიერების ვაკუუმს ამ თემაზე. თუ რამდენად შევძელით ამ ამოცანის შესრულება, ეს სპეციალისტებისა და მკითხველებისათვის მიგვინდია.

**წყაროები.** წინამდებარე ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა საკმაოდ ფართოა. იგი დაწერილია ოსმალეთის სახელმწიფოს ოფიციალური დოკუმენტების, ქართული ქრონიკების, საარქივო მასალების, უცხოელი მეცნიერების და სახელმწიფო მოხელეების ცნობების გაანალიზების შედეგად. დღეისათვის ქართულ ენაზე გამოქვეყნებულია ოსმალური დოკუმენტური წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი, XVII-XVIII საუკუნეებში მოღვაწე უცხოელი მეცნიერების ის ნაშრომები, რომლებიც ეხება საქართველოსა და კავკასიას.

ოსმალური დოკუმენტური წყაროები, რომლებიც XX საუკუნის 70-80-იან წლებში ქართულ ენაზე გამოქვეყნდა, სამეცნიერო მიმოქცევაში დღემდე თითქმის არ შესულა. ჩვენ შევეცადეთ, სხვა მასალებთან ერთად, მათი გაანალიზების შედეგად შეგვექმნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საადგილმამულო ურთიერთობისა და აგრარული მოძრაობის ისტორია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შესასწავლი თემის კვლევა-ძიებას რამდენადმე აფერხებს თურქეთის საარქივო მასალების მიუწვდომლობა. ცხადია, თემა უფრო სრულყოფილად შეისწავლება, როდესაც დღის სინათლეზე გამოვა თურქეთის არქივებში დაცული მასალები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ოსმალური წესებისა და ბეგარა-გადასახადების ოსმალური სახეების შესახებ საყურადღებო ცნობები მოცემულია თურქულ დავთრებში. ეს მთავრობის ოფიციალური დოკუმენტებია, რომლებიც შედგენილია დაპყრობილი ქვეყნების აღწერის შედეგად. XVI საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აღწერა ოსმალეთის მთავრობამ სამჯერ ჩაატარა. XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან აღწერები აღარ ტარდებოდა, ძველი დავთრების გადაწერა ხდებოდა, რომლებშიც შესაბამისი ცვლილებები შეჰქონდათ.

თურქული საადგილმამულო დავთრების მოძიებას, შესწავლას, ქართულ ენაზე თარგმნასა და პუბლიკაციას დიდი ამაგი დასდეს დ.ბაქრაძემ, ს.ჯიქიამ, ნ.შენგელიამ, ც.აბულაძემ, გ.ალასანიამ, გ.ფუთურიძემ და სხვებმა. აღსანიშნავია, რომ დ.ბაქრაძემ 1888 წელს სტამბოლის არქივიდან ჩამოიტანა 56766 თურქული საბუთის ასლი და 23 დავთარი. მათში მოცემულია საინტერესო ცნობები ბათუმის, ქობულეთის, აჭარის, შავშეთ-იმერხევის, ართვინისა და არტანუჯის შესახებ[1].

თურქულ დავთრებს შორის ყველაზე უფრო სრულყოფილია გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, რომელიც შედგენილია 1595 წელს[2]. მასში დაცულია ცნობები ახალციხის საფაშოს (გურჯისტანის ვილაიეთის) 8 სანჯაყის შესახებ. ეს სანჯაყებია: ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფოცხოვის, პეტრას, დიდი არტაანის, ფანაკის. დავთარს დართული აქვს გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნი, რითაც ამ მხარეში დაკანონდა ოსმალური ბეგარა-გადასახადები და მოსაკრებლები.

საყურადღებო ის გახლავთ, რომ დავთარში აისახა ქართული სოფლების ტოპონიმები და მაცხოვრებელთა გვარ-სახელები. მასში მოცემულია ჩილდირის ვილაიეთის მოსახლეობის კომლების რიცხოვნობა, გადასახადების სახეები და ოდენობა, როგორც ნატურალური, ისე ფულადი გამოსახულებით. სამწუხაროდ, დავთრის მიხედვით შეუძლებელია გაარკვიო სამხედრო ლენების სახეები (გამონაკლისის გარდა), მათი მფლობელების ვინაობა. ამასთან მასში არ მოიპოვება ცნობები აჭარის, ართვინის, არტანუჯის, შავშეთ-იმერხევის შესახებ. მიუხედავად ამისა, გურ-

---

1 Д.Бакрадзе. Исторический очерк турецкой системы землевладения. Приложение к протоколу Кавказского юридического общества. 1889, №9, с.1-33

2 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ. თურქული ტექსტი, I. თბ.,1947; II, თარგმანი. თბ., 1941; III, გამოკვლევა, თბ., 1958.

ჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი დიდმნიშვნელოვანი წყაროა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დავახასიათოთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რამდენიმე ისტორიული ქართული პროვინციის სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნულ-ეთნიკური და დემოგრაფიული მდგომარეობა.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის ხარვეზებს რამდენადმე ავსებს ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი[1]. მასში მოცემული ძვირფასი ცნობები ეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს 21 სანჯაყს და ქრონოლოგიურად 1694-1732 წლებს მოიცავს. სულ აღწერილია 874 საკარგავი, მათ შორის 17 სახასი, 90 ზეამეთი და 767 თიმარი. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარში გვხვდება საყურადღებო ცნობები ისეთი რეგიონების შესახებ, როგორიცაა ქვემო და ზემო აჭარა, შავშეთი, ლივანა, ნისფი ლივანა, არტანუჯი, ოლთისი, დიდი და პატარა არტაანი.

„ჯაბა დავთრის", როგორც საისტორიო წყაროს, ღირსება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასში მოცემულია არამარტო საკარგავთა სახეები (სახასო, ზეამეთი, თიმარი), არამედ დასახელებულია აგრეთვე მათი ადგილმდებარეობა (სანჯაყი, ნაჰიე, სოფელი), ამ საკარგავების მფლობელების სახელები, ზოგჯერ მამის სახელებიც. ამასთან ერთად აღნიშნულ წყაროში ნაჩვენებია სამხედრო ლენების შემოსავალი. სამწუხაროდ, „ჯაბა დავთარში" აღწერილია მხოლოდ სახელმწიფო კატეგორიის მიწები (ერაზი-მირიე). კერძომფლობელთა (მულქი) და რელიგიური დაწესებულებების მიწების (ვაყუფი) შესახებ ცნობები მოცემული არ არის. ცხადია, ასეთი ხარვეზები საშუალებას არ იძლევა შეგვექმნას სრული წარმოდგენა მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, „ჯაბა დავთრის", როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობა ძალზე დიდია.

„ჯაბა დავთარში" დაცული ცნობების გულდასმით შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა დაგვედგინა ფეოდალური მიწათ-მფლობელობა-მიწათსარგებლობის ხასიათი, სამხედრო ლენების მფლობელთა სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და ეკონომიკური სიძლიერე ჩილდირის ეიალეთში შემავალ სანჯაყებში XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე. „ჯაბა დავთარი" საინტერესოა აგრეთვე დაპყრობილი ქართული რეგიონების მმართველობის სისტემის, პირთა სახელებისა და გეოგრაფიული ტოპონიმების შესას-წავლად.

„ჯაბა დავთარი" ძირითადად ჩილდირის ეიალეთის მდგომარეობას

---

1 ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თურქული ტექსტი ქართული თარგმნით გამოსაცემად მოამზადა ც.აბულაძემ. გამოკვლევა დაურთო მ.სვანიძემ. თბ.,1979.

ასახავს, ისიც XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე. მასში არ გვხვდება ცნობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისეთი რეგიონების შესახებ, როგორიცაა ბათუმი, ქობულეთი, ლაზეთი. მწირი ცნობებია მოცემული პატარა არტაანის (ისტორიული კოლას) შესახებ. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ოსმალური სხვა დოკუმენტური წყაროები, რომლებიც ქართულად XX საუკუნის 80-იან წლებში გამოქვეყნდა.

საყურადღებოა ტრაპიზონის ეიალეთის ჯაბა, რომელიც 1695-1731 წლებს ასახავს[1]. ამ დავთარში მოცემულია ლაზეთისა და პატარა არტაანის საკარგავების წლიური შემოსავლების ოდენობა, მათი მფლობელების სახელები. ტრაპიზონის ეიალეთის ჯაბაში ასევე დასახელებულია საკარგავების ადგილმდებარეობა-სანჯაყები, ნაჰიები, სოფლები. სამწუხაროდ, როგორც ჩილდირის, ისე ტრაპიზონის ეიალეთის ჯაბა დავთრებში საკარგავების მფლობელთა გვარები მინიშნებული არ არის. ეს კი რამდენადმე აძნელებს მათი ვინაობის გამოცნობას.

თურქეთის სულთნის ფირმანების ერთი ნაწილი 1987 წელს გამოაქვეყნა ნ.შენგელიამ[2]. ისინი გაცემულია 1583-1762 წლებში და ეხება ბათუმის, გონიოს, არტანუჯის, ისპირის სანჯაყებს. მათში აღნიშნულია ბეგლარბეგებზე ბოძებული საკარგავები, ნაჩვენებია სამხედრო ლენების შემოსავლები, აქვეა სულთნის მითითება ამ თანხის ნაწილის სამხედრო მიზნით გამოყენების შესახებ.

საინტერესოა, რომ დოკუმენტებში დასახელებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ციხე-სიმაგრეებში ჩაყენებული ოსმალეთის სამხედრო რაზმების რაოდენობა, მათი შენახვისათვის ბათუმის, გონიოს, არტანუჯის, ისპირის სანჯაყებიდან გაგზავნილი სურსათ-სანოვაგე (ფულადი გამოსახულებით). სამწუხაროდ, დოკუმენტებში მხოლოდ ბეგლარბეგების საკარგავებია დასახელებული. ცნობები საშუალო და წვრილი ფეოდალების სამხედრო ლენების შესახებ ნაჩვენები არ არის.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის შესახებ ორიოდე ცნობა დაცულია 1982

---

1 ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ (XVII-XVIII სს.), II, თბ., 1989, გვ.121-276. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ფაქსიმილიებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადეს ა.ველიკოვმა და ნ.შენგელიამ.

2 XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმელიებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ.შენგელიამ. I, თბ., 1987.

წელს გამოცემულ დოკუმენტების კრებულში[1]. კერძოდ, მასში გამოქვეყნებულია ოსმალეთის სულთნის 1723 წლის 8 აგვისტოს ბრძანება ქართველების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე.

საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ საყურადღებო ცნობები მოცემულია თურქი ისტორიკოსების შრომებში. XX საუკუნის 60-70-იან წლებში ქართულ ენაზე გამოვიდა ქათიბ ჩელების, მუსტაფა ნაიმას და სხვათა შრომები[2]. მათში გვხვდება საყურადღებო ცნობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, კერძოდ, მიწათმფლობელობის, გადასახადების, მართველობის სისტემის, ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ და სხვა.

ქართულ ენაზე გამოცემული ოსმალური დოკუმენტური წყაროების ერთ-ერთი ღირსება ისიც არის, რომ მათ დართული აქვთ შესავალი წერილები, ტერმინოლოგიური ლექსიკონები,განმარტებები და საძიებლები. ამ სახის გამოცემები მკითხველს საგრძნობ დახმარებას უწევს ოსმალეთში არსებული საადგილმამულო ტერმინების გაგებაში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ქართულად გამოცემულია ოსმალური დოკუმენტური თუ სხვა სახის წყაროების მცირე ნაწილი. ამიტომ ამ დოკუმენტებით არ ხერხდება სრულყოფილი წარმოდგენა ვიქონიოთ მიწათმფლობელთა-მიწათსარგებლობის, ბეგარა-გადასახადების, ფეოდალური იერარქიის, აღა-ბეგების პოლიტიკური გავლენისა და სოციალურ-ეკონომიკური სიძლიერის შესახებ.

ამ ხარვეზებს სხვა წყაროები ავსებენ. მართალია, მწირი, მაგრამ ამ მხრივ საინტერესო ცნობები მოიპოვება „ახალციხის ქრონიკებში"[3]. მასში მოცემული მასალები მრავალმხრივ საყურადღებოა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ახალციხის საფაშოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესასწავლად. „ახალციხის ქრონიკებში" დაცულია მასალები აჭარაში სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ხიმშიაშვილების საგვარეულოს აღზევების შესახებ. მწირი მაგრამ საყურადღებო ცნობებია დაცული სელიმ

---

1 ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII სს.). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმელიებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ.შენგელიამ. თბ., 1982.

2 ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ.ალასანიამ. თბ., 1978; მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნ.შენგელიამ. თბ., 1979.

3 შოთა ლომსაძე, ახალციხის ქრონიკები. თბ, 1977.

ხიმშიაშვილისა და სულეიმან სურმანიძის მიერ ახალციხის საფაშოში ხელისუფლების ხელში ჩაგდების თაობაზე.

ოსმალთა ბატონობის ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ ცნობები გვხდება კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემულ თორმეტტომეულში[1]. რუსულენოვან ტექსტებთან ერთად აქ მოცემულია ქართულ, თურქულ და სხვა ენებზე შედგენილი მასალები, რომლებიც ძირითადად მიმოწერები და მთავრობის მოხელეების მიერ შედგენილი ოფიციალური წერილებია. ეს მასალები ასახავს XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას. ისინი საინტერესოა აგრეთვე აქაური ქართველური წარმომავლობის, მემამულეების (ხიმშიაშვილები, თავდგირიძეები და სხვა) პოლიტიკური ორიენტაციის, საზოგადოებაში მათი გავლენისა და სოციალურ-ეკონომიკური სიძლიერის შესასწავლად.

საკვლევი თემის შესახებ მრავალმხრივ საყურადღებო ცნობები მოიპოვება ტრაპიზონში ინგლისის კონსულის ჯიფორდ პალგრევის ანგარიშებში, რომლებიც ინგლისის მთავრობის დავალებით 1867, 1869 და 1872 წლებში შეადგინა. ეს ანგარიშები პირველად დაიბეჭდა 1882 წელს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მოამბეში[2].

ჯ.პალგრევის ანგარიშებში მოცემული მასალები ასახავს ლაზისტანის სანჯაყის ისტორიას XIX საუკუნის 40-60-იან წლებში. აღწერილია ლაზისტანის სანჯაყში შემავალი მაზრები (ყაზები), სოფლები, მოსახლეობის რიცხოვნობა, ბეგარა-გადასახადების სახეები და საბაჟო გამოსაღების ოდენობა. ნაჩვენებია მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, ადგილობრივი ძირძველი ხალხის ხასიათი და ფიზიკურ-გარეგნული აღნაგობა. ამასთან ერთად ჯ.პალგრევს ზოგადად აქვს დახასიათებული ლაზისტანის სანჯაყის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, ნიადაგები, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა, სოფლის მეურნეობა, აღებ-მიცემობა. ხაზგასმულია ბათუმის, როგორც შავ ზღვაზე საუკეთესო ბუნებრივი ნავსადგურის, დიდ მომავალზე.

ინგლისის დიპლომატის ანგარიშებში განხილულია აგრეთვე ლაზისტანის სანჯაყის ადმინისტრაციული მმართველობის სისტემა. ზოგადადაა მიმოხილული აღმასრულებელი, სასამართლო, საფინანსო,

---

1 Акты, собранные Кавказской археографической комиссией (АКАК) тт.I-XII под редакцией А.Берже. Тифл., 1866-1904.

2 Д.Палгрев. Материалы для описания азиатской Турции и Батумской области. Приложению к VII тому известия Кавказского отдела императорского русского географического общества. Тифлис, 1882. Отчеты 1867, 1869 и 1872 годы (შემდგომში- ИКОРГО).

სამხედრო, საბაჟო-საგადასახადო ორგანოების საქმიანობა. ამავე ანგარიშებში გვხვდება საინტერესო ცნობები წარჩინებული წოდების საგვარეულოთა (ხიმშიაშვილები, თავდგირიძეები, ბეჟანიძეები, ხალვაშები და სხვ.) შესახებ. ასე, რომ ჯ.პალგრევის ცნობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლაზისტანის სანჯაყის ისტორიის შესასწავლად.

მრავალმხრივ საყურადღებო ცნობები მოიპოვება მოგზაურთა შრომებში. ისინი განიხილება, როგორც საისტორიო წყარო, რამდენადაც მათში აღწერილია თანამედროვე ცხოვრება, უშუალოდ ნახული. ნაწილი ამ მოგზაურთაგანი პროფესიონალი ისტორიკოსი იყო, რომლებმაც ადგილზე არაერთი ძვირფასი ისტორიული საბუთი შეკრიბეს და შთამომავლობას შემოუნახეს.

თურქი მოგზაურებიდან ჩვენი დაინტერესება გამოიწვია ევლია ჩელებმა. იგი XVII საუკუნეში ცხოვრობდა და 41 წელი მოგზაურობაში გაატარა. ამ მოგზაურობათა შედეგები გადმოცემულია ათტომიან წიგნებში[1].

ევლია ჩელების წიგნებში გვხვდება გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცნობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ. აჭარის ფეოდალური საგვარეულოების შესახებ ორიოდე ცნობა დაცულია გიულდენშტედტის მოგზაურობის წიგნში[2]. იგი ეროვნებით გერმანელი იყო, რომელმაც საქართველოში 1782 წელს იმოგზაურა და საყურადღებო ცნობები შეაგროვა.

XIX საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არაერთმა მეცნიერმა, საზოგადო მოღვაწემ, სამხედრო და სხვა უწყების წარმომადგენელმა იმოგზაურა. მათ აღწერეს აჭარა-ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი, შეაგროვეს საინტერესო მასალები ამ მხარის ისტორიასა და მიმდინარე ცხოვრების შესახებ. აღნიშნული მასალები გამოქვეყნებულია კრებულებსა თუ მონოგრაფიების სახით. დიდი მეცნიერული ღირებულება გააჩნია დ.ბაქრაძის, გ.ყაზბეგის, ზ.ჭიჭინაძის, თ.სახოკიას, ლ.ისარლიშვილის, პ.უმიკაშვილის, ვ.ლი- ლომინაძის, ს.მენთეშაშვილის, [illegible] პროსკურიაკოვის და სხვათა შრომებს.

დ.ბაქრაძემ 1874 წელს იმოგზაურა აჭარასა და გურიაში. იგი არა მარტო გაეცნო მაშინდელი აჭარის ცხოვრებას, არამედ სა-

---

1 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი. ტტ.I-X. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი თოფურიძემ. I, ქართული თარგმანი. თბ., 1971; II, გამოკვლევა, კომენტარები. თბ., 1973.

2 გიულდენშტეტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ.გელაშვილმა. თბ., 1962.

ყურადღებო ისტორიული ცნობები შეკრიბა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე[1].

გარკვეული მეცნიერული ღირებულება აქვს მის მიერ შეკრებილ მასალებს მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის, ოსმალური ბეგარა-გადასახადების, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, ხელოსნობის და სხვათა შესახებ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დ.ბაქრაძემ პირველმა შეადგინა აჭარელი ხიმშიაშვილებისა და გურიის მთავრების (გურიელების) საგვარეულოს გენეალოგიური სქემა. მანვე მოგვცა საყურადღებო ცნობები თავდგირიძეების, შერვაშიძეების, ბეჟანიძეების, ლაზეთის ფეოდალების შესახებ. არანაკლებ საინტერესოა დ.ბაქრაძის მიერ მოცემული მასალები აჭარაში ქრისტიანული ძეგლების, ისლამის გავრცელების შესახებ. მან შესანიშნავად აღწერა სხალთის ეკლესია და დაადგინა მისი აგების თარიღი.

ოსმალთა ბატონობის ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გ.ყაზბეგის შრომებს. სახელოვანმა მამულიშვილმა 1874 წელს იმოგზაურა აჭარაში, შავშეთ-იმერხევში, არტანუჯში, ლივანასა და ლაზეთში. მოგზაურობის შედეგები შეაჯამა ნაშრომში „სამი თვე თურქეთის საქართველოში", რომელიც 1876 წელს რუსულ ენაზე დასტამბა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ[2]. გ.ყაზბეგის ნაშრომის ერთი ნაწილი (ზემო აჭარა) ქართულად თარგმნა ნ.ნაჭყებიამ, რომელიც პროფ. ი.სიხარულიძის რედაქტორობით 1960 წელს გამოვიდა[3]. ნაშრომის სრული ტექსტი ქართულად პირველად 1995 წელს გამოქვეყნდა[4]. გ.ყაზბეგის ზემოაღნიშნული ნაშრომი შეიცავს ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, ტოპონიმიკურ, ტოპოგრაფიულ და სხვა სახის საინტერესო ცნობებს აჭარის, შავშეთ-იმერხევის, ლივანა-არტანუჯისა და ლაზეთის შესახებ[5].

გ.ყაზბეგის შრომაში, როგორც საისტორიო პირველწყაროში, ჩვენი საკვლევი თემისათვის ყველაზე უფრო საინტერესო ის გახ-

---

1. დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987. თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ.

2. Г.Н.Казбек. Три месяца в Турецкой Грузии.ЗКОИРГО, книжка X. Тифлис, 1876.

3. გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ. ბათუმი, 1960.

4. გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995; წიგნი თარგმნეს, შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რ.სურმანიძემ და მ.ხარაზმა.

5. დაწვრილებით იხილეთ ჩვენი რეცენზია „სამი თვე თურქეთის საქართველოში" ჟურნ. „ჭოროხი", 1997, №1, გვ. 123-129.

ლავთ, რომ ავტორი პირადად გაეცნო ადგილზე მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის, ბეგარა-გადასახადების ფაქტობრივ მდგომარეობას, აღწერა სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგები, მოგვცა სამამულო-გამანთავისუფლებელი მოძრაობისა და აქაური ქართველური წარმომავლობის ფეოდალების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი სურათი. არანაკლებ საინტერესოა მისი მეორე შრომა[1].

საყურადღებო ცნობებია მოცემული სამხედრო ჟურნალისტის ა.ფრენკელის წიგნში[2]. იგი პროფესიით ისტორიკოსი იყო, რომელმაც საინტერესოდ და ამავე დროს საღი გონებით აღწერა აჭარა ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების პერიოდში. ა.ფრენკელის შრომიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ მასალებმა, რომლებიც ეხება აჭარის ფეოდალების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, მიწათმფლობელობას, ბეგარა-გადასახადებს, მუჰაჯირობას, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგებს. საყურადღებოა აგრეთვე მისი დამოკიდებულება ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისადმი.

ძალზე მნიშვნელოვანია პეტრე უმიკაშვილის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსი გლეხთა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ჩახალოღლის (მემედ ბერიძე) შესახებ[3].

ძვირფასი მასალებია დაცული ზ.ჭიჭინაძის შრომებში[4]. თამამად შეიძლება ითქვას: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმდროინდელი ცხოვრების შესწავლაში იმდენი შრომა და ჯაფა არავის გაუწევია, რამდენიც ამ ამაგდარმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ შეძლო. იგი ფეხდაფეხ დადიოდა აჭარის სოფლებში და კრეფდა მრავალნაირ მასალებს. სახელოვანი მამულიშვილის მიერ შეგროვილმა ცნობებმა მნიშვნელოვნად შეავსო წინამდებარე ნაშრომის წყაროთმცოდნეობის ბაზაში არსებული ხარვეზები.

1897 წელს აჭარაში, გურიაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში იმოგზაურა ისტორიკოსმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ თედო სახოკიამ. მან ადგილზე მრავალრიცხოვანი და თანაც ძალზე საყურადღებო მასალები შეკრიბა. ისინი იმდენად მნიშვნელოვანი

---

1 Г.Н.Казбек. Военно-статистические и стратегические очерки Лазистанского санджака. Тифл., 1876.

2 А.Френкель, очерки Чурук-су и Батума. Тифлис, 1879.

3 პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება ოთხ ტომად. მეორე გამოცემა პროფ. მ.ჩიქოვანის რედაქციით. თბ., 1964.

4 ზ.ჭიჭინაძე, მესხეთ-ჯავახეთის გათათრება, ტიფლისი, 1906; ოსმალოს საქართველო, ტიფლისი, 1914; ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. ტიფლისი, 1916; ოსმალოს საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტი, ტფილისი, 1927.

იყო, რომ ქართული პრესა დიდი დაინტერესებით აწვდიდა მკითხველს თ.სახოკიას მიერ შეკრებილ მასალებს. ცალკე წიგნად გ.ჩიტაიას რედაქტორობით პირველად 1950 წელს გამოვიდა[1].

თ.სახოკია თავის შრომაში იძლევა გურიის, აჭარის, სამურზაყანოსა და აფხაზეთის მოკლე ისტორიულ მიმოხილვას. ჩვენი კვლევისათვის მთავარია ეთნოგრაფიული ჩანაწერები, რომლებშიც ასახულია მოსახლეობის სამეურნეო-სამიწათმოქმედო ყოფა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგომარეობა, მაცხოვრებელთა რაოდენობა, დახასიათებულია რძის პროდუქტების დამზადების ხალხური ტექნოლოგია.

გურიის სოფელ აკეთის აღწერისას თ.სახოკია გვაწვდის საინტერესო ცნობას აბდულ ხიმშიაშვილის შესახებ. თ.სახოკიას ცნობით, აბდულ ხიმშიაშვილის თოფი, 1897 წლისათვის შემონახული ყოფილა ნესტორ თავდგირიძის ოჯახში. საყურადღებოა თ.სახოკიას ეთნოგრაფიული ჩანაწერები აჭარის ბუნებრივი სიმდიდრეების, სამიმოსვლო საშუალებების (გზები, ტრანსპორტი) შესახებ. ნაშრომებში მოყვანილია ძვირფასი მასალები საადგილმამულო ურთიერთობისა და აგრარული მოძრაობის შესახებაც.

განსახილველ ნაშრომში თურქულენოვანი წყაროებიდან გამოყენებულია ტრაპიზონის ვილაიეთის სტატისტიკური კრებულების ოთხტომეული, რომლებიც 1993-1994 წლებში გამოვიდა ანკარაში[2]. მათში გვხვდება მნიშვნელოვანი ცნობები ტრაპიზონის ვილაიეთში შემავალი სანჯაყების შესახებ და ქრონოლოგიურად 1869-1872 წლებს მოიცავს. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ლაზისტანის სანჯაყის შესახებ ცნობებმა. ისინი ეხება მოსახლეობის ეროვნულ-ეთნიკური შემადგენლობის, რელიგიის, საადგილმამულო ურთიერთობის, ბეგარა-გადასახადების, ადმინისტრაციული მოწყობის და სხვა საკითხებს.

აღნიშნული კრებულების მეცნიერული ღირსება იზრდება იმითაც, რომ III და IV ტომს ერთვის ტრაპიზონის ვილაიეთის ტერიტორიულ ადმინისტრაციული მოწყობის რუკა. სტატისტიკურ კრებულებში მოცემული მასალები გვეხმარება დავახასიათოთ ტრაპიზონის ვილაიეთში შემავალი ქართული პროვინციების სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნულ-ეთნიკური, რელიგიურ-კულტურული და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მდგომარეობა

---

1 თ.სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950; წიგნი მოკლე დროში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და 1985 წელს გამომცემლობა „აჭარამ" მეორედ გამოსცა.

2 TRABZON VILAYETI SALNAMESI 1869-1872 CILT I-IV. ANKARA, 1993-1994: აღნიშნული კრებულები დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების წინ (XIX საუკუნის 60-70-იანი წლები).

**ისტორიოგრაფია.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სააღგილმამულო ურთიერთობათა შესწავლა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ინტენსიურად დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, ვინც ამ საკითხით დაინტერესდა, დიმიტრი ბაქრაძე იყო. მან სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა აღნიშნულ თემას[1], რომელშიც ზოგადად განიხილა მიწათმფლობელობის ოსმალური წესები და ფორმები. მაგრამ მას აღარ დასცალდა მისი დასრულება. დ.ბაქრაძე 1890 წელს გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, ის რაც მან გააკეთა, ძალზე მნიშვნელოვანია და დღესაც ინარჩუნებს თავის ღირსებას.

დ.ბაქრაძის მიერ დაწყებული საქმე გააგრძელეს ისტორიკოსთა მომდევნო თაობებმა. პირველ რიგში აღსანიშნავია ცნობილი თურქოლოგი ს.ჯიქია, რომელმაც საყურადღებო გამოკვლევა გამოაქვეყნა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" შესახებ[2]. ავტორმა მეცნიერული კეთილსინდისიერებით, პროფესიულ დონეზე შეისწავლა გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოცემული გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული პუნქტები, გადასახადების სახეები, გეოგრაფიული და ისტორიული ტოპონიმები, მოსახლეობის მიგრაციული პროცესები. ს.ჯიქიას გამოკვლევას დღესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოსმალური სააღგილმამულო გადასახადების შესწავლისათვის XVI საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

XVI-XVII საუკუნეებში მიწისმფლობელობის აღმოსავლური წესებისა და ფორმების შესახებ საყურადღებოა ვ.გაბაშვილის ნაშრომი[3]. იგი ამ საკითხს იკვლევდა ქართულ სამამულო მიწისმფლობელობასთან ურთიერთკავშირში, რის საფუძველზეც მრავალ საკითხს შუქი მოჰფინა. თურქეთის იმპერიის აგრარული ურთიერთობის მეცნიერულ შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა ნ.შენგელიამ. ოსმალური დოკუმენტური წყაროების შეკრებასა და გამოცემის პარალელურად მან ამ თემაზე გამოკვლევებიც დაწერა. ისინი შესულია დოკუმენტური წყაროების წიგნებში. ამასთან ნ.შენგელიამ სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ქართლში ოსმა-

1 Д.Бакрадзе, исторический очерк турецкой системы землевладения. Приложения к протоколу кавказского юридического общества, 1889, №9,с.1-33.

2 ს.ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გამოკვლევა. თბ., 1958.

3 ვ.გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ.,1958.

ლური გადასახადების ისტორიას[1]. ნ.შენგელიას ნაშრომებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევა-ძიებაში.
აჭარის ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხ.ახვლედიანმა. მის შრომებში ძირითადად განხილულია ოსმალთა ბატონობის დროინდელი აჭარის ისტორიის მთელი რიგი საკითხები. ხ.ახვლედიანის შრომებში ზოგადად მიმოხილულია ოსმალთა ბატონობის დროს აჭარაში არსებული მიწისმფლობელობის ფორმები, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი და აგრარული მოძრაობის საკითხები, ოსმალური მმართველობის სისტემა და სხვა.
პირველად ამ საკითხებს აწ განსვენებული მკვლევარი შეეხო 1944 წელს გამოცემულ წიგნში „აჭარის ისტორიის ნარკვევი (მე-16-19 სს)[2]. მიწისმფლობელობის ოსმალური წესების მოკლე მიმოხილვისას ხ.ახვლედიანი იხილავს აჭარის ფეოდალებზე გაცემულ რამდენიმე ფირმანს. მოაქვს ზოგიერთი მათგანის ტექსტი, რაც თავისთავად საყურადღებოა. იგი მოკლედ მიმოიხილავს გლეხთა მოძრაობასაც. საინტერესო მასალები აქვს მოყვანილი გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელებზე (მ.ჩახალოღლი, ყშამბაშოღლი, აკიკინოღლი, ე.ქიბაროღლი და სხვები). თუმცა მათი ვინაობის შესახებ ადგილი აქვს უზუსტობას. ხ.ახვლედიანი ფიქრობს, რომ აჭარაში გლეხთა მოძრაობის თვალსაჩინო ხელმძღვანელი მ.ჩახალოღლი (ბერიძე) სოფელ ზენდიდიდან იყო, სინამდვილეში კი, როგორც გაირკვა, ვაიოდან ყოფილა[3].
ამასთან აღსანიშნავია, რომ ხ.ახვლებიანს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა გაშუქებული აქვს საზოგადოების სოციალური ფენების კლასობრივი დაპირისპირების პოზიციებიდან, რაც საერთოდ დამახასიათებელია საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის. 1978 წელს გამოცემულ ნაშრომში „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან"[4] ხ.ახვლედიანი კვლავ შეეხო მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესებს აჭარაში. წინა გამოცემისაგან განსხვავებით მასში განხილულია ოსმალური ბეგარა-გადასახადების სახეები, მოცემულია სოფლის მეურნეობის ზოგადი სურათი.

---

1 ნ.შენგელია, ოსმალური გადასახადები ქართლში. „მაცნე" 1963, №4.

2 ხ.ახვლედიანი, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები), ბათუმი 1944; აჭარა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ბათუმი, 1946; სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1957; აჭარის განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ბათუმი 1978; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ბათუმი, 1978.

3 ნ.გათენაძე, მემედ ჩახალოღლის(ბერიძის) სადაურობის საკითხისათვის. ჭოროხი, 1997, №1, გვ.117-122.

4. ხ.ახვლედიანი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. ბათუმი, 1978.

აღნიშნული ნაშრომის გამოცემისას ხ.ახვლედიანი არ იცნობდა „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარს", ვინაიდან იგი დაიბეჭდა 1979 წელს. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ წყაროზე საერთო წარმოდგენა მას ჰქონდა მ.სვანიძისა და ც.აბულაძის სტატიის „სამხრეთ საქართველოს ისტორიის ახალი თურქული წყარო", საფუძველზე, რომელიც 1977 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მაცნეში" (№4,გვ.125-130). ამიტომ ავტორი შეცდომით ფიქრობს, რომ დავთარში აღრიცხულია ჯამეებზე შეწირული მიწები და მათი შემოსავლები. სინამდვილეში კი „ჯაბა დავთარში", როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სავაყუფო მიწები საერთოდ არ არის აღრიცხული.

ვერ გავიზიარებთ ხ.ახავლედიანის იმ შეხედულებასაც, რომ აჭარაში მიწათმფლობელობის ოსმალური წესების გავრცელების შედეგად „მიწების დამუშავება ხდებოდა ექსტენსიურად და მის ინტენსიურ დამუშავებაზე არავინ ფიქრობდა"[1]. მცირემიწიან ქვეყანაში თითოეული გოჯი მიწა მაქსიმალურად იყო დამუშავებული, ამ მხარის მიწათმოქმედებაში ინტენსიური ფაქტორი ყოველთვის წამყვანი იყო. გლეხის შრომა და გარჯა მეურნეობის ინტენსიფიკაციას ხმარდებოდა. ამასთან ერთად დაზუსტებას საჭიროებს ხიმშიაშვილებისა და აბაშიძეების მფლობელობაში არსებული ადგილ-მამულები[2].

აჭარაში მიწათმფლობელობის ფორმები XIX საუკუნის 40-70-იან წლებში სპეციალურად შეისწავლა ისტორიკოსმა ა.ავალიანმა. მკლევარმა საინტერესოდ გაანალიზა სამხედრო-ლენური სისტემა, ცალკე თავები დაუთმო აჭარაში არსებული ოსმალური მიწათ-მფლობელობის ფორმებს (ერაზი-მირეი, ვაყუფი, მულქი, მეთრუქე, მევათი) .

ავტორმა სამეცნიერო სფეროში შემოიტანა ახალი საარქივო მასალები, მიახლოებით დაადგინა ერაზი-მირიეს, ვაყუფისა და მულქის კატეგორიის მიწების თანაფარდობა[3]. ნაშრომიდან კარგად ჩანს, რომ აჭარაში წამყვანი მდგომარეობა ეკავა სახელმწიფო კატეგორიის მიწებს. წიგნში, შესაძლებლობის ფარგლებში, გაშუქებულია ხიმშიაშვილების, აბაშიძეების, თავდგირიძეების და სხვა ფეოდალების მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის საკითხები.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ა.ავალიანის ნაშრომში მოყვანილი მასალები ზემო აჭარის სოფლის სათემო მიწათმფლობელობის შესახებ. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ა.ავალიანის ნაშრომში ძირითადად აჭარაზეა ლაპარაკი. ეს გასაგებიცაა. ავტორს

---

1 ხ.ახვლედიანი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. ბათუმი, 1978. გვ.7-8.

2 იქვე, გვ.18.

3 ა.ავალიანი. მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960.

კვლევის ობიექტად აღებული ჰქონდა დღევანდელი აჭარა. რამდენადაც ოსმალთა ბატონობის დროინდელი აჭარა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჭოროხის აუზის ქვეყნებთან, ლაზეთთან და კოლა-არტაანთან, სასურველი იყო ეს საკითხი მთლიანობაში განეხილა. კვლევა-ძიების ასეთი მეთოდი მომგებიანი იქნებოდა. ეს იმითაც არის გამართლებული, რომ მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის წესები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საერთო იყო. ამასთან დღევანდელი აჭარა ჯერ ახალციხის საფაშოში, შემდეგ კი ტრაპიზონის ვილაიეთში შედიოდა. ასე, რომ აქაურ ფეოდალებს ადგილ-მამულები ჰქონდათ არა მარტო აჭარაში, არამედ აგრეთვე მის ფარგლებს გარეთაც, სხვა სანჯაყებში. ნაშრომში ადგილობრივი ფეოდალური მიწათმფლობელობის შესახებ ძირითადად ეპიზოდური ფაქტებია მოყვანილი. იგი საშუალებას არ იძლევა წარმოვადგინოთ ფეოდალური მიწათმფლობელობის დონე. ნაშრომის ერთ-ერთი ხარვეზი ისიც არის, რომ მასში ძალზე სუსტადაა გაშუქებული გლეხთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და აგრარული მოძრაობა.

XVI-XVII საუკუნეებში საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის შესახებ საყურადღებო შრომები გამოაქვეყნა მ.სვანიძემ[1]. პოლიტიკურ ისტორიასთან ერთად მ.სვანიძის გამოკვლევებში საინტერესოდაა გადმოცემული სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები. ავტორი სათანადო მეცნიერულ დონეზე აშუქებს აგრარული ურთიერთობის ისტორიასაც.

მ.სვანიძეს პროფესიულ დონეზე აქვს დახასიათებული მიწისმფლობელობის ოსმალური წესები და ფორმები. საინტერესოდაა გაშუქებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მათი გავრცელების ისტორია. იგი ლაპარაკობს სამემკვიდრეო მიწისმფლობელობის ფორმებზე, მათი არსებობის მიზეზებსა და მნიშვნელობაზეც. ავტორს მრავალმხრივ საინტერესო მონაცემები აქვს მოყვანილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონებში სამხედრო ლენების სახეების-სახასოების, ზეამეთების, თიმარების შესახებ. განსაზღვრული აქვს სამხედრო ლენების რაოდენობა მათი ფულადი შემოსავლების ჩვენებით.

ყურადღებას იმსახურებს მ.სვანიძის დასკვნა იმის შესახებ, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალებმა მთლიანად ვერ მოსპეს მიწისმფლობელობის ქართული წესები და ფორმები, ქართული ფეოდალური წყობილება. ამის მაგალითად მოყავს სა-

1 მ.სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბ., 1971; საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XVI-XVIII სს.). თბ., 1990; „ჯაბა დავთარი", როგორც საისტორიო წყარო, „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი", თბ., 1979, გვ.76-95.

მემკვიდრეო უფლებით (იურთლუკი, ოჯაკლიკი) მთელი სანჯაყების გაცემა. მიუხედავად ამისა, მ.სვანიძის ნაშრომებში საჭირო დონეზე არ არის გაშუქებული ოსმალური ბეგარა-გადასახადების სახეები, აგრარული მოძრაობა[1].

სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს შ.ლომსაძის შრომები. 1975 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში[2] ავტორმა განიხილა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. შ.ლომსაძემ საინტერესოდ გააშუქა ახალციხის საფაშოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, ოსმალური მმართველობის სისტემა, მოგვცა ახალციხის ფაშების გენეალოგია 1792 წლიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე.

აღნიშნულ შრომაში შ.ლომსაძეს მოცემული აქვს საყურადღებო ცნობები სელიმ და ახმედ ხიმშიაშვილებზე. მართალია, ეს ცნობები ეპიზოდური ხასიათისაა, მაგრამ ისინი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ხიმშიაშვილების აღზევების შესახებ.

შ.ლომსაძის შრომაში ცალკე თავი აქვს დათმობილი საადგილმამულო ურთიერთობას. მასში ზოგადად, მაგრამ საინტერესოდაა დახასიათებული მიწისმფლობელობის ოსმალური წესები და ფორმები, მოკლედ განხილულია ოსმალური აგრარული კანონმდებლობანი. გარჩეულია ფეოდალური წოდებრივი იერარქიის ტიტულები (აღა, ბეგი, სანჯაყბეგი, ბეგლარბეგი), გლეხთა კატეგორიები, ბეგარა-გადასახადების სახეები და სხვა.

მკლევარს, ახალციხის საფაშოს მაგალითზე, განხილული აქვს სამხედრო-ლენური სისტემა: სამხედრო ლენების გაცემის, საბუთების გაფორმების წესები. ამ საბუთების იურიდიული და ფაქტობრივი მნიშვნელობა. ნაშრომში გვხვდება საინტერესო ცნობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კოლონიზაციის შესახებაც, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მხარის დემოგრაფიული სიტუაცია. საადგილმამულო ურთიერთობის საკითხები შ.ლომსაძემ განიხილა 1978 წელს დაბეჭდილ სტატიაშიც[3].

მიუხედავად ამისა, შ.ლომსაძის შრომებში მაინც არ არის სრული სურათი ოსმალთა დროინდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ. მასში მწირი ცნობებია დაცული აჭარის, ჭანეთის, შავშეთ-იმერხევის,

---

1 მ.სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1971, გვ.317.

2 შ.ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი. თბ., 1975.

3 შ.ლომსაძე, ახალციხის მხარის ისტორიიდან (XIX საუკუნის პირველი მესამედი). იხ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (XIX ს.). თბ., 1973.

ლივანას, არტანუჯის, მაჭახლის, ბათუმ-ქობულეთის კუთხეებში მიწათმფლობელობის, ბეგარა-გადასახადების შესახებაც. აგრარული მოძრაობა თითქმის შეუსწავლელია. ამ ხარვეზების მიუხედავად, შ.ლომსაძის შრომებმა დიდი დახმარება გაგვიწია ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესწავლაში.

მკლევარი ო.სოსელია თავის მონოგრაფიებში[1] შეეხო აბაშიძეებისა და თავდგირიძეების საგვარეულოს ისტორიას. ძირითადად მოყვანილია XVII-XVIII საუკუნეების ცნობები. იგი აჭარაში აბაშიძეების დასახლებისა და აღზევების შესახებ ორ, ერთიმეორისაგან განსხვავებულ, ცნობას იძლევა. პირველი ცნობით აბაშიძეები აჭარაში (ბათუმის მხარე) დასახლებულან XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. გიორგი აბაშიძეს (1684-1711) იმერეთიდან გამოუძევებია ზოგი მისი ურჩი თანამოგვარე, ისინი ბათუმის მხარეში გადმოსახლებულან, გამუსლიმანებულან და ოსმალეთის სამსახურში ჩამდგარან.

მეორე ცნობის თანახმად ზურაბ წერეთელმა (1747-1823) აბაშიძეების ორი ძმა ტყვედ გაყიდა ოსმალეთში. ეს მოხდა XVIII საუკუნის ბოლოს. ისინი ბათუმში დასახლებულან. ო.სოსელია დაასკვნის, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდა მეორე ვერსიასაც. ჩვენი აზრით, ეს ცნობები ბუნდოვანია და შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს. ნაშრომში არაფერია ნათქვამი აჭარელი აბაშიძეების ადგილ-მამულების შესახებ[2].

თავდგირიძეების აჭარაში დასახლებისა და აღზევების ისტორიასთან ერთად ავტორი იძლევა მოკლე ცნობებს მათი ადგილ-მამულების შესახებ. მაგრამ ეს ცნობები ასევე დაზუსტებას მოითხოვს. ო.სოსელიას აზრით, თავდგირიძეები აჭარაში გურიიდან გადმოსახლებულან, სინამდვილეში კი პირიქით იყო. საკამათოა ავტორის შეხედულება, რომლის თანახმად ბათუმის მხარე გურიის მთავარმა თავდგირიძეებს ჯერ უბოძა, შემდეგ კი (XVII საუკუნის მიწურულს) ჩამოართვა. ცხადია, XVII საუკუნის ბოლოს ბათუმის მხარეში თურქები ისე მძლავრად იყვნენ ფეხმოკიდებული, რომ გურიის მთავარს მისი ჩამორთმევა აღარ შეეძლო. ვერ გავიზიარებთ ო.სოსელიას იმ შეხედულებასაც, თითქოს ბათუმის მხარე ქვემო გურია იყოს.

მიწათმფლობელობის ოსმალური წესების გავრცელება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და მისი გავლენა მხარის გამუსლიმანებაზე, ბეგარა-გადასახადების ოსმალური ფორმები და სახეები დეტალურად

---

1 ო.სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. I. თბ., 1973, გვ.208-209.

2 ო.სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. II. თბ.,1981, გვ.177.

განხილულია ჩემს მიერ ადრე გამოქვეყნებულ შრომებში[1].

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სახალხო-გამათავისუფლებელ მოძრაობას ეხება შ.მეგრელიძისა და აბ.სურგულაძის შრომები, რომლებშიც განხილულია 1862 და 1875-1876 წლების აჯანყებანი აჭარაში[2]. შ.მეგრელიძის ნაშრომში სწორადაა ახსნილი მუჰაჯირობის გამომწვევი მიზეზები, მაგრამ ციფრები დაზუსტებას მოითხოვს[3]. საყურადღებოა ი.ბარამიძის ნაშრომი, რომელშიც შესწავლილია საადგილმამულო ურთიერთობანი XIX საუკუნის 70-80-იან წლებში[4].

განსახილველ ნაშრომში ჯეროვნადაა გათვალისწინებული ქართული საისტორიო მეცნიერების დღევანდელი მიღწევები. ამასთან ნაჩვენებია ისტორიოგრაფიაში არსებული ხარვეზები, შეცდომები და უზუსტობანი. ცხადია, წინამდებარე წიგნი ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგია. იგი დაიწერა სამეცნიერო ლიტერატურისა და პირველწყაროების გულდასმით შესწავლის შედეგად.

---

1 ო.თურმანიძე, მიწისმფლობელობის ოსმალური წესების გავრცელება ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში და მისი გავლენა მხარის გამუსლიმანებაზე (ჭოროხი, 1992, №4-5); ბეგარა გადასახადების ოსმალური სახეები ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში (ჭოროხი, 1994, №3-4).

2 შ.მეგრელიძე, ა.სურგულაძე, 18[illegible] წლის მღელვარება აჭარაში. ლიტერატურული აჭარა, 1962, №4; აბ.სურგულაძე, აჯანყება აჭარაში 1875-76 წლებში. კრებული აჭარის სოფელი. თბ., 1969; მისივე, განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში. ბათუმი, 1978.

3 შ.მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882 წლებში). თბ., 1964.

4 ი.ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათ., 1999.

# თავი პირველი

## მიწისმფლობელობის ოსმალური წესების შემოღება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

### 1. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობა ოსმალთა მიერ და მიწისმფლობელობის სამხედრო-ლენური სისტემის შემოღება

საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში წინააზიის ერთ-ერთი ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა. ამ პერიოდში საქართველომ არა მარტო აღადგინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, არამედ აგრეთვე თავის გავლენაში მოაქცია მეზობელი ქვეყნები (სომხეთი, აზერბაიჯანი). სამწუხაროდ, XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველომ თავისი ძლიერება დაკარგა. ამის მთავარი მიზეზი იყო შინაფეოდალური შუღლი, ურთიერთდაპირისპირება და გარეშე მტრების გამუდმებული შემოსევები. ასეთ პირობებში ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვეღარ შეძლო ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება. XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო დაიშალა სამეფო-სამთავროებად, მოგვიანებით კი წვრილ პოლიტიკურ ერთეულებად — სათავადოებად.

პოლიტიკურად დაშლილ-დაქუცმაცებული და სოციალურ-ეკონომიკურად დაუძლურებული საქართველო XV საუკუნიდან ჩაება ახალი მოძალადეების ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. წინააზიის ეს ორი უძლიერესი სახელმწიფო იბრძოდა ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის. ამ ბრძოლის ცენტრში საქართველო აღმოჩნდა თავისი განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო.

ირანი საქართველოს უტევდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ხოლო ოსმალეთი — სამხრეთ-დასავლეთიდან. საქართველოს წინააღმდეგ ოსმალეთის აგრესიის პირველ ცდებს ადგილი ჰქონდა XV საუკუნის დასაწყისში. 1418 წელს ოსმალებმა ხასან-ბეგ ალფარსლანის მეთაურობით ჭანეთი დაიპყრეს, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს. 1427/8 წელს კვლავ დაიპყრეს საქართველოს ეს ისტორიული მხარე. ამჯერადაც ქართველებმა დამპყრობლები ისევ გააძევეს[1]. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვითარება ერთობ გამწვავდა მას შემდეგ, როდესაც ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს (1453 წ.). ამიერიდან

---

1 ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ. ქართული თარგმანი. თბ., 1978, გვ.73.

სამიზნეში უშუალოდ საქართველო ამოიღეს. 1461 წელს ოსმალეთმა დაიპყრო ტრაპიზონი — საქართველოს კარიბჭე სამხრეთ-დასავლეთით. 1475 წელს მათ ყირიმიც დაიკავეს. ამით ოსმალეთმა საქართველოს საფრთხე შეუქმნა ჩრდილო-დასავლეთის მხრიდანაც.

XV საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, ტრაპიზონის დაკავების შემდეგ ოსმალებმა გააფართოვეს საომარი მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ. მათ 1474-1475 წლებში დაიკავეს ლაზეთი, ჭოროხის ხეობა, ბათუმი და ეს მხარეები მოხარკეებად აქციეს. თუმცა მტკიცედ მაინც ვერ დაბანაკდნენ, რადგან ქართველი ხალხი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. ოსმალეთს ამიერკავკასიის დაპყრობაში ირანი ეცილებოდა და XVI საუკუნის დამდეგს მათ შორის ხანგრძლივი ომები დაიწყო. პირველი ომის (1505-1555 წწ.) შედეგად მათ საქართველო გაინაწილეს. ირანმა აღიარა ოსმალეთის „უფლებები" დასავლეთ საქართველოსა და სამცხე-საათაბაგოს ნაწილზე. ოსმალეთი ცნობდა ირანის „უფლებებს" აღმოსავლეთ საქართველოსა და სამხრეთ-ჯავახეთზე. ირან-ოსმალეთის 1578-1590 წლების ომის შედეგად თურქეთი გაბატონდა მთლიან ამიერკავკასიაში.

მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალებმა ფეხი მტკიცედ ვერ მოიკიდეს. მათ ეს ტერიტორიები მალე დატოვეს. სამაგიეროდ ოსმალეთმა შემოიმტკიცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. 1639 წლის ზავის პირობით ირანმა სცნო ოსმალეთის „უფლებები" დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე. ოსმალები სისასტიკით ირანელებს არ ჩამოუვარდებოდნენ. ისინი განსაკუთრებულ ულმობლობას იჩენდნენ ქრისტიანების მიმართ. დამპყრობლები უმოწყალოდ ხოცავდნენ ადამიანებს, მათ შორის არ ინდობდნენ ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებსაც კი. სპობდნენ მატერიალურ ფასეულობებს, ეზიდებოდნენ ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებოდათ.

ქრისტიანების მიმართ ასეთ სისასტიკეს მათი საღვთო რჯულიც ავალებდა. ყურანის მე-8 სურა („საღვთო ნადავლი") ყველა მუსლიმანს ნებას აძლევდა „საღვთო ომში" დაეხოცა, ან ტყვედ წამოეყვანა „ურჯულოთა" ქვეყნის მამაკაცები, მონებად ექცია ქალები და ბავშვები და დაელათ აელოთ ყოველგვარი უძრავი და მოძრავი ქონება (ოქრო-ვერცხლი, ჭურჭელი, ტანსაცმელი, პირუტყვი, სახნავ-სათესი მიწები და ა.შ.). მთელი ამ ნადავლის 1/5 (ხუმს) სახელმწიფოს მეთაურისა იყო, ხოლო 4/5 ლაშქრობის მონაწილე მეომრებს უნდა გაენაწილებინათ[1].

ოსმალეთის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ათვისება, ამ ქართული მხარის თურქულ ორგანიზმთან მიერთება ყველაზე

---

1 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, II, გამოკვლევა, კომენტარები. თბ., 1973, გვ.116.

აქტიურად დაიწყო XVI საუკუნის პირველ ნახევარში. სწორედ აქეთკენ იყო გამიზნული ოსმალეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკა. მისი მთავარი ამოცანა იყო დაპყრობილი ხალხების გათურქება და გამუსლიმანება. ამ ამოცანას ემსახურებოდა ოსმალური ადმინისტრაციული მმართველობის სისტემა, რომელიც თავისი შინაარსითა და ფორმით სამხედრო-ფეოდალური იყო. სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დახაყოფების გამგებლები ფეოდალები იყვნენ, რომლებიც სამოქალაქოსთან ერთად სამხედრო ფუნქციებსაც ასრულებდნენ.

ოსმალეთის სახელმწიფოს ადმინისტრაციული სისტემის ძირითად რგოლს ეიალეთი შეადგენდა (1864 წლიდან ეწოდებოდა ვილაიეთი). მას სამხედრო და სამოქალაქო უფლებით აღჭურვილი პირი ე.წ. ბეგლარბეგი მეთაურობდა. ვილაიეთი სანჯაყებად იყოფოდა. იგი ქართულ სადროშოს უტოლდებოდა. მას დიდგვაროვანი ფეოდალი, ე.წ. სანჯაყბეგი მართავდა. სანჯაყები ყაზებად, ხოლო ეს უკანასკნელი ნაჰიებად იყოფოდა. ყაზა მაზრას, ხოლო ნაჰიე რაიონს თუ გაუტოლდებოდა. ყაზას ყაიმაყამი, ხოლო ნაჰიეს მუდირი განაგებდა.

ოსმალური ადმინისტრაციული მმართველობის სისტემა დაპყრობილ ქართულ მხარეებში XVI საუკუნის პირველ ნახევარში შემოიღეს. 1549 წლისათვის ტაო-კლარჯეთში ოთხი სანჯაყი არსებობდა (ოლთისის, ართვინის, კისკიმის, ნარმანის)[1]. მომდევნო წლებში ოსმალური მმართველობის .ადმინისტრაციული ერთეულები — სანჯაყები ჩამოაყალიბეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რეგიონებშიც. ისინი სამ ვალაიეთში შედიოდნენ (ახალციხის, ტრაპიზონის, არზრუმის). ახალციხის ანუ ჩილდირის ვილაიეთი 1579 წელს შეიქმნა, ხოლო ტრაპიზონისა — 1582 წელს. პირველი მათგანი 13 სანჯაყად, ხოლო მეორე 7 სანჯაყად იყოფოდა. ახალციხისა და ტრაპიზონის ვილაიეთები მხოლოდ ქართულ მიწებს აერთიანებდა. დანარჩენი ქართული ტერიტორიები არზრუმის ვილაიეთში შევიდა (თორთომი, ისპირი, პატარა არტაანი, ბასიანი). XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ახალციხის საფაშო 24 სანჯაყად იყოფოდა.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სანჯაყები მცირე ტერიტორიას მოიცავდა. დღევანდელი აჭარა ცენტრალური თურქეთის ერთ სანჯაყს თუ გაუტოლდებოდა, მიუხედავად ამისა აქ XVII საუკუნეში ოთხი, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე 5 სანჯაყი არსებობდა (ქვემო აჭარის, ზემო აჭარის, ბათუმის, მაჭახლის, გონიოს).

---

1 მ.სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბ., 1971, გვ.57, 81.

რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შედეგად ადმინისტრაციული მმართველობის გეოგრაფიამ საგრძნობი ცვლილებები განიცადა: სამცხე-ჯავახეთი საქართველოს დაუბრუნდა. მართალია, საქართველო რუსეთის კოლონია იყო, მაგრამ ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ-ტერიტორიული გამთლიანების მეტად რთულსა და ეკლიან გზაზე. 1844 წლიდან ჩილდირის ვილაიეთში შემავალი სანჯაყების ნაწილი (ზემო და ქვემო აჭარა, მაჭახელი, ლივანა), სამაზრო მართვის სტატუსით (ყაზა) ლაზისტანის სანჯაყს დაუქვემდებარეს. ეს უკანასკნელი კი ტრაპიზონის ვილაიეთში შედიოდა. 1844 წლის შემდეგ ლაზისტანის სანჯაყი 5 ყაზად (მაზრა) და 11 ნაჰიედ (რაიონი) იყოფოდა. ბათუმის ყაზაში შედიოდა ბათუმი და ჩურუქსუ, აჭარის ყაზაში — ზემო და ქვემო აჭარა, ლივანისაში – მაჭახელი და ლივანი, ხოფისაში — გონიო, ხოფა, არხავე, ათინის ყაზაში — ათინა და ჰემშინი.

ოსმალთა ბატონობის ხანაში სამხრეთ-დასავლეთმა საქართველომ რეგრესი განიცადა ცხოვრების ყველა სფეროში. გადაშენდა საქართველოსათვის ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზოგიერთი დარგი. მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ოსმალური წესების იძულებით თავს მოხვევის შედეგად ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა გაამუსლიმანეს, მრავალრიცხოვანი და მეტად დამამძიმებელი გადასახადების შემოღებით მოსახლეობა გააღატაკეს.

სულთნის მთავრობა ქართველების, ისე როგორც სხვა ქრისტიანი ხალხების, გაოსმალებასა და გამუსლიმანებაში ძალზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ოსმალური წესების გავრცელებას. ამ წესების მთავარი პრინციპი ის გახლდათ, რომ ადგილ-მამულის საკუთრება უშუალოდ დაკავშირებული იყო სახელმწიფოს სამხედრო საქმესა და მუსლიმანური რელიგიის რწმენასთან. მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ოსმალური წესებიდან გამომდინარეობდა გადასახადების სახეები, საგადასახადო სისტემა, ფეოდალური ლაშქრის მოწყობა.

მიწათმფლობელობის ოსმალური წესები ეფუძნებოდა ისლამის მთავარი საღვთო წიგნის ყურანის პრინციპებს, რომელთა დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ მიწის ერთადერთ მესაკუთრედ ითვლებოდა ღმერთი (ალაჰი), ხოლო დედამიწაზე მისი მოციქული (იმამი) — სულთანი. ყურანის პრინციპებზე დაყრდნობით ოსმალეთის იმპერიაში ჯერ კიდევ XV საუკუნეში შეიმუშავეს მიწათმფლობელობის კანონების პირველი კრებული. იგი ძირფესვიანად გადაამუშავეს XVI საუკუნეში სულეიმან დიდის მეფობის დროს (1520-1566 წწ.). აღნიშნული კანონმდებლობა ოსმალეთის იმპერიაში მოქმედებდა საადგილმამულო რეფორმამდე (XIX საუკუნის 40-50-იან წლებამდე).

ოსმალური საადგილმამულო კანონების თანახმად მიწა ეძლეოდათ

სამხედრო პირებს საკარგავის (ლენის) სახით. სამხედრო პირი ფეოდალია, რომელიც ოსმალეთში ცნობილი იყო სიფაჰის სახელწოდებით. იგი აუცილებლად მუსლიმანი უნდა ყოფილიყო. სამხედრო-ლენური სისტემის ძირითად ამოცანას შეადგენდა ომის დროს ფეოდალური ლაშქრის გამოყვანა. სიფაჰების უმრავლესობა საშუალო და წვრილი ფეოდალები იყვნენ. უმსხვილესი ფეოდალები (ბეგლარბეგები და სანჯაყბეგები) მართავდნენ ვილაიეთებსა და სანჯაყებს. სიფაჰებს სამხედრო ლენებზე საბუთებს სულთნის მთავრობა აძლევდა. ამისათვის საჭირო იყო ბეგლარბეგის შუამდგომლობა. სიფაჰის წოდება მემკვიდრეობითი იყო, ე.ი. მამიდან შვილზე გადადიოდა. ასეთ შემთხვევაში საბუთების განახლება ხდებოდა. ამ წოდების მოპოვება შესაძლებელი იყო სხვა გზითაც (პირადი დამსახურება, ყიდვა და სხვა). სიფაჰის წოდების მოპოვებისათვის აუცილებელი იყო ისლამისა და სულთნის მთავრობისადმი ერთგულება. შუა საუკუნეების ოსმალეთში სიფაჰები მთავარ სამხედრო ძალად ითვლებოდა. მათზე დამოკიდებული იყო სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ომებში გამარჯვება. ამიტომ მთავრობა სიფაჰების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. ურჩობისათვის, კერძოდ, ლაშქრის გამოყვანაზე უარის შემთხვევაში ისინი კარგავდნენ სამხედრო ლენს.

ზოგჯერ, განსაკუთრებით კი საგანგებო სიტუაციების დროს, საკარგავებს ფაშები არიგებდნენ. თიმარებსა და ზაიმებს აძლევდნენ იმ პირებს, რომლებიც სასწრაფოდ შეაგროვებდნენ ლაშქარს. ამის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის თურქი მოგზაური ევლია ჩელები. იგი წერდა: 1647 წ. სეიდ ახმედ-ფაშამ თორთომში მიიღო ცნობა გონიოს ციხეზე კაზაკების თავდასხმის შესახებ. თორთომის სანჯაყში მაცნეები დააგზავნა ლაშქრის შესაგროვებლად. მათ გაავრცელეს ფაშის მოწოდება: „ვისაც უნდა ცხენი, თიმარი და ზეამეთი მიიღოს, წამოვიდეს," არ დაელოდოს სულთნის ბრძანებას. მაცნეები ასევე დააგზანეს სხვებთან ერთად, ბათუმის სანჯაყშიც[1].

ამრიგად, ოსმალეთის სამხედრო-ლენური სისტემის საფუძველთა საფუძველს მიწა, ე.ი. მამული შეადგენდა. თურქეთში მიწები კატეგორიებად იყოფოდა. სულ მიწის 22 კატეგორია არსებობდა, რომელთაგან ძირითადი იყო ერაზი-მირიე, ვაყუფი და მულქი[2]. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანსა და თანაც წამყვანს

---

1 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, I, ქართული თარგმანი. თბ., 1971, გვ.323-324.

2 Аграрный строй османской империи XV-XVIII вв, документы и материалы. М.-Л. 1938, с. 107.

ერაზი-მირიეს კატეგორიის მიწები შეადგენენ. ეს იყო სახელმწიფო მიწები და სიფაჰებს სამხედრო ლენები სწორედ მიწის ამ ფონდიდან ეძლეოდათ. ვაყუფი-მუსლიმანური ეკლესიისა და რელიგიური დაწესებულების მიწები ძირითადად შეწირული სოფლებისა და ნაკვეთებისაგან შედგებოდა, რომელიც ხელშეუვალად ითვლებოდა. მულქი კერძო საკუთრების მიწებია. ამ კატეგორიის მიწებზე საბუთები გაიცემოდა განსაკუთრებულ პირობებში. ამიტომ ოსმალეთის იმპერიაში კერძო საკუთრების მიწები უმნიშვნელო იყო.

ფეოდალების ნაწილი ადგილ-მამულებს ფლობდა იურთლუქისა და ოჯაკლიქის ფორმით. ეს ძირითადად სახასო მიწებია, რომლებიც მემკვიდრეობით ეძლეოდათ დაპყრობილი ქვეყნების გამუსლიმანებულ ფეოდალებს. ოსმალეთის იმპერიაში იურთლუქისა და ოჯაკლიქის ორი სახე არსებობდა: კერძო (მულქი) და სახელმწიფო მიწები (ერაზი მემლექეთი).

მიწათმფლობელობის ოსმალური წესები ქართულისაგან მკვეთრად განსხვავებული იყო. საქართველოში ადგილ-მამულები კერძო საკუთრებაში ჰქონდათ არამარტო სამეფო საგვარეულოს, არამედ აგრეთვე ფეოდალებს, სხვა სოციალურ ფენებსაც. აქ ადგილ-მამული სამხედრო საქმესა და რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებული არ ყოფილა. ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანებს ადგილ-მამულები რომ შეენარჩუნებინათ, აუცილებელი იყო სარწმუნოების შეცვლასთან ერთად სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში ყოფნა. ყოველივე ეს ქართველი კაცისათვის აუტანელი იყო. ქართველობა გააფთრებულად იბრძოდა თავისუფლებისა და სამამულო მიწათმფლობელობის შენარჩუნებისათვის.

ოსმალეთის იმპერიაში სახელმწიფო კატეგორიის მიწები იყოფოდა სხვადასხვა სიდიდის სამხედრო ლენებად-თიმარებად, ზეამეთებად, ხასებად. თიმარი ისეთი სამხედრო ლენია, რომლის წლიური შემოსავალი 1000-დან 19.999 ახჩას შეადგენდა. ზეამეთისა-20 ათასიდან 100 ათას ახჩამდე აღწევდა. სახასო მიწების წლიური შემოსავალი 100 ათას ახჩას აღემატებოდა[1]. მცირე თიმარი, რომლის წლიური შემოსავალი 500-დან 1000 ახჩამდე აღწევდა, ცნობილი იყო აზაბისა და ისარის სახელწოდებით.

თიმარის მფლობელს თიმარიოტი, ხოლო ზეამეთისას ზაიმი ეწოდებოდა. თიმარსა და ზეამეთზე ბარათებს იძლეოდა როგორც ვილაიეთის ფაშები, ისე სულთნის მთავრობა. ბარათს სამხედრო ლენზე რომლის შემოსავალი 1000-დან 4000 ახჩამდე აღწევდა,

1 ახჩა წარმოდგება არაბული სიტყვისაგან და ნიშნავს მოთეთროს. იგი პირველად მოიჭრა 1328 წელს და იწონიდა 1,54 გრამს.

ვილაიეთის ფაშა (ბეგლარბეგი) იძლეოდა. თუ სამხედრო ლენის შემოსავალი 4000 ახჩას აღემატებოდა, ასეთ შემთხვევაში ბარათს სულთანი გასცემდა.

დადგენილი წესის თანახმად თიმარიოტს ყოველ 3000 ახჩა შემოსავალზე ერთი მოლაშქრე უნდა გამოეყვანა. ზაიმს კი ერთი მეომარი გამოჰყავდა 5000 ახჩა შემოსავალზე. სამხედრო ლენის მემკვიდრეობით გადაცემის ან გაყიდვისათვის აუცილებელი იყო სულთნის მთავრობის, შესაბამისად ფაშის ნებართვა. ამის შემდეგ ახალ მფლობელს სპეციალური საბუთი ეძლეოდა.

სახასო მიწები ეძლეოდათ ვეზირებს, სულთნის კარის მოხელეებს, ფაშებს (ბეგლარბეგებს), სანჯაყბეგებს. სახასოდან მიღებული შემოსავალი ხმარდებოდა მათი ოჯახების შენახვას, ნაწილი კი გადაირიცხებოდა სულთნის მთავრობის სალაროში. ვილაიეთის ბეგლარბეგის (ფაშის) სახასოს წლიური შემოსავალი, როგორც წესი, 400 ათას ახჩას აღემატებოდა, სანჯაყბეგისა კი 200 ათასიდან 400 ათას ახჩამდე აღწევდა[1].

ფეოდალურ ხანაში ხალხის მარჩენალად ყველა ქვეყანაში გლეხი გვევლინება. ასე იყო ოსმალეთის იმპერიაშიც. გლეხი ოსმალეთში ცნობილია რაიას სახელით. იგი მიმაგრებული იყო მიწაზე და მისგან მოწყვეტას სულთნის მთავრობის კანონმდებლობა სასტიკად კრძალავდა. მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობისათვის სიფაჰებსა და რაიებს შორის სპეციალური საბუთი ფორმდებოდა, რომელსაც თაფუ ერქვა.

გლეხი (რაია) ვალდებული იყო დაემუშავებინა მიწის ნაკვეთი, მოეწია მოსავალი და ფეოდალისათვის (სიფაჰი) გადასახადები დროულად გადაეხადა. თავის მხრივ ფეოდალს გლეხი კონტროლქვეშ ჰყავდა, რათა მიწის ნაკვეთი დაუმუშავებელი არ დარჩენილიყო. იმ შემთხვევაში, როდესაც გლეხს მემკვიდრე არ ჰყავდა, მიწის ნაკვეთი ახალი თაფუს საფუძველზე, იმავე პირობით, სხვას ეძლეოდა. ერთი სიტყვით, სამხედრო ლენის მფლობელი სიუზერენია. ძირითადად ასეთი იყო სამხედრო-ლენური სისტემის დედააზრი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიწათმფლობელობის ოსმალური წესების გავრცელება დაიწყო XVI საუკუნის პირველ ნახევარში, ე.ი. ამ მხარის დაპყრობისთანავე. სულთნის მთავრობის პოლიტიკის მთავარი მიზანი – დაპყრობილი ქვეყნების გაოსმალება და გამუსლიმანება დამოკიდებული იყო ამ წესების გავრცელებასა და დამკვიდრებაზე.

მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ოსმალური წესების გავრცელება და დამკვიდრება ერთბაშად არ მომხდარა. იგი ხანგრძლივი პროცესი იყო, მტკივნეულად და რთული წინააღ-

---

[1] მ.სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XVI-XVIII სს.). თბ., 1990, გვ.11; შ.ლომსაძე, დასახ. ნაშრ., გვ.378.

მდევობების პირობებში მიმდინარეობდა. ქართველობას, ყოველ შემთხვევაში მის მოწინავე ნაწილს, კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ამ წესების შემოღება „ოსმალობის", როგორც სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას მოასწავებდა. პრაქტიკულად ეს ერის გადაშენება იქნებოდა. ამიტომ ქართველი მოსახლეობა ოსმალეთის მთავრობას შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა. მთავრობაც ფრთხილად მოქმედებდა და თავის მიზანს შენიღბულად და ამავე დროს შეუპოვრად ახორციელებდა.

დაპყრობილი ქართული ქვეყნების ინკორპორაციის, მოსახლეობის გაოსმალებისა და გამუსლიმანების მიზნით ოსმალეთის სახელმწიფოს მოხელეებმა არაერთხელ აღწერეს სამხრეთ-დასავლეთი საქართველო. შეადგინეს დავთრები, რითაც ცენტრალურ ხელისუფლებას დეტალური ინფორმაცია გააჩნდა.

ოსმალეთის მთავრობამ თანდათანობით მოარღვია ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა. ადგილობრივი ქართული ხელისუფლება ყველგან შეიცვალა ოსმალურით. ვილაიეთის, სანჯაყის, ყაზის, ნაჰიეს სათავეში დააყენეს გამუსლიმანებული ქართველი ფეოდალები. ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთის შექმნიდან 49 წლის შემდეგ (1628 წ.) საბოლოოდ მოსპეს ქართული ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი ფორმა — ერისთავ-ათაბაგის ინსტიტუტი.

ამიერიდან იგი შეცვალა სულთნის მთავრობის მოხელემ — ფაშამ. ქართველ ფეოდალებს წაართვეს საქართველოს მეფეთა მიერ გაცემული საბუთები ადგილ-მამულების საკუთრების შესახებ. ეს ადგილ-მამულები ოსმალეთის სახელმწიფოს კუთვნილებად გამოაცხადეს და სამხედრო ლენებად (თიმარი, ზეამეთი, სახასო) გადააქციეს. მათ მფლობელობა-სარგებლობის შესახებ კი სპეციალური ბარათები გასცეს.

სულთნის მთავრობის მიერ ბარათების გაცემა დაიწყო XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან და ძირითადად დასრულდა XVIII საუკუნეში. ამ ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დამყარდა მიწათმფლობელობის სამხედრო-ლენური სისტემა. ქართველი მოსახლეობა გამუსლიმანდა. აღსანიშნავია, რომ ყოველი ახალი სულთნის ტახტზე ასვლისას ხდებოდა დოკუმენტების განახლება. ამასთან დაპყრობილი ქართული კუთხეების მფლობელობაზე სულთანი ბარათებს აძლევდა აგრეთვე არაქართველ მუსლიმანებსაც, ძირითადად ფაშებს, აგრეთვე დაბალი ჩინის სამხედრო თუ სახელმწიფო მოხელეებს.

XVI საუკუნის 80-იან წლებში სულთანმა მურად მესამემ (1574-1595 წწ.) საკარგავების შესახებ ფირმანები უბოძა რამდენიმე პირს. მათგან საყურადღებოა 1588 წელს გაცემული ერთ-ერთი ბარათი, რომელიც ეხება ჯაყლების საგვარეულო სახლის

წარმომადგენელს, მანუჩარის ძმას. მასში ნათქვამია: ფოცხოვის სანჯაყბეგმა სულეიმანმა სულთნის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა მანუჩარის ძმას, რომელიც გამუსლიმანდა, ებოძოს მამული ხერთვისის სანჯაყში. სულთანმა ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა და მანუჩარის ძმამ მიიღო ფირმანი 11999 ახჩიან მამულზე აღნიშნულ სანჯაყში[1]. ზემოაღნიშნული საბუთი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ადგილ-მამულებზე ფირმანები ეძლეოდათ მხოლოდ გამუსლიმანებულ ფეოდალებს.

ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე ბათუმისა და ტრაპიზონის სანჯაყებში გაცემული ბარათები. 1583 წელს მურად III სამხედრო ლეშის შესახებ ფირმანი უბოძა ბათუმის ბეგლარბეგს ვინმე მუსტაფას, რომლის საფუძველზე მას გადაეცა 16000 ახჩიანი თიმარი. ამ შემოსავლის დაახლოებით მესამედი (5333 ახჩა) უნდა გაეგზავნა არზრუმის ციხის დამცველებისათვის. 1586 წელს გაცემულია საბუთი ბათუმის სანჯაყის თიმარზე, რომლის წლიური შემოსავალი 6000 ახჩას შეადგენდა. 1588 წელს ბათუმის სანჯაყის დავთარდარს (საფინანსო საქმეების გამგებელი) ვინმე ალის ებოძა ასევე 6000 ახჩიანი თიმარი. 1592 წლის ფირმანით იმავე ბათუმის სანჯაყის ბეგლარბეგს მუსტაფას გადაეცა ოთხი თიმარი, რომელიც მდებარეობდა ტრაპიზონის სანჯაყის თორულისა და იემენის ნაჰიებში. მათი საერთო წლიური შემოსავალი 8720 ახჩას შეადგენდა[2]. 1617 წელს ბათუმის ლივას (სანჯაყის) გამგებელი იყო გამაჰმადიანებული ქართველი ომერ (ომარ) ფაშა. ქათიბ ჩელების წიგნებში იგი ბეგლარბეგად მოიხსენიება[3].

XVI საუკუნიდან მოყოლებული XVII საუკუნის პირველი ნახევრისათვის ოსმალეთის მთავრობას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გამუსლიმანებულ ქართველ ფეოდალებზე გაცემული ჰქონდა რამდენიმე სახასოს, ასეულობით ზეამეთისა და თიმარის ფირმანი. ამ ხანაში ვილაიეთებსა და სანჯაყებს ათაბაგი ჯაყელების საგვარეულო ჰქონდა. ცხადია, სახასოს ფირმანები გაცემული იყო აღნიშნული გვარის წევრებზე. ახალციხის ვილაიეთის სახასოს წლიური შემოსავლი 4563.444 ახჩას შეადგენდა. მასში შემავალი სანჯაყების სახასოების წლიური შემოსავალი განსხვავებულია. მაგალითად, ოლთისის სანჯაყის სახასოს წლიური შემოსავლი

---

1 ნ.შენგელია, XV-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები. თბ., 1974, გვ.182.

2 XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტალური წყაროები, I. თბ., 1987, გვ.22-25.

3 ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ. ქართული თარგმანი. თბ., 1978, გვ.276.

200.017 ახჩას უდრიდა, არტანუჯისა – 280.000, შავშეთისა – 558.000, ლივანისა – 600.000, მაჭახლისა – 203.000, აჭარის სანჯაყის სახასოს წლიური შემოსავალი 200.000 ახჩას შეადგენდა.

სანჯაყის სახასოები, როგორც უმსხვილესი საკარგავები, იყოფოდა მსხვილ, საშუალო და წვრილ სამხედრო ლენებად. მაგალითად, ოლთისის სანჯაყში 126 სამხედრო ლენი ითვლებოდა. მათ შორის ზეამეთი – 3, ხოლო თიმარი – 123. არტაანის სანჯაყში – 4 ზეამეთი და 9 თიმარი[1]. ტრაპიზონის ეიალეთში სულ ითვლებოდა 454 საკარგავი, აქედან ბათუმის ლივაში იყო 13 ზეამეთი და 72 თიმარი. ბათუმის სანჯაყის საფინანსო საქმეების გამგებლის (დავთარდარი) წლიური შემოსავალი 40299 ახჩას შეადგენდა. ტრაპიზონის ვილაიეთიდან სამხედრო ლაშქარში გაჰყავდათ 3000 შეიარაღებული მეომარი[2].

ჯაყლების საგვარეულოს წევრები, გარდა სახასო მიწებისა, ზეამეთებსა და თიმარებსაც ფლობდნენ. აღნიშნული საკარგავები მათ ჰქონდათ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა სანჯაყში, გარდა ბათუმის ლივისა.

XVIII საუკუნის დასაწყისში ჩილდირის ეიალეთში (ახალციხის საფაშო) 874 საკარგავი აღირიცხა. მათ შორის 17 სახასო, 90 ზეამეთი, 767 თიმარი. 17 სახასო მამულიდან 15 სანჯაყი გაცემული იყო იურთლუქისა და ოჯაკლიკის წესით. ესენია: 1. არტანუჯი, 2. ალთუნყალა, 3. ახალქალაქი, 4. ზემო აჭარა, 5. ქვემო აჭარა, 6. ლივანა, 7. ნისფი ლივანა, 8. მამირვანი, 9. ოლთისი, 10. ოცხე, 11. შავშეთი, 12. ფოცხოვი, 13. ფერთექრექი, 14. ხერთვისი, 15. ჭაჭარვაქი. საკარგავების დიდ ნაწილს კვლავინდებურად ფლობდნენ გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალები. XVIII საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უმსხვილეს მიწათმფლობელებად კვლავ გვევლინება ჯაყლების საგვარეულო.

ჩილდირის ბეგლარბეგის იუსუფ ფაშას ყოველწლიური შემოსავალი ერთ მილიონ ახჩას ითვლიდა. ეს ორჯერ მეტია იმ შემოსავალზე, რაც მის წინამორბედს გააჩნდა XVII საუკუნის პირველ ნახევარში. XVIII საუკუნეში ჯაყლების საგვარეულოს სამემკვიდრეო მფლობელობაში იყო ახალციხის, აჭარის, შავშეთის, არტანუჯის, ოლთისის, ლივანას, ნისფი ლივანას, ფერთექრექის, ფოცხოვის, ხერთვისის, ოცხეს, ქვემო და ზემო აჭარის სახასოები. 1712 წლის აღწერით ისაკ ფაშა ჯაყელს (იუსუფ ფაშის შვილი) სახასო მამული ჰქონდა არტანუჯის სანჯაყის ამავე დასახელების

1 მ.სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ.308-309

2 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, I, ქართული თარგმანი. თბ., 1971, გვ.82.

ნაჰიეში, რომლის წლიური შემოსავალი 416825 ახჩას შეადგენდა[1].

1705-1706 წლების ცნობით, ქვემო აჭარის სანჯაყის სახასოს ფლობდა სანჯაყბეგი საფარ ჯაყელი. ამ სახასოს ყოველწლიური შემოსავალი 208.959 ახჩას ითვლიდა. ზემო აჭარის სანჯაყის სახასოს ყოველწლიური შემოსავალი 200 ათას ახჩას უდრიდა. იგი ეკუთვნოდა იუსუფ მუსტაფის-ძეს იურთლუქისა და ოჯაკლიქის წესით[2].

1729-1730 წლების აღწერით აჭარა ერთ სანჯაყად ითვლებოდა. სახასო მამულს ფლობდა სანჯაყბეგი აბდულნური იურთლუქისა და ოჯაკლიქის წესით. მისი ყოველწლიური შემოსავალი 527.590 ახჩას უდრიდა. ამავე წლების ცნობით ოლთისის სანჯაყში სახასო მამული, რომლის შემოსავალი 196 ათას ახჩას შეადგენდა, იურთლუქისა და ოჯაკლიქის წესით ეკუთვნოდა ისაკ ფაშის შვილს ალი ჯაყელს. ამავე წესით ფლობდა სახასო მამულს ფერთეკრეკის სანჯაყში სანჯაყბეგი იბრაიმი. მისი ყოველწლიური შემოსავალი 519.390 ახჩას აღწევდა[3].

ნისფი ლივანას სანჯაყბეგის ჰასან ფერათის-ძე ჯაყელის ყოველწლიური შემოსავალი სახასო მამულიდან, 1712 წლის ცნობით, 202.240 ახჩას ითვლიდა. აღნიშნული სახასო გაცემული იყო იურთლუქისა და ოჯაკლიქის წესით[4]. 1725-1726 წლების მონაცემებით, შავშეთის სახასო იურთლუქისა და ოჯაკლიქის წესით გაცემული იყო ხალილ ბეგზე. აღნიშნული სახასო ახალციხის საფაშოში (ჩილდირის ეიალეთი) ყველაზე მსხვილ მამულად ითვლებოდა. მისი ყოველწლიური შემოსავალი 565.875 ახჩას შეადგენდა[5].

მაჭახლის სანჯაყის სახასოს შესახებ ოსმალეთის სულთნის ახმედ II-ის 1692 წლის 21 დეკემბრის ფირმანში ნათქვამია: ამ კუთხის ადგილ-მამულის საკუთრებაზე ქართული საბუთი ჰქონია

---

1 ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თბ., 1979, გვ. 138.

2 იქვე, გვ. 116; წყაროში მითითებულია, რომ ზემო აჭარის სახასო მამული მდებარეობს სოფელ მელიქწმინდაში (ამჟამად ჟანივრი). ჩვენი აზრით, ზემო აჭარის ერთი სოფლიდან ამ სიდიდის გადასახადის ამოღება პრაქტიკულად შეუძლებელია. ალბათ, ამის გამო მკლევარმა რ.სურმანიძემ ეჭვი გამოთქვა ამ შემოსავალზე (გაზ. „აჭარა", 26 აპრილი, 1997). საერთოდ „ჯაბა დავთარში" სახასო მამულების შესახებ ყველგან მითითებულია სოფლები. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გადასახადები მხოლოდ ამ ერთი სოფლის მიერაა გაღებული. სავარაუდოა, სახასო მამულების მდებარეობის აღმნიშვნელი სოფლები სანჯაყბეგების მთავარი მოხელეების ადგილსამყოფელოა.

3 ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თბ., 1979, გვ.199.

4 იქვე, გვ.140.

5 იქვე, გვ.186.

ახმედს. ამ საბუთის საფუძველზე თვითნებურად დაიკავა მაჭახლის სანჯაყი. ახმედს მემკვიდრე არ დარჩენია. მისი გარდაცვალების შემდეგ მაჭახლის სანჯაყის სახასო მამული სამემკვიდრეო უფლებით (ოჯაკლიქი მულქიეთი) 1692 წლის დეკემბერში მაჰმუდს გადაეცა[1].

ზემოაღნიშნულ ფირმაში საინტერესო ის არის, რომ მაჭახლის კუთხე XVII საუკუნის ბოლომდე დარჩა გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალის კერძო საკუთრებაში. ამის იურიდიული საფუძველი ყოფილა საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ ბოძებული საბუთი. ადგილ-მამულზე საკუთრების შესახებ ქართული საბუთები სხვებსაც ჰქონდათ. მაგალითად, ქართველი აზნაურების შთამომავალს იაშვილს დიმიტრი ბაქრაძისათვის 1873 წელს გადაუცია გურიის მთავრის როსტომ გურიელის მიერ XVI საუკუნეში პერგამენტზე დაწერილი აქტი ქობულეთში მიწის ნაკვეთის საკუთრების თაობაზე[2]. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, როს ქართული მიწათმფლობელობის წესებსა და ფორმებს ოსმალეთის მთავრობა ულმობლად ებრძოდა. ამას მოწმობს მაჭახლის სანჯაყის სახასოს შესახებ ოსმალეთის სულთნის ახმედ II-ის 1622 წლის 21 დეკემბრის ფირმანში მოცემული სიტყვები: ამ მამულის გამგებელმა ქართული საბუთი გამონახა და მაჭახლის ლივა ვერაგულად ჩაიგდო ხელთ[3].

იურთლუქისა და ოჯაკლიქის წესით იყო გაცემული აგრეთვე ლაზისტანის სანჯაყის სახასო. ფირმანი დაწერილია 1640 წელს სანჯაყბეგ ხოსროს სახელზე. მასში ნათქვამია: „...დაე ფლობდეს ამიერიდან ხოსრო თავის სანჯაყს იმავე საფუძველზე, როგორც ქართველი ბეგები ფლობდნენ თავის მამულებს და სანამ იგი ერთგული იქნება ჩვენი სარწმუნოებისა, დაე განაგებდეს მემკვიდრეობით და შეუვლად მის კუთვნილ ციხეებს, სოფლებსა და გლეხებს და სარგებლობდეს თავისი მამულების შემოსავლით. მაღალამატებულებას ვაზირთა, ბეგლარბეგთა, სანჯაყბეგთა და სამხედრო ჩინთაგან ნურავინ მიეკარება ხოსროს სამფლობელოს ხარკის ასაკრებად, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ჩვენი უმაღლესი ნების დამრღვევი მიჩნეულ იქნეს დამნაშავედ უზენაესი ღმერთის წინაშე"[4].

---

1 XVII-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. წიგნი I, თბ., 1987, გვ.32-33.

2 დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 236-237; Кинтришский участок (в батумской области), „ქართული ისტორიოგრაფია", III. თბ., 1975, გვ.170.

3 XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები, I. თბ., 1987, გვ.32-33.

4 დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ.33.

XVIII საუკუნის დასაწყისში ბათუმისა და გონიოს სანჯაყების სახასო მამულების მფლობელებად ფიგურირებენ მეჰმედ ბეგი და დაბე ზადე მუსტაფ ფაშა. ამ უკანასკნელს 1723 წლის ფირმანის საფუძველზე დაენიშნა გასამრჯელო ბათუმისა და გონიოს სანჯაყების საკარგავების შემოსავლებიდან წელიწადში 25 ათასი ყურუში[1]. ეს საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა. თუ მას ახჩებზე გადავიყვანთ (ერთი ყურუში 160 ახჩას უდრიდა), მაშინ დაბე ზადე მუსტაფ ფაშას ყოველწლიური შემოსავალი ოთხ მილიონ ახჩას ითვლიდა. როგორც ვხედავთ, იგი ახალციხის საფაშოს ბეგლარბეგის იუსუფ ფაშის ყოველწლიურ შემოსავალს 4-ჯერ აღემატებოდა.

„ჯაბა დავთარში" გვხდება ისეთი სახასოები, რომელთა შემოსავალი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე კანონმდებლობით იყო დადგენილი. ეს სანჯაყებია: 1. დიდი არტაანი, 2. ფოცხოვი, 3. ახალქალაქი. დიდი არტაანის სახასო მამულის ყოველწლიური შემოსალი 24000 ახჩას ითვლიდა. მისი მფლობელი იყო სულთნის დაცვის ოფიცერი (მუთეფერიკი) ვინმე ჰასან ბეგი[2]. ფოცხოვის სანჯაყბეგს ომერს იურთლუქისა და ოდაკლიქის წესით სახასო მამული ჰქონდა ამავე სანჯაყის ჩრდილის ნაჰიეში, რომლის შემოსავალი 20650 ახჩას შეადგენდა. ახალქალაქის სახსაოს შემოსავალი 20 ათას ახჩას აღწევდა[3].

საერთოდ, სახასოს მესაკუთრენი, ზემოაღნიშნული სამი სანჯაყის გამოკლებით, უმსხვილეს მიწისმფლობელებად წარმოგვიდგებიან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მსხვილ მიწათმფლობელებად გვევლინებიან ზეამეთებისა და თიმარის ზოგიერთი მფლობელი. თიმარიოტების უმრავლესობა კი საშუალო და წვრილი ფეოდალები იყვნენ. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე სამხედრო ლენების რაოდენობის, ფეოდალთა კატეგორიებისა და ეკონომიკური სიძლიერის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ქვემოთ მოყვანილი მონაცემებით (იხ.ცხრილი)[4].

---

1 XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. თბ., 1987, გვ.109-110; ყურუში არის ვერცხლის ფული, რომელმაც ოსმალეთში 1687 წელს შეცვალა ახჩა. ევროპელები ოსმალურ ყურუშს პიასტრს უწოდებდნენ.

2 ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თბ., 1979, გვ.163.

3 იქვე, გვ.83, 177.

4 ცხრილი შედგენილია: ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თბ., 1979, გვ. 100-204; ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ (XVII-XVIII სს.), წიგნი II. თბ., 1989, გვ.121-276. ცხრილში არ შედის სახასოები. ამასთან აღსანიშნავია, რომ 3 სამხედრო ლენის შემოსავლი 20 ათას ახჩაზე ნაკლებია, თუმცა ისინი წყაროში მოხსენებულია ზეამეთებად. სამწუხაროდ, სრულყოფილი მონაცემები არ გაგვაჩნია ბათუმის, გონიოს, მაჭახლის, შავშეთის, ლივანასა და ნისფი ლივანას სანჯაყების შესახებ.

ცხრილი

| სანჯაყების დასახელება | სამხედრო ლენების სულ | მათ შორის | | თიმარების ყოველწლიური შემოსავალი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ზეამეთი | თიმარი | 999 ახჩამდე | 1000-დან 4999 ახჩამდე | 5000-დან 9999 ახჩამდე | 10000-დან 20000 ახჩამდე |
| დიდი არტაანი | 100 | 8 | 92 | | 31 | 35 | 26 |
| პატარა არტაანი | 161 | 5 | 156 | | 92 | 55 | 9 |
| ოლთისი | 67 | 3 | 64 | 1 | 24 | 36 | 3 |
| არტანუჯი | 68 | 3 | 65 | 4 | 37 | 17 | 7 |
| ფოცხოვი | 40 | 4 | 36 | 1 | 11 | 14 | 10 |
| ფანაკი | 66 | 12 | 54 | 3 | 18 | 23 | 10 |
| ზემო აჭარა | 14 | 4 | 9 | | 1 | 3 | 6 |
| ქვემო აჭარა | 14 | 2 | 12 | 1 | 4 | 7 | - |
| სულ ჯამი | 530 | 41 | 488 | 10 | 218 | 190 | 71 |

ზემოთ მოყვანილი ცხრილი ცხადყოფს: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უკვე მე-18 საუკუნის პირველ მესამედში ჩამოყალიბებული იყო გამუსლიმანებული აღა-ბეგების მრავალრიცხოვანი ფენა. მათი უმრავლესობა საშუალო და მსხვილი ფეოდალებია. თუ ჩავთვლით, რომ 5000-დან 10000 ახჩამდე შემოსავლის მქონე პირი საშუალო ფეოდალია, მაშინ ამ კატეგორიის მიწისმფლობელებზე მოდიოდა სამხედრო ლენების საერთო რაოდენობის 36%, ხოლო მსხვილ ფეოდალებზე (ათი ათას ახჩაზე მეტი შემოსავლით) - თითქმის ერთი მეხუთედი. ამრიგად, ამ ორივე კატეგორიის მემამულეებზე ფეოდალური კლასის საერთო რიცხოვნობის ნახევარზე მეტი (56%) მოდიოდა.

ჩვენი დაკვირვებით, 1000-დან 5000 ახჩამდე შემოსავლის მქონე სამხედრო ლენის მფლობელი წვრილი ფეოდალია. მათზე მოდიოდა სამხედრო ლენების 40%. დანარჩენი 4% უწვრილესი მემამულეების კატეგორიაში გადის. ფანაკის ლივაში სამი უწვრილესი საკარგავი აღირიცხა. პირველის შემოსავალი 200 ახჩას, მეორესი - 376, ხოლო მესამე საკარგავის შემოსავალი 500 ახჩამდე აღწევდა[1]. არტანუჯის სანჯაყის ამავე დასახელების ნაჰიეში უწვრილესი სამ-

1 ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თბ., 1979, გვ.175-176, 182.

ხედრო ლენი ოთხ პიროვნებას ჰქონდა სოფელ მეიდანში. თითოეული მათგანის შემოსავალი 875 ახჩას ითვლიდა. ოლთისის, ქვემო აჭარისა და ფანაკის სანჯაყებში 500-ახჩიანი თითო საკარგავი აღირიცხა[1].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს 8 სანჯაყში არსებული სამხედრო ლენების თითქმის ნახევარი (261) გაცემული იყო ორ ლივაში – დიდ არტაანსა და პატარა არტაანში. დიდი არტაანის სანჯაყში საშუალო და მსხვილი საკარგავები 69 %-მდე აღწევდა. 8 ზეამეთიდან 3-ის ყოველწლიური შემოსავალი 30 ათას ახჩას აღემატებოდა. მაგალითად, ამავე სანჯაყის ტყე ნაჰიეს სოფელ კიზილქილისის საკარგავის ყოველწლიური შემოსავალი 40 ათას ახჩას, ზვარის ნაჰიეს სოფელ ფიჩხისა და სოფელ ფარხელის ზეამეთების შემოსავალი 30-30 ათას ახჩას ითვლიდა[2].

პატარა არტაანში, მართალია, ჭარბობდა წვრილი ფეოდალური მიწათფლობელობა. მაგრამ ამასთან აქ საშუალო და მსხვილი მიწათფლობელების რაოდენობა ყველა სანჯაყზე მეტი იყო (დიდი არტაანის გამოკლებით). არტანუჯის სანჯაყის სოფელ სამაკარში 30 ათასი ახჩიანი სამხედრო ლენი გაცემული იყო ვინმე მეჰმედზე. ფანაკის სანჯაყში გაცემული 12 ზეამეთიდან მსხვილად ჩაითვლებოდა მხოლოდ ორი. პირველი იყო 38 ათასი ახჩიანი, ხოლო მეორე – 39 ათასი ახჩიანი[3].

ზემომოყვანილი ცხრილი ასევე საინტერესო მონაცემებს შეიცავს ქვემო და ზემო აჭარის სანჯაყებში ფეოდალური მიწისფლობელობის შესახებ. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქვემო აჭარაში არსებული 14 სამხედრო ლენიდან 2 ზეამეთი და 12 თიმარია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონშიც ჭარბობენ საშუალო და მსხვილი მიწათფლობელები. სამხედრო ლენების მფლობელთა ნახევარი საშუალო კატეგორიის ფეოდალები იყვნენ. 1724-1725 წლებში სოფელ მერისის ზეამეთს, რომლის შემოსავალი 30 ათას ახჩას აღწევდა, ფლობდა ვინმე მუსტაფა. 1726-1727 წლებში სოფელ ზვარეს ზეამეთი (26500 ახჩისა) ეკუთვნოდა მეჰმედ ახმედისძეს. აღნიშნული ზეამეთი ახალციხის საფაშოს ბეგლარბეგის იუსუფ ფაშის არზით 1731 წელს გადაეცა ღურსუნ მუსტაფასძეს, რომელიც თბილისში ოსმალთა ლაშქარში ირიცხებოდა[4].

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქვემო აჭარის სოფელ

---

1 ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თბ., 1979, გვ.142, 157, 158, 167, 186, 201.

2 იქვე, გვ.117, 194, 195.

3 იქვე, გვ.114, 128.

4 იქვე, გვ.180, 190.

კვაშტაში სამი თიმარიოტი აღირიცხა. 1706-1707 წლებში ამ სოფლის თიმარიოტის იბრაიმის ყოველწლიური შემოსავალი 5000 ახჩას აღწევდა. 1720-1721 წლებში ალი აბდულასძის შემოსავალი – 5500 ახჩას,. ხოლო 1722-1723 წლებში მეჰმედ ოსმანისძის შემოსავალი 4000 ახჩას შეადგენდა[1].

ქვემო აჭარის სოფელ ახოში ორი საკარგავი ითვლებოდა. პირველის შემოსავალი 3430 ახჩა-მდე აღწევდა და გაცემული იყო იაჰია მეჰმედისძეზე. მეორე საკარგავი 3960 ახჩიანი ეკუთვნოდა დევრიშ მეჰმედისძეს. ზუნდაგას (წყაროში წერია „ზუნდალა") სამხედრო ლენის ყოველწლიური შემოსავალი იყო 6000 ახჩა. მას ალი მირზა ფლობდა. სოფელ აქუცას 7000 ახჩიანი საკარგავი გაცემული იყო მეჰმედ აბდულასძეზე[2].

სოფელ წონიარისში ოთხი თიმარი ითვლებოდა. ძმები იბრაიმი, ოსმანი და იაჰია მეჰმედისძენი საზიაროდ ფლობდნენ თიმარს, რომლის ყოველწლიური შემოსავალი 6000 ახჩას შეადგენდა. ამავე სოფელში ძმები ალი და დერვიშ ჰასანისძენი ასევე საზიაროდ ფლობდნენ 7000 ახჩიან თიმარს. ოსმან მეჰმედისძეს ეკუთვნოდა 5540 ახჩიანი, ხოლო ოსმანს – 4330 ახჩიანი საკარგავი[3].

მართალია, ზემო და ქვემო აჭარაში სამხედრო ლენები მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ჭარბობდა საშუალო და მსხვილი მიწათმფლობელების ფენა. ამ კატეგორიის მემამულეთა (აღა-ბეგების) ხვედრითი მახასიათებელი 92,3 %-ს შეადგენდა. მათ შორის ფეოდალური საკარგავების მფლობელთა 70 % მსხვილ მიწათმფლობელებად გვევლინება.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ზემო აჭარაში ზეამეთების სახით გაცემული იყო სოფლები აგარა (პანტნარა), ნიგაზეული, (ნიგოზეული), ვანი, კვატია (ჯვარისხევი). პირველი სამი ზეამეთის ყოველწლიური შემოსავალი ცალ-ცალკე 20 ათას ახჩას, ხოლო მეოთხესი – 25 ათას ახჩას უდრიდა. მათი მფლობელების ვინაობა ჩვენთვის ჯერჯერობით ამოუცნობია, რამდენადაც, როგორც წესი, წყაროში მხოლოდ სახელებია მინიშნებული. მაგალითად, აგარის ზეამეთის მფლობელი იყო ვინმე ჰასანი, ნიგაზეულის-აბდულრაჰმანი, ვანის-მეჰმედი, ხოლო კვატიისა – ოსმანი[3].

ზემო აჭარის სოფელ რაგვთას (რაბათი) საკარგავის მფლობელი იყო ჰასანი, რომლის ყოველწლიური შემოსავალი 10500 ახჩას ითვლიდა. სამოლეთის (სამულეთი) 5000 ახჩიან სამხედრო ლენს

---

1 ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თბ., 1979, გვ.130, 165, 174.

2 იქვე, გვ.160, 176, 178.

3 იქვე, გვ.184, 185, 188; „ჯაბა დავთარში" დასახელებული სოფლების თანამედროვე დასახელება გამოიცნო მკლევარმა რ.სურმანიძემ (იხ. გაზ. „აჭარა", 26 აპრილი, 1997).

იბრაიმი ფლობდა. სოფელ წყაროთას თიმარიოტი იყო ჰასანი, რომლის შემოსავალი 10499 ახჩას შეადგენდა. 1712-1714 წლებში ჰკანაში ორი საკარგავი აღირიცხა. იუსუფის თიმარის შემოსავალი 9000 ახჩას, ხოლო დევრიშისა – 1600 ახჩას უდრიდა[1].

1706-1707 წლებში სამხედრო ლენის სახით გაცემული იყო უჩამბა (უჩამბა), რომელიც რამდენიმე სოფლისაგან შედგებოდა. იგი დღევანდელ ამავე დასახლების საკრებულოს, ანდა მის დიდ ნაწილს მოიცავდა. მისი მფლობელი იყო ისმაილი, რომლის ყოველწლიური შემოსავალი 12 ათას ახჩას შეადგენდა[2]. ეს თითქმის ოთხნახევარჯერ მეტია ამავე საკრებულოში შემავალი სამოლეთის თიმარის შემოსავალზე. ხულოს 12 ათას ახჩიან საკარგავს ფლობდა ვინმე ალი. სოფელ ჩაოს საკარგავი, რომლის ყოველწლიური შემოსავალი 15500 ახჩა იყო, ეკუთვნოდა მუსტაფას. ამავე პიროვნების მფლობელობაში ყოფილა სოფელ ღურტას სამხედრო ლენი (11999 ახჩა შემოსავლით).

1730-1731 წლებში სოფელ ახალდაბას საკარგავის მეპატრონე იყო აჰმედი, რომელიც ყოველწლიურად იღებდა 7870 ახჩას[3].

ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთრის მიხედვით ლივანას სანჯაყში აღრიცხულია მხოლოდ ორი სამხედრო ლენი. ერთი სახასო, რომლის შესახებ ზემოთ ითქვა. მეორე – 3000 ახჩიანი თიმარი სოფელ ძირულაბექობში, რომელიც მუსტაფას ეკუთვნოდა. შავშეთის სანჯაყში, ამავე „ჯაბა დავთრის" მონაცემებით, აღწერილია სამი საკარგავი, (ერთი სახასო და ორი თიმარი). სოფელ სათლელში არსებული 5292 ახჩიანი თიმარის მფლობელი იყო ვინმე ისლამი[4].

თურქეთის ხანგრძლივი ბატონობის პირობებში, სულთნის მთავრობის მოხელეთა ზეწოლის, ამასთან მიწათმფლობელობის ოსმალური წესების თავს მოხვევისა და გამუსლიმანების შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველობა იძულებული გახდა გამოეცვალა გვარ-სახელები. თუ 1595 წელს, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის შედგენისას, ქართველები ეროვნულ გვარ-სახელებს ატარებდნენ, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე მათი პიროვნული ვინაობა ცნობილია არაბულ-ოსმალური სახელებით. ეს პროცესი ეროვნული და სარწმუნოებრივი გაუცხოების მაჩვენებელია.

მიუხედავად ამისა, ქართული გვარ-სახელები და სამამულო მი-

---

1 ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თბ., 1979, გვ. 129, 132, 137, 141.

2 იქვე, გვ. 129.

3 იქვე, გვ. 139-140, 149, 180, 200-201.

4 იქვე, გვ. 107-108, 140, 160.

წათმფლობელობის წესები მაინც შემორჩა. ამის შესახებ საყურადღებოა „ჯაბა დავთარში" მოცემული ცნობა იმის შესახებ, რომ შავშეთში ქართველი წარმომავლობის ფეოდალები კვლავ აზნაურებად მოიხსენება, „ჯაბა დავთარში" ნათქვამია: ალი ჰუსეინისძეს, შავშეთის აზნაურთაგანს სამეფო ლაშქრობაში გასვლის პირობით სამან ბეგთან ერთად კვლავ გადაეცა ის ჩიფთლიქი და სხვა მამულები, რომელსაც ფლობდა იგი, როცა შეეძლო სიფჰაის სამსახური[1]. ეს ცნობა და აგრეთვე ქართველი ეროვნების ფეოდალებზე მამულების გადაცემა იურთლუქისა და ოჯაკლიქის წესით, მიგვანიშნებს იმაზე, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული სამამულო მიწათმფლობელობა მთლიანად მოშლილი არ იყო.

ცხადია, ოსმალეთის მთავრობას ეს მდგომარეობა დიდად აწუხებდა. ქართული სამამულო მიწისმფლობელობის საბოლოო ლიკვიდაციის მიზნით სულთნის მთავრობა ერთმანეთს უპირისპირებდა ადგილობრივ ფეოდალებს და ამ მხარეში გადმოხვეწილ ქართველებს, ხელს უწყობდა ამ უკანასკნელთა აღზევებას. ამით იყო განპირობებული, რომ XVIII საუკუნიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კი XIX საუკუნის პირველ ნახევარში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საკმაოდ დაკნინდნენ, თავიანთი ძლიერება დაკარგეს ჯაყელების საგვარეულომ და სხვა ადგილობრივმა მსხვილმა ფეოდალებმა. ამავე ხანაში აღზევდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან გადმოხვეწილი ისეთი საგვარეულო სახლის წევრები, როგორიც არიან აბაშიძეები, თავდგირიძეები, ხიმშიაშვილები, შერვაშიძეები და სხვები. ომალეთის მთავრობამ მათ უბოძა მსხვილი სამხედრო ლენები. ამასთან ზოგიერთმა მათგანმა მამულები შეიძინა ადგილობრივი ფეოდალებისაგან, რომლებიც ფინანსურ-ეკონომიკურ სივიწროვეს განიცდიდნენ. მაგალითად, შავშეთში მამულები იყიდა აბდი სელიმის-ძე ხიმშიაშვილმა ჯაყელებისაგან. XIX საუკუნის 40-60-იან წლებში აბდი ხიმშიაშვილის შვილები სელიმი და ნური ამ მხარის მსხვილ მიწათმფლობელებად ითვლებოდნენ.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული ერთ-ერთი საბუთის მიხედვით აჭარაში ვინმე ესეთ-ბეგი ფლობდა სამხედრო ლენს, რომელიც ოთხი სოფლისაგან შედგებოდა (კვაშტა, ტბეთი, აგარა, ქველი). საბუთი გაცემულია სულთან აბდულ ჰამიდ მესამის დროს 1789 წელს. აღნიშნული სამხედრო ლენის წლიური შემოსავალი 26950 ახჩას ითვლიდა. აქედან კვაშტაზე 12500 ახჩა მოდიოდა, ქველზე — ამდენივე, ტბეთზე — 1750, ხოლო აგარაზე — 200 ახჩა. ესეთ-ბეგის გარდაცვალების შემ-

---

1 ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თბ., 1979, გვ. 164.

დეგ აღნიშნული სამხედრო ლენი, სულთნის ახალი ფირმანით, მის შვილს ისმაილს გადაეცა იმავე პირობით[1].

აბაშიძეების აჭარაში ჩამოსახლებისა და აღზევების შესახებ სამეცნიერო, მემუარულ თუ პუბლიცისტურ ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული, ერთიმეორის საპირისპირო შეხედულება[2]. ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია პროფ. ო.სოსელიას აზრი, რომლის მიხედვით აბაშიძეები ბათუმის მხარეში ჩამოსახლებულან XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე[3].

ბათუმში გადმოსახლებული აბაშიძეები ოსმალეთის მთავრობის სამსახურში ჩადგნენ და სანჯაყბეგის წოდებაც მიიღეს. ისინი ბათუმის მხარის მსხვილი მიწისმფლობელები გახდნენ. ოსმალეთის სულთნის ახმედ მესამის (1703-1730) მიერ 1715 წელს გაცემული ფირმანით ბათუმელ აბაშიძეებს გადაეცათ სამხედრო ლენი, რომელიც 16 სოფლისაგან შედგებოდა[4]. ეს სოფლები განფენილი იყო მდინარე ქოროხიდან ჩაქვამდე. იმავე სულთნის მიერ 1717 წელს გაცემული ფირმანით ძმებს ახმედ და მუსტაფ აბაშიძეებს გადაეცათ სახასო, რომლის წლიური შემოსავალი 200 ათას ახჩას უდრიდა. აქედან 11040 ახჩა (70 ყურუში) უნდა შეეტანათ სახელმწიფო ხაზინაში. დანარჩენი თანხა კი მათ რჩებოდათ[5].

თავდგირიძეები აჭარაში XVII საუკუნეში ჩამოსახლებულან ახალციხიდან. თავდაპირველად დასახლდნენ ბათუმის შემოგარენში—კახაბერში. აქედან ქვემო აჭარასა და ქობულეთში გადასახლდნენ. საცხოვრებლად აურჩევიათ სოფლები ხუცუბანი, ალამბარი და ქობულეთი. გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის 1772 წლის ცნობით, თავდგირიძეებს ეკუთვნოდათ ქობულეთი და ალამბარი[6]. ქვემო აჭარაში საცხოვრებლად შეარჩიეს სოფლები ქედა და მახუნცეთი.

---

1 საქართველოს ცენტრალური სახელმწითო საისტორიო არქივი (შემდგომში-სცსსა) ფ.231, ანაწ.1, ს.99, ფურც.7

2 აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია აბაშიძეების საგვარეულოს მოკლე ისტორია, რომელიც შეუდგენია იუსუფ ალის ძე აბაშიძეს. მასში აღნიშნულია, რომ აბაშიძეები აჭარაში ჩამოსახლდნენ XVI საუკუნის პირველ ნახევარში. სანჯაყბეგის წოდება პირველად მემედ აბაშიძეს ებოძა სულთან სულეიმან დიდის დროს. (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქივი, ხელნაწერთა ფონდი, ს.48, ფურც.1-9).

3 ო.სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადო), 1, თბ., 1973, გვ.206-209.

4 სცსსა, ფ.231. ანაწ.1, ს.99, ფურც.7.

5 ხ.ახვლედიანი, ნარკვევები აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები). ბათუმი, 1944, გვ.95.

6 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. თბ. 1962, გვ.313.

პირველი მათგანი მალე მიატოვეს. დ.ბაქრაძე ამის შესახებ წერდა: „...ზედ მდინარესთან იდგა პატარა კვადრატული ციხე თავდგირიძის გვარის ბეგებისა, რომელთაც უკვე მიეტოვებინათ ქედა[1]." მახუნცეთში კი თავდგირიძის გვარის შთამომავლობა დღესაც სახლობს.

XVIII საუკუნის ბოლოს ქობულეთის მხარის თავდგირიძეების საგვარეულო ორად გაიყო. ერთი გურიაში (სოფელი აკეთი) დასახლებულა, ხოლო მეორე შტო ქობულეთში დარჩა[2]. გურული და აჭარელი თავდგირიძეების ნათესაობას მოწმობს ცარიზმის ოფიციალური მასალებიც. 1828 წელს გენერალი გესე კავკასიის მთავარმართებლის პარკევიჩისადმი გაგზავნილ პატაკში აღნიშნავდა გურული და აჭარელი თავდგირიძეების ნათესაობის შესახებ[3]. ამ ნათესაობაზე 1841 წელს მიუთითებდა ოზურგეთის მაზრის უფროსიც[4].

გურიაში დასახლებული თავდგირიძეები ამ სამთავროს სამოხელეო სამსახურში ჩადგნენ და გურულ მთავრებთან ნათესაური კავშირიც გააბეს. დ.ბაქრაძის მიერ მოძიებულ სიგელ-გუჯრებში მოხსენიებულია გიორგი, მირზაბეგ და მამუკა თავდგირიძეები. პირველი ორი XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და XVIII საუკუნის დასაწყისში შედგენილ საბუთებში გვხვდება, გურიის მთავრების ქაიხოსრო პირველისა და გიორგი მესამის დროს. მამუკა თავდგირიძე მოხსენიებულია 1767-1771 წლების ეკლესიის წარწერებში გიორგი V გურიელის დროს[5].

ქობულეთელი თავდგირიძეები XVIII საუკუნის ბოლოს გამუსლიმანდნენ და ამის შემდეგ ოსმალეთის სულთნისაგან მიიღეს ბეგობის წოდება და დიდძალი მამულები სამხედრო ლენების სახით. დ.ბაქრაძის მიერ შედგენილი გენეალოგიური სქემის მიხედვით თავდგირიძების საგვარეულოს პირველი მუსლიმანი ბეგი იყო სულეიმანი, რომელსაც 4 შვილი ჰყავდა: მემედი, ასლანი, ისმაილი, სეიდი. სულეიმან თავდგირიძის შთამომავლები ქობულეთისა და ხინოს სასოფლო თემების 20-მდე სოფლის, როგორც სამხედრო ლენების, მფლობელები იყვნენ. მათი სამფლობელო ჩოლოქიდან ციხისძირამდე იყო გადაჭიმული[6].

---

1 დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ.48.

2 დ.ხახუტაიშვილი, ქობულეთის მხარე XV-XVIII სს. 1951, ხელნაწერი; აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქივი, ხელნაწერთა ფონდი, ს.459, ფურც.70-71.

3 akak, m. VII, c.415.

4 akak, m. IX, c. 162.

5 დ.ბაქრაძე, დასახ.ნაშრ ., გვ.93

6 Д.Бакрадзе, Кинтришский участок (в Батумской области). ქართული ისტორიოგრაფია, III. თბ.,1975, გვ.170, 177.

XIX საუკუნეში თავდგირიძეების შთამომავლებიდან ყველაზე მეტად აღზევდნენ მემედის შვილები ალი, ოსმანი, ხასანი. ისინი ოსმალეთის სახელმწიფოს ფაშის ტიტულს ატარებდნენ. ხასან-ფაშა თავდგირიძე ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.) მოიკლა. მისი გარეგნული პორტრეტის წარმოსადგენად საინტერესოა ერთი დეტალი, რომლის შესახებაც მოგვითხრობს გიორგი წერეთელი: ხასან-ფაშის, როგორც მოღალატის, მოკლულ თავს მთელ საქართველოში დაატარებდნენ... „მე თვითონ მახსოვს, თუ როგორ ჩამოატარეს მისი თავი საჩვენებლად ქუთაისში, სპირტიანი შუშის ქილაში. მაშინ 10 წლისა ვიყავი და კარგად მახსოვს თურქეთის ფაშის ეს წარმოსადეგი თავი სპირტში. შავი, მოკლედ შეჭრილი წვერით, არწივისებური ცხვირით, დიდი თვალებით და მეტად რკალისებურად მოღუნული სქელი წარბებით"[1].

ხიმშიაშვილების აღზევება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იწყება ჯაყლების საგვარეულოს დაცემის შემდეგ. ამ პროცესში დიდი როლი შეასრულა ოსმალეთის მთავრობამ. თავისი მიზნების მისაღწევად სულთნის მთავრობა იყენებდა ნაცად ვერაგულ მეთოდს — ქართველების ერთიანობას, მათ ძალასა და ძლიერებას ისევ ქართველების ხელით შლიდა. ცხადია, ოსმალეთის მთავრობამ ხიმშიაშვილები გამოიყენა ჯაყლების საგვარეულოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ძლიერების შესარყევად, მათი დაკნინებისა და დაცემისათვის.

ჯაყლების საგვარეულოს . დაცემის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მსხვილ მიწისმფლობელებად გვევლინებიან ხიმშიაშვილები. ამ გვარის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჩამოსახლების შესახებ განსხვავებული შეხედულება არსებობს. ზოგიერთი მონაცემით ისინი აჭარაში საცხოვრებლად გადმოსულან ქართლიდან (დუშეთის მაზრა). სხვები კი იმერეთისა და კახეთის ცნობილი თავადების საგვარეულოს აკუთვნებდა[2].

აჭარელი ხიმშიაშვილების ისტორიით დაინტერესდა კავკასიის სამეფისნაცვლოც. შერიფ ხიმშიაშვილის თხოვნით კავკასიის არმიის მთავარსარდალმა 1879 წელს საკითხის შესწავლა დაავალა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს თავმჯდომარე დავით სუმბათაშვილი კავკასიის სამეფისნაცვლოში 1879 წლის 19 ივლისს გაგზავნილ ცნობაში აღნიშნავდა, რომ ხიმშიაშვილები ქართველ თავადაზნაურთა წო-

---

1 გ.წერეთელი, პუბლიცისტიკა. თბ.,1973, გვ.105.

2 დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 118; თ.სახოკია, მოგზაურობანი. ბათუმი, 1985, გვ.184.

დებას ეკუთვნიან, მაგრამ აჭარელი ხიმშიაშვილების დუშეთის მაზრიდან წარმომავლობა არ დასტურდებაო.

კომისიამ, რომელსაც მეთაურობდა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი კ.კომაროვი, ხიმშიაშვილების გვარზე მხოლოდ უკანასკნელი ორასი წლის ისტორიის მასალების შეგროვება შეძლო (მე-17 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე). ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი 1879 წელს კავკასიის არმიის მთავრსარდალს მოახსენებდა, რომ აჭარელი ხიმშიაშვილები წარმომავლობით ეკუთვნიან იმერეთის თავადების საგვარეულოს[1].

ხალხური ზეპირსიტყვიერების მონაცემებით, ხიმშიაშვილები აჭარაში ჩამოსახლებულან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში და ზემო აჭარის სოფელ ნიგაზეულში დასახლებულან. აჭარელი ხიმშიაშვილების პირველ წარმომადგენლად საისტორიო წყაროებში დასახელებულია ვინმე აბდული, რომლის ქართული სახელი ჩვენთვის უცნობია. როგორც ჩანს, იგი აქ მუსლიმანი გახდა, ოსმალეთის მთავრობის ყურადღებაც მიიპყრო და ბეგობის წოდებაც მიიღო. ოსმალეთის მთავრობის დავალებით აბდულ ხიმშიაშვილმა 1782 წელს შეიარაღებული რაზმით თავს დაესხა გურიის სოფელ აკეთს. ამოცანა ის იყო, რომ გაენადგურებინა თავდგირიძეების საგვარეულოს გურიის შტო, რამდენადაც ისინი იბრძოდნენ ქობულეთის მხარის გამოხსნისათვის. იგი ამ ბრძოლაში მოუკლავთ[2].

მისი შვილი სელიმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურა გახდა. მან ისარგებლა ახალციხის საფაშოს გამგებლების — ჯაყელების საგვარეულოში არსებული შიდაბრძოლებით და შეიარაღებული აჭარლების დახმარებით ამ მხარის მმართველობა სამჯერ ჩაიგდო ხელში (1802, 1803-1809 და 1812-1815 წლები)[3].

სელიმ ხიმშიაშვილი სამთუღიანი ფაშის ტიტულს ატარებდა, რაც ოსმალეთში ვაზირის წოდებას უტოლდებოდა. სელიმის სიკვდილის შემდეგ (1815 წ.) მისი შვილები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფაქტიური მფლობელები გახდნენ. უფროსი ვაჟი ფარხადი ახალქალაქის გამგებელი იყო, ახმედი — აჭარის, აბდი — შავშეთის, დურსუნი — ტაოსკარის[4]. ამათგან ყველაზე უფრო ახმედ

---

1 აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქივი, ხელნაწერთა ფონდი, ს. 172, ფურც.157, 241.

2 ო.სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, II, თბ., 1981, გვ.177.

3 დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1887, გვ.68; შ.ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ.253.

4 დ.ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ.68.

ხიმშიაშვილი დაწინაურდა. მას ჯერ ფაშობის წოდება, შემდეგ კი სერასკირის თანამდებობაც მიიღო.

პოლიტიკური აღზევების შედეგად ხიმშიაშვილების საგვარეულომ თავის ხელში მოაქცია დიდძალი ადგილ-მამულები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ყველაზე მსხვილი მემამულე იყო ახმედ ხიმშიაშვილი, რომელსაც საკარგავის უფლებით ადგილ-მამულები ჰქონდა როგორც აჭარაში, ისე არტაანსა და ფოცხოვში. სულთანმა აბდულ მეჯიდმა 1857 წელს გაცემული ფირმანით ახმედ ხიმშიაშვილის შვილს შერიფს დაუმტკიცა სამხედრო ლენი, რომელიც ზემო აჭარის ექვსი სოფლისაგან შედგებოდა[1].

მსხვილი სამხედრო ლენის მფლობელები იყვნენ ქვემო აჭარის ბეგები შერვაშიძეები. ისინი აფხაზეთიდან გურიასა და ბათუმის მხარეში გადმოსახლებულან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ბათუმიდან კი ქვემო აჭარაში გადმოსახლდნენ და ოსმალეთის მთავრობის სამსახურში ჩადგნენ. XIX საუკუნის 70-იან წლებში ამ საგვარეულოს ერთ-ერთი წევრი ხასან შერვაშიძე მუშაობდა ქვემო აჭარის ყაიმაყამად. დ.ბაქრაძის ცნობით ხასან შერვაშიძეს ქვემო აჭარიდან ასასი მოლაშქრე გამოუყვანია და ოსმალეთის ჯართან ერთად რვა წლის განმავლობაში ბოსნიაში იბრძოდა[2]. ცხადია, ასეთ დავალებას ის ასრულებდა ვინც ფლობდა სამხედრო ლენს.

---

1 სცსსა, ფ.231, ს.99, ფურც.7.

2 დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1887, გვ.63;

## 2. საადგილმამულო რეფორმა და მიწისმფლობელთა კლასის მდგომარეობა

ოსმალეთში სამხედრო-ლენური სისტემის რღვევა დაიწყო XVII საუკუნის მეორე ნახევარში. ფეოდალური ლაშქარი ვეღარ აკმაყოფილებდა სახელმწიფოს დამპყრობლურ მიზნებს. სამხედრო ლენის მფლობელები ხშირად ურჩობდნენ, ცენტრალურ ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდნენ. ისინი ესწრაფვოდნენ თავიანთი სამხედრო ლენები სამემკვიდრო საკუთრებაში დაემტკიცებინათ, რასაც მთავრობის მხრივ საპასუხო რეაქცია მოსდევდა. მაგრამ პრაქტიკულად ცენტრალურ ხელისუფლებას მათ წინააღმდეგ ბრძოლა უჭირდა, სამხედრო ლენის მფლობელთა ურჩობას ემატებოდა კოლონიებში გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც.

ოსმალეთის იმპერიაში თანდათანობით მწიფდებოდა პირობები სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმების, ახალი რადიკალური რეფორმების გატარებისათვის. ამ გზაზე გარკვეული ნაბიჯი იყო იანიჩართა კორპუსის განადგურება, რაც 1826 წელს განხორციელდა. მის ნაცვლად რეგულარული არმია შექმნეს. მომდევნო წლებში მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები მიიღეს სამხედრო-ლენური სისტემის ლიკვიდაციის მიზნით. 1839 წლის 3 ნოემბერს სულთანმა ოფიციალურად გამოაცხადა ჰატი შერიფი (რესკრიპტი), რითაც ოსმალეთის იმპერიაში რეფორმები დაიწყო. ეს რეფორმები 1870 წლამდე გაგრძელდა და თურქეთის ისტორიაში ცნობილია თანზიმათის სახელით[1].

თანზიმათის გატარებით ქართველ ფეოდალთა უფლებები და პრივილეგიები იზღუდებოდა. XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ისინი სტამბოლში გამოიძახეს. ქართველ მეფეთა თუ თურქეთის სულთნების მიერ გაცემული საბუთები წაართვეს და ამის შემდეგ ოფიციალურად გამოუცხადეს თანზიმათის ცნობილი სიტყვები: „იმპერიის ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად კლასისა და რელიგიისა, ერთნაირ საფუძველზე იხდის გადასახადს."

მთავრობის ამ ღონისძიებას აღა-ბეგების რეაქცია მოჰყვა. ისინი წინ აღუდგნენ საადგილმამულო რეფორმას. შეუპოვარი წინააღმდეგობის გამო მთავრობა იძულებული გახდა დროებით გადაედო საადგილმამულო რეფორმის გატარება. იგი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო და 60-იანი წლების ბოლოს დამთავრდა.

საადგილმამულო რეფორმის გატარებისათვის 50-იან წლებში

---

1 თანზიმათი არაბული სიტყვაა, რაც ქართულად გარდაქმნას, რეფორმას ნიშნავს.

სათანადო იურიდიული ბაზაც შეიქმნა. 1856 წელს გამოვიდა კანონი ე.წ. მუჰაჯირობის შესახებ, რითაც დადგინდა მათთვის მიწების გამოყოფის წესები და ნორმები. 1858 წელს სულთნის ხელისუფლებამ მიიღო ახალი კანონი მიწის საკუთრებაზე, ხოლო 1859 წელს – წესები ადგილ-მამულის მფლობელობაზე საბუთის (თაფუს) გაცემის თაობაზე. თანზიმათის შესახებ იურიდიული აქტები შევიდა სპეციალურ კრებულში, რომელიც მიწის კოდექსს წარმოადგენს. იგი ოსმალეთში ცნობილია დუსტურის სახელით.

თანზიმათის განხორციელების შემდეგ ქართველმა ფეოდალებმა დაკარგეს არა მარტო სამხედრო ლენები, არამედ აგრეთვე გლეხებზე მიწათსარგებლობის საბუთის (თაფუს) გაცემის უფლებაც. ოსმალეთის მთავრობის 1858 წლის 18 აპრილის საადგილმამულო კოდექსში აღნიშნულია: თიმარებისა და ზეამეთების ლენურ მფლობელთა მიერ მირიეს ანუ სახაზინო მიწების გაცემის ეს წესი (თაფუს საფუძველზე მიწების გაცემა) გაუქმებულია და ამიერიდან ყოველგვარი უძრავი ქონების მფლობელობა შეიძლება მოიპოვონ მხოლოდ მთავრობის სათანადო წარმომადგენლის ნებართვითა და თანხმობით[1].

მანამდე ე.ი. სამხედრო-ლენური სისტემის დროს, თაფუს გაცემისათვის ამოღებულ შემოსავალს ადგილობრივი ფეოდალები ითვისებნენ, ამიერიდან იგი სულთნის მთავრობის ხაზინაში შედიოდა და სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო გახდა. გ.ყაზბეგის ცნობით, ზემო აჭარაში თაფუს გაფორმებისათვის არაპირდაპირი გადასახადი რუსულ ფულზე გადაყვანით 1400 მანეთს შეადგენდა[2].

საადგილმამულო რეფორმის შემდეგ აღა-ბეგებს მამულები ჩამოართვეს. ბეგებს პენსიები დაუნიშნეს, ხოლო აღები გლეხებს გაუთანაბრეს. ამას გ.ყაზბეგიც გვიდასტურებს. მისი ცნობით, თანზიმათამდე შავშეთში იყვნენ ძველი ქართველი ჩამომავლობის საშუალო თუ წვრილი ფეოდალები-აზნაურები, სულ 90-მდე ოჯახი. მათი პრივილეგია ის იყო, რომ შეეძლოთ გლეხების ყოლა და ომებში თავიანთი ლაშქრით მონაწილეობა. ბეგები კი, როგორც მსხვილი ფეოდალები, სამემკვიდრეო უფლებით სარგებლობდნენ. თანზიმათის შემდეგ ბეგებს პენსიები დაუნიშნეს, ხოლო აზნაურები გლეხებს გაუთანაბრეს[3].

---

1 ა.ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში. ბათუმი, 1960, გვ.63.

2. გ. ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995, გვ. 64.

3 იქვე, გვ.95.

ლაზისტანის სანჯაყის ქართველი წარმოშავლობის ფეოდალების დაქვეითების შესახებ მოგვითხრობს დ.ბაქრაძე. იგი გადმოგვცემს ამ მხარის ბეგის ხასან მურადოღლის (მოურავიშვილის) ნაამბობს: ლაზეთის ბეგებს წინათ ბევრი მიწა, ზარბაზნებით გამაგრებული ციხეები და გემები ჰქონდათ. ასევე ბევრი ყმა ჰყავდათ. ყირიმამდე, ოდესამდე და დუნაიმდე დაცურავდნენ. შავ ზღვაზე ყველას შიშის ზარს სცემდნენ. ხანდახან ბათუმსა და ფოთსაც კი იკავებდნენ. ახლა გაცილებით სუსტნი არიან. მიწა, თუმცა ახლაც აქვთ, მაგრამ ამ მიწების მეტი ნაწილი 30 წლის წინათ წაართვა სულთანმა, რომელიც ცდილობს უბრალო ხალხს გაუთანასწოროს ისინი[1].

გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალების დაკნინების ბაქრაძისეულ შეფასებას მხარს უმაგრებენ ტრაპიზონში ინგლისის კონსულის ჯ.პალგრევისა და გ.ყაზბეგის ცნობებიც. ჯ.პალგრევი გადმოგვცემს: თანზიმათის გატარების შემდეგ ლაზეთის ბეგების ძალაუფლება მოსპეს, მამულებზე ბარათები წაართვეს და მიწების კონფისკაცია მოახდინეს, ანდა თვითნებურად დადგენილ ფასებში ჩამოართვეს. ბეგებს სისტემატურად აქვეითებენ და მათი ამგვარი მდგომარეობის დაკანონებას ცდილობენ[2].

ართვინელი ბეგები სამცხის ათაბაგების ჯაყელების მემკვიდრენი იყვნენ. გ.ყაზბეგის ცნობით XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, მათგან შემორჩენილი იყო ათი ოჯახი და ისინი აღებისაგან ბევრად არ გამოირჩეოდნენ[3].

როგორც უკვე ითქვა, სამხედრო ლენების ჩამორთმევის სანაცვლოდ ბეგებს სამემკვიდრეო პენსიები დაუნიშნეს. ქობულეთელ თავდგირიძეებზე საადგილმამულო საპენსიო ბარათები პირველად გაიცა 1849 წლის მარტში სულთან აბდულ მეჯიდის მიერ. მასში ნათქვამია: გონიოს სანჯაყის ჩურუქ-სუს ნაჰიეს ქობულეთისა და ხინოს სასოფლო თემებში შემავალი სოფლები სულეიმან ბეგის გარდაცვალების შემდეგ დარჩათ მის შვილებს (მეჰმედი, ასლანი, ისმაილი, სეიდი). მათი გარდაცვალების შემდეგ შთამომავლობამ მემკვიდრეობით მიიღო ადგილ-მამულები. მეჰმედს ჰყავდა ექვსი შვილი (ალი, ოსმანი, ხასანი, ხუსეინი, სულეიმანი, სეფერი.) ასლანს — 2 (ემინი, ბეხრი), ისმაილს — ამდენივე (ნური და რეშიდი), სეიდს — ხუსეინი. ყველა ისინი სულეიმანის შთამომავლები არიან. ჩემი 1849 წლის მარტის ბრძანებით სახელმწიფო ხაზინა-

---

1 დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987 გვ.29.

2 ИКОИРГО, т. VII, №1, 1881, с.82-83.

3 გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995, გვ.113.

დარს დაევალა გასცეს პენსიები ადგილ-მამულების შემოსავლების სანაცვლოდ. კერძოდ. მემედ თავდგირიძის თითოეულ ვაჟს ყოველწლიურად დაენიშნა 83 ყურუში, ასლან ბეგისა და ისმაილ ბეგის შვილებს თითოეულს – 250 ყურუში, სეიდ ბეგის შვილს – 500 ყურუში. დ.ბაქრაძის გაანგარიშებით ყველა მათგანი ერთად იღებდა 4 ქისას (1 ქისა არის რუსული 25 მანეთი) ე.ი. 100 მანეთს[1].

ბათუმის საადგილმამულო კომისიის მიერ შედგენილი სიით აჭარაში, შავშეთში, ართვინსა და არტანუჯში საადგილმამულო პენსია დანიშნული ჰქონდა 47 ბეგს. მაგალითად, შავშეთში საპენსიო ბარათები საფაროღლების 5 ბეგს ჰქონდა. ისინი ჯაყელების შთამომავლები იყვნენ. ამ საგვარეულოს სამ ბეგს – მემედს, სულეიმანს, ოსმანს სამ-სამი ბარათი გააჩნდათ. თითოეული მათგანი პირველი ბარათით 448 ყურუშს, მეორეთი – 76, ხოლო მესამე ბარათით – 41 ყურუშს იღებდა. ალიოსმან ბეგი და მისი ძმა ორ-ორ საპენსიო ბარათს ფლობდა. თითოეულს პირველი ბარათით დანიშნული ჰქონდა 448, ხოლო მეორე ბარათით – 76 ყურუში[2].

ლივანაში საადგილმამულო საპენსიო ბარათს 23 ბეგი ფლობდა. ისინი ასევე ათაბაგი ჯაყელების შთამომავლები იყვნენ. ლივანას ბეგები შედარებით ყველაზე დიდ პენსიებს იღებდნენ. ერთი მათგანი 1703 ყურუშს, ხოლო ორი ბეგი – 1042 ყურუშს (თითოეული) პენსიას იღებდა. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის (ზემო აჭარა) საადგილმამულო პენსია 588 ყურუშს, თუფან-ბეგ შერვაშიძისა (ქვემო აჭარა) – 62 ყურუშს ითვლიდა. ქობულეთში საადგილმამულო პენსიის ბარათს თავდგირიძეების საგვარეულოს ათი ბეგი ფლობდა. მათი პენსიების ოდენობა განსხვავებულია. უმცირესი პენსია 27, ხოლო უმაღლესი – 250 ყურუშს შეადგენდა. ჩათუმელი ბეგების აბაშიძეების საგვარეულოდან საადგილმამულო პენსიას 6 კაცი იღებდა. ოთხი მათგანი (ხუსეინი, სალიხი, იბრაიმი და ახმედი) 633 ყურუშს, ხოლო ორი ბეგი – დურსუნი და ისმაილი 317 ყურუშს იღებდა[3]. აღნიშნული საადგილმამულო საპენსიო ბარათები გაცემულია XIX საუკუნის 40-70-იან წლებში სულთან აბდულ მეჯიდის მიერ.

საადგილმამულო რეფორმის შემდეგ ოსმალეთის იმპერიაში შეიცვალა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები. რეფორმა ძირითადად სახელმწიფო და კერძო საკუთრების მი-

---

1 Д.Бакрадзе. Кинтришский участок (в батумской области). „ქართული ისტორიოგრაფია", III. თბ., 1975, გვ.167.

2 სცსსა, ფ.231, ან. 1, ს.36, ფურც.6.

3 იქვე, ფურც.6-7.

წებს შეეხო. 1858 წლის 18 აპრილის საადგილმამულო კოდექსის თანახმად მიწების უდიდესი ნაწილი (სახნავ-სათესი, საძოვრები, სათიბები, ტყეები) ერაზი მირიეს კატეგორიას განეკუთვნებოდა. ფაქტობრივად ამ კატეგორიის მიწებში შედიოდა აგრეთვე მეთრუქე (საზოგადოებრივ სარგებლობაში მყოფი მიწები), რომლის გასხვისება არ შეიძლებოდა და მევათი (გამოუყენებელი, აუთვისებელი მიწები). ბარათებს ერაზი-მირიეს მიწების მფლობელობა-სარგებლობისათვის სახელმწიფო იძლეოდა, მათ მხოლოდ პრივილეგირებული წოდება იღებდა.

აჭარის ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი (12 ათასი დესეტინა) სულთნის საკუთრებას შეადგენდა. იგი მდებარეობდა ქობულეთში, რომლის საზღვრები იყო აღმოსავლეთით სოფლები ქაქუთი და ღელვა, დასავლეთით — შავი ზღვა, ჩრდილოეთით — მდინარე ჩოლოქი, სამხრეთით — ისპანის სახელით ცნობილი ჭაობი. აქ ხარობდა ტყის საუკეთესო ჯიშები (მუხა, წაბლი, წყავ-მაზი, თელა და სხვა). ტყის ამ მასივზე სულთნის მთავრობას გამოყოფილი ჰყავდა საგანგებო დაცვა. მთლიანად აკრძალული იყო მუხის მოჭრა. დანარჩენი ჯიშის ხე-ტყეს ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობდა მხოლოდ საოჯახო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად[1].

მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობისათვის საბუთის (თაფუ) შესაძენად საჭირო იყო მიწის ღირებულების 5%-ის წინასწარი გადახდა, მაგრამ სინამდვილეში, როგორც სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი ა.ავალიანი, ეს თანხა გაცილებით მეტს, 10%-ს შეადგენდა[2]. თუმცა, მოსახლეობის მდაბიო ფენები ოსმალურ საადგილმამულო კანონმდებლობას საერთოდ არ იცნობდა. ამის შესახებ დ.ბაქრაძეც შენიშნავდა კინტრიშის უბნის მაგალითზე. იგი აღნიშნავდა, რომ ქობულეთში მოსახლეობამ, ბეგების გამოკლებით, არ იცის ოსმალეთის საადგილმამულო კანონმდებლობა. სამოქალაქო გარიგება უძრავ-მოძრავი ქონების, მათ შორის მიწის შესახებ, მარტივად ხდება. იგი მოგვაგონებს საქართველოში ძველად არსებულ წესებს. მიწის ნაკვეთების ნასყიდობის საბუთს ადგენს 2-4 კაცი მეჯლისისა და მუხტარის გარეშე. ამ ბარათს თითებით ან ბეჭდით ამოწმებენ. პრეტენზიის შემთხვევაში გარიგების მხარეები თვითონვე პასუხობენ ერთმანეთს[3].

რეფორმის შემდეგ გლეხობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობაში

---

1 Д.Бакрадзе. Кинтришский участок (в батумской области). „ქართული ისტორიოგრაფია", III. თბ., 1975, გვ.159; სცსსა, ფ.12, ან. 1, ს.782, ფურც.2.

2 ა.ავალიანი. დასახ. ნაშრ., გვ.69.

3 Д.Бакрадзе. Кинтришский участок (в батумской области). „ქართული ისტორიოგრაფია„ III. თბ., 1975, გვ.169, 175.

არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ისინი ადგილ-მამულებს როგორც ადრე, ისე თანზიმათის შემდეგ თავიანთ საკუთრებად თვლიდნენ. დ.ბაქრაძე კინტრიშის მხარის შესახებ წერდა: каждый кобулетец и хиноец называет себя собственником земли и леса, находящихся его владении и ползовании"[1]. თანზიმათის შემდეგ შეიცვალა მხოლოდ სიუზერენი. გლეხები ფეოდალების ყმობიდან გაათავისუფლეს და სახელმწიფო დასახლების კატეგორიაში გადაიყვანეს. ამიერიდან ისინი გადასახადებს უშუალოდ სახელმწიფოს უხდიდნენ. მათი გაწერისა და ამოღების მიზნით სოფლად შემოიღეს მთავრობის სპეციალური მოხელის თანამდებობა, რომელსაც მუხტარი ერქვა.

ფეოდალების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ რეფორმის შემდეგ მათ საკარგავის სახით აღარ ეკუთვნოდათ სოფლები ყმა გლეხებითურთ. სამაგიეროდ ფეოდალებმა შეინარჩუნეს სავაყუფო მიწები. ფაქტობრივად მათ საკუთრებაში რჩებოდა ის მამულები, რომლებსაც მანამდე ფლობდნენ. ამისათვის ფეოდალები მთავრობას უხდიდნენ საადგილ-მამულო გადასახადს — მიწის შემოსავლის მეათედს, რომელიც ოსმალეთში ცნობილი იყო აშარის სახელით[2].

მართალია, მოსახლეობის პრივილეგირებული ფენების მფლობელობა-სარგებლობაში მყოფი მიწები სახელმწიფოს საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ მათზე დაცული იყო მემკვიდრეობის უფლება. კანონმდებლობა ითვალისწინებდა ამ კატეგორიის მიწების გასხვისებასაც. ამისათვის საჭირო იყო მთავრობის ნებართვა და იგი ფორმდებოდა სპეციალური საბუთის — ახალი თაფუს გაცემით. ამ შემთხვევაში მიწათსარგებლობა-მიწათმფლობელობის წესები უცვლელი რჩებოდა, მხოლოდ გადასახადის გადამხდელი იცვლებოდა. ამასთან მთავრობას უფლება ჰქონდა მიწის ნაკვეთი ჩამოერთმია იმ მფლობელისათვის, ვინც მას სამი წლის განმავლობაში ზედიზედ არ დაამუშავებდა. კანონით ერაზი-მირიეს მიწებზე აკრძალული იყო, მთავრობის სპეციალური ნებართვის გარეშე, მრავალწლიანი ნარგავების გაშენება, შენობების აგება, წიაღისეულის მოპოვება, საშენი მასალების წარმოება.

საადგილმამულო რეფორმა თითქმის არ შეხებია ვაყუფს — მუსლიმანური რელიგიის დაწესებულებათა მიწებს. ძირითადად უცვლელი დარჩა ამ კატეგორიის მიწებზე მესაკუთრული უფლებები. შესამჩნევი ცვლილება იმაში გამოიხატა, რომ ვა-

---

1 Д.Бакрадзе. Кинтришский участок (в батумской области). „ქართული ისტორიოგრაფია", III. თბ., 1975, გვ.169.

2 ა.ავალიანი. დასახ. ნაშრ., გვ.69. სცსსა, ფ.13, ან. 7, ს. 2909, ფურც.83.

ყუფზე სახელმწიფო კონტროლი გაძლიერდა. ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებაში ვაყუფის სპეციალური სამმართველო შეიქმნა ვეზირის სტატუსით. აკრეფილი გადასახადების საერთო თანხიდან 5% აღნიშნული სამმართველოს განკარგულებაში რჩებოდა[1].

კანონმდებლობა კრძალავდა სავაყუფო მიწების კონფისკაციას. ამასთან მუსლიმანური რელიგიის დაწესებულებათა მამულები გათავისუფლებული იყო სახელმწიფო გადასახადებისაგან. სავაყუფო მიწებიდან მიღებული შემოსავალი ისევ მუსლიმანურ მეჩეთებსა და დაწესებულებებს ხმარდებოდა. თუ სავაყუფო მამული შეწირული იყო, მაშინ მისი შემოსავლის ნაწილს მიწების შემწირავი (მუთეველი) იღებდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ვაყუფის ორივე სახე არსებობდა: უშუალოდ მეჩეთების კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები და შეწირული ადგილ-მამულები. გასული საუკუნის 70-იან წლებში ვაყუფის კატეგორიის მიწები 143,5 დესეტინას შეადგენდა. აქედან არტანუჯში, ლივანასა და შავშეთ-იმერხევში 59 დესეტინა, ხოლო აჭარაში — 84,5 დესეტინა[2].

ზემოაღნიშნულ რეგიონებში მუსლიმანურ მეჩეთებსა და რელიგიურ დაწესებულებებს მიწის პატარა ნაკვეთები ეკუთვნოდათ. მაგალითად, შავშეთ-იმერხევში, არტანუჯსა და ლივანაში ვაყუფის კატეგორიის 34, ხოლო აჭარაში 38 მიწის ნაკვეთი აღირიცხა. შედარებით მსხვილი სავაყუფო მიწები ჰქონდათ ხულოს, ერგეს, ხალას, ბათუმის (აჭარა), უნუსხევის (შავშეთ-იმერხევი) მეჩეთებს[3].

ბათუმში ყველაზე დიდი მეჩეთი აუგიათ XIX საუკუნის 50-იან წლებში. იგი უნდა მომსახურებოდა აქ დაბანაკებულ თურქეთის რეგულარული არმიის ნაწილს. ამ მეჩეთისათვის ჯერ კიდევ 1861 წელს ერაზი-მირიეს კატეგორიის მიწებიდან 10 დესეტინამდე გამოიყო. თანხიმათამდე ამ მიწებს სანჯაყბეგები თავდგირიძეები და აბაშიძეები ფლობდნენ. მაგრამ რეფორმის შემდეგ აღნიშნული ადგილ-მამულები მათ დაკარგეს, სახელმწიფოს უშუალო საკუთრებაში მოექცა, სახელმწიფომ კი მეჩეთს გადასცა[4].

ზემო აჭარაში შედარებით დიდი მეჩეთი ხულოში აუგიათ ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. ამ მეჩეთთან ათამდე მედრესე აუშენებიათ, რომლებშიც მოსახლეობას მაჰმადის მოძღვრებას ასწავლიდნენ. ხულოს მეჩეთს ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილმა 1829 წელს შესწირა ზემო აჭარის 4 სოფელი,

---

1 სცსსა, ფ.13, ან. 7, ს.2909, ფურც.82.

2 იქვე, ფ.12, ან. 10, ს.2026, ფურც.49-51.

3 იქვე.

4 სცსსა, ფ.13 ან. 7, ს.2909. ფურც.89; ფ.12, ან. 10. ს.2026, ფურც.49-51.

არზრუმის ლალა-ფაშას მეჩეთზე ჯერ კიდევ XVI საუკუნეში შეწირული იყო შავშეთ-იმერხევის სოფლები დაბა, ახალდაბა, ზენდაბა, ვერხუნალი, ხანთუმეთი, სოფელ ერგეს მეჩეთს (ბათუმის შემოგარენი) აჭაურმა ბეგმა ბიბინოღლიმ 50 დესეტინა სახნავ-სათესი შეწირა. სააღგილმამულო რეფორმამდე ჩურუქ-სუში (ქობულეთის მხარე) მეჩეთს მიწები შეწირა აჭაურმა თავდგირიძეების საგვარეულომ. ეს მიწები შედგებოდა სახნავ-სათესისაგან, რასაც ადგილობრივი სასულიერო წოდება სარგებლობდა. შავშეთ-იმერხევის სოფელ უნუსხევის მეჩეთს მიწის 8 ნაკვეთი ეკუთვნოდა, რომლის საერთო ფართი 4,5 დესეტინამდე აღწევდა. სოფელ ხალას მეჩეთი (ჩურუქსუ) 8 დესეტინას ფლობდა[1].

ასეთი შეღავათები მუსლიმანური რელიგიის დაწესებულებების მიმართ შემთხვევითი არ ყოფილა. ისინი ხომ ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების ინკორპორაციის, გაოსმალებისა და გამუსლიმანების მთავარ დასაყრდენებად ითვლებოდნენ.

თანზიმათის გატარებით ადგილ-მამულებზე კერძო საკუთრების უფლება (მულქი) საგრძნობლად შეიზღუდა. კანონმდებლობით კერძო საკუთრებაში შეიძლებოდა გადაცემულიყო მხოლოდ კარმიდამო, ისიც ნახევარ დონუმამდე (100 კვ. საჟენი). შემდგომ ამ კატეგორიის მიწების ფართობი გაიზარდა. ახალი საკანონმდებლო აქტებით სულთნის განსაკუთრებული ფირმანის საფუძველზე, კერძო საკუთრებაში გადადიოდა კულტივირებული ნაკვეთები, ე.ი. ჩიფთლიქები. სიდიდის მიხედვით ჩიფთლიქები იყოფოდა: პირველი რიგის — 70-80 დონუმამდე, მეორე რიგის — 100 დონუმამდე, მესამე რიგისა კი — 130 დონუმამდე[2].

რეფორმის მიუხედავად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გავლენიანი ბეგები ხიმშიაშვილები, თავდგირიძეები, აბაშიძეები ისევ გვევლინებიან მსხვილ მიწათმფლობელებად. მართალია, მათი მიწების დიდი ნაწილი სახელმწიფო სახაზინო საკუთრება იყო, მაგრამ საიჯარო წესით მაინც შეინარჩუნეს. ერაზი-მირიეს კატეგორიის მიწების მფლობელობა-სარგებლობისათვის ბეგები, როგორც საზოგადოების ყველა ფენა, სახელმწიფოს სასარგებლოდ იხდიდნენ მიწის შემოსავლის მეათედს (აშარს). ამ მიწებს შემდგომში მეორადი იჯარით გლეხებს აძლევდნენ. სახნავ-სათეს ნაკვეთებს გასცემდნენ ფულად იჯარაზე, ხოლო სათიბებს და საძოვრებს-ნატურით.

თანზიმათის შემდეგ შერიფ ხიმშიაშვილის მფლობელობა-სარგებლობაში ითვლებოდა 9000 დესეტინამდე. ეს ადგილ-მამულები

---

1 სცსსა, ფ.13, ან.7, ს.2909, ფურც.82; ფ.12, ან.10, ს.1026, ფურც.49-51; Д.Бакрадзе. Кинтришский участок (в Батумской области), „ქართული ისტორიოგრაფია", III. თბ.,1975, გვ.167.

2 Юридическое обозрение. 1884, №153, стр.262.

არტაანსა და აჭარში მდებარეობდა. მათი დიდი ნაწილი მოდიოდა ტყეებსა და სათიბ-საძოვრებზე. 1870 წელს შერიფ ხიმშიაშვილმა ზემო აჭარის მთა ჩირუხის სათიბ-საძოვრების ნაწილი, რომელსაც იგი ფლობდა სულთნის მიერ გაცემული 3 დოკუმენტის საფუძველზე, მიყიდა შავშეთის ბეგს ფერათ ჯაყელს (დოკუმენტში წერია: ფერათ-ბეგ-საფარ-ბეგ ზადე). ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების წინ შერიფ ხიმშიაშვილის მფლობელობაში იყო 8700 დესეტინამდე ადგილ-მამული. აქედან ზემო აჭარაში მდებარეობდა 5834, ხოლო არტაანის სანჯაყში — 2847 დესეტინა. კერძო საკუთრებაში დარჩა 4 ჩიფთლიქი, რომლებიც მდებარეობდა ხულოში, სხალთასა და ბაკოში, სულ 35 დესეტინამდე[1].

ხიმშიაშვილების მფლობელობაში დარჩა სავაყუფო მიწები. იგი ზემო აჭარის ოთხი სოფლისაგან შედგებოდა (ღორჯომი, დიდაჭარა, პაქსაძეები, ალმე). ხიმშიაშვილები ამ სოფლების მუთეველად დარჩნენ, თვითონვე კრეფდნენ გადასახადებს, ნაწილს შერეთს ახმარდნენ, დანარჩენს კი თავისთვის იტოვებდენ. აღნიშნულ სავაყუფო სოფლებზე ფირმანი განახლდა 1839 და 1964 წლებში. ოსმალეთის სულთნის აბდულ აზიზის (1861-1876 წწ.) 1864 წლის 10 მაისის ბერათში აღნიშნულია: მის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით უნდა განახლდეს ადრე გაცემული ყველა საბუთი, რომლებიც მიწათმფლობელობას ეხება. ზემო აჭარის 4 სოფლის (ღორჯომი, დიდაჭარა, რუსხევი და ალმე) შემოსავალი, სულ 1500 ახჩა, რომელიც აღრიცხული იყო იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით, გამოყოფილი იქნას სახასო ადგილებიდან და გამოცხადდეს ახლად აშენებული ჯამესა და მედრესეს საკუთრებად. ამ სავაყუფო სოფლების მუთეველობაზე განახლებული ბარათი გადაეცეს მეჰმედ შერიფს (შერიფ ახმედის ძე ხიმშიაშვილს — ო.თ.[2]).

ხიმშიაშვილების ფეოდალური საგვარეულოს ასეთი პრივილეგირებული მდგომარეობა შემთხვევითი არ ყოფილა. იგი დაკავშირებულია ახმედ-ფაშას სახელთან. მან ოსმალეთის იმპერიაში დიდი სახელი მოიხვეჭა. სულთანმა ახმედ-ფაშა ჯერ ყარსის გამგებლად დანიშნა,

---

1 სცსსა, ფ.13, ან.7, ს.2820, ფურც.103; ფ.231, ან.1, ს.162, ფურც.74-75.

2 ნ.შენგელია. XV-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები. თბ., 1974, გვ. 231-232; საბუთში მუთეველად დასახელებულია მეჰმედ შერიფი, რომლის ვინაობა ნ.შენგელიას ნაშრომში გარკვეული არ არის. მეჰმედ შერიფი არის შერიფ ახმედის-ძე ხიმშიაშვილი. საბუთში მოხსენიებული სოფელი რუსხევი ამჟამად არის პაქსაძეები.

შემდეგ კი ამ ზრდუმის სურასკირობა უბოძა. გ.ყაზბეგის შეფასებით ახმედ ფაშა ხიმშიაშვილი იყო თურქეთის საქართველოს ნამდვილი ბატონ პატრონი[1].

თანზიმათის შემდეგ ასევე დიდძალი მამულები შეინარჩუნეს ქობულეთელმა ბეგებმა თავდგირიძეებმა. 70-იანი წლების დასაწყისში ამ საგვარეულოდან ცოცხლები იყვნენ: ალი, ოსმანი, ხუსეინი და მურადი. დ.ბაქრაძის ცნობით ქვემო აჭარის გავლენიანი ბეგი ხასან შერვაშიძე სულთნის მთავრობის დავალებით, თავისი კომისიის მეშვეობით აზუსტებდა აჭარისა და ჩურუქ-სუს უბნების ქონებას საინვენტარიზაციო წიგნის შესადგენად. ხასან-ბეგ შერვაშიძის ნაამბობის თანახმად „ქობულეთელ თავდგირიძეს, შერიფ ბეგის შემდეგ ყველაზე შეძლებულ კაცს ამ მხარეში, თაფუს, ანუ დავთრის მიხედვით 1600 ნაკვეთი აქვს. ნაკვეთის სიგრძე და განი 40-40 ნაბიჯია[2]. თავდგირიძეებს ადგილ-მამულები ჰქონდათ ჩურუქ-სუს ნაჰიეს (უბნის) რამდენიმე სოფელში და ბათუმის მიდამოებში. ისინი იყვნენ ქობულეთის შეუცვლელი ყაიმაყები და თურქეთის არმიის სამხედრო ჩინებს ატარებდნენ.

თავდგირიძეები სულთნის მთავრობისადმი ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ. სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი მათ მიერ თანზიმათის შემდეგ ადგილ-მამულების შენარჩუნებისა.

სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმებამდე ბათუმელი აბაშიძეები ასევე მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ. როგორც ზემოთ ითქვა, მათი მამულები ზღვისპირა მიდამოებში მდებარეობდა გონიოდან დაწყებული ჩაქვამდე. მაგრამ თანზიმათის შემდეგ მათ მიწების დიდი ნაწილი ვერ შეინარჩუნეს. ჩვენ ჯერჯერობით ხელთ არ გვაქვს დაზუსტებული, სრულყოფილი მონაცემები მათ საკუთრებაში არსებული ადგილ-მამულების შესახებ. თანზიმათის შემდეგ აბაშიძეების ადგილ-მამულები შემცირებულია. ზემოხსენებულ გვარს მიწები ბათუმის მიდამოებში, მის შემოგარენ სოფლებში ანგისასა და ურეხში შემორჩათ. XIX საუკუნის 70-იან წლებში, ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისას, აჭარაში ცოცხალი იყო ამ საგვარეულოს სამი ძმა: ხუსეინი, სალიხი და იბრაიმი. მათ მფლობელობა-სარგებლობაში ითვლებოდა დაახლოებით 1000 დესეტინამდე მიწა.

სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმების შემდეგ ადგილ-მამულების მნიშვნელოვანი ნაწილი შეინარჩუნეს ჩაქველმა და ქვემო აჭარის ბეგებმა ბეჟანიძეებმა და შერვაშიძეებმა. ჩამორთმეული სამხედრო-ლენის

---

1 გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995, გვ.63.

2 დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ.63.

ნაცვლად მემედ-თუფან ზადე შერვაშიძეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამემკვიდრეო პენსია დაენიშნა 62,5 ყურუშის ოდენობით[1]. ამ გვარმა შეინარჩუნა ერაზი-მირიეს კატეგორიის მიწები სამემკვიდრო მფლობელობის უფლებით. ასევე იოქმის ჩაქველი ბეგების ბეჟანიძეების შესახებაც. 70-იან წლებში ცოცხლები იყვნენ ამ გვარის წინაპრის სეფერ-ბეგის შვილები: ხუსეინი, ფერათი და მემედი[2]. მათ ჰქონდათ ოსმალეთის სულთნის მიერ ბოძებული ბარათები სამემკვიდრო პენსიის შესახებ. ამავე დროს ჩაქვის ხეობის ნაწილი მათ მფლობელობაში დარჩა, რისთვისაც საადგილმამულო გადასახადს მეათედს იხდიდნენ.

ოსმალეთის მთავრობამ, თანზიმათის შემდეგ, გარკვეული პოლიტიკური მიზნებით, არაქართველები: სომხები, ბერძნები, ბოშები, ჩერქეზები და აფხაზები ჩაასახლა ტაო-კლარჯეთში, აჭარასა და ჭანეთში. მათ გამოუყვეს ერაზი-მირიეს კატეგორიის მიწები, რომლებიც ადრე ამ მხარეების მკვიდრ ქართველ მოსახლეობას, კერძოდ პრივილეგირებულ ფენებს ეკუთვნოდათ. აფხაზები და ჩერქეზები, რომელთაც მეფის რუსეთმა თავიანთ სამშობლოში სასაკლაო მოუწყო, ოსმალეთის მთავრობამ 1864-1867 წლებში ჩაასახლა ქობულეთში, ბათუმსა და ჭანეთში. დ.ბაქრაძის ცნობით, ქობულეთის უბანში 538 ჩერქეზი ემიგრანტი ცხოვრობდა[3]. ჯ.პალგრევის მონაცემებით ქალაქ ბათუმის მოსახლეობის მესამედი ჩერქეზები, მეოთხედი კი ბერძნები ყოფილან. გარდა ამისა, ბათუმის შემოგარენსა და გონიოს უბანში ჩერქეზების 535 კომლი, ხოლო ათინას უბანში აფხაზების 47 ოჯახი ჩაუსახლებიათ[4].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის დროსაც არსებობდა სათემო მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა. თუმცა სულთნის აგრარული კანონმდებლობისათვის იგი უცხო იყო. ოსმალეთში სოფლის თემი, როგორც თვითმმართველობის იურიდიული სუბიექტი, არ არსებობდა. სოფელს ერთი მოხელე — მუხტარი ჰყავდა, რომელიც, როგორც ითქვა, მხოლოდ გადასახადების აკრეფის საქმეს აწესრიგებდა. სოფლისა თუ მომიჯნავე სოფლების მცხოვრებლებს შორის ეკონომიკური, უწინარესად საადგილმამულო ურთიერთობანი ადათით, ე.ი. ქართული ტრადიციის მიხედვით

---

1 სცსსა, ფ.231, ან.1, ს.36, ფურც.6.

2 А. Френкель, очерки чурук-су и Батума. Тифлис, 1879, с.114-115; აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქივი, ხელნაწერთა ფონდი, ს.282, ფურც.11-33.

3 დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ.18.

4 ИКОИРГО, т.VIII, Тифлис, 1882-1883, с.46-69.

რეგულირდებოდა. ადათის მიხედვით ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, საბალახოები, საძოვრები და სხვა სავარგულები სოფლის საერთო, სათემო მფლობელობა-სარგებლობაში ითვლებოდა, რომელთა გასხვისება არ შეიძლებოდა[1]. ამ მდგომარეობას დ.ბაქრაძის მონაცემებიც ადასტურებს. მაგალითად, ქვემო აჭარის დახასიათებისას იგი წერდა: ტყე აგარის ფარგლებში მცხოვრებთა საერთო კუთვნილებაა. რაც შეეხება ტყეს აგარის ფარგლებს გარეთ, მთის მწვერვალებზე, იგი არავის ეკუთვნის და ამიტომ ყველას უფლება აქვს გამოიტანოს იქედან, რაც სურს, როგორც ყოველდღიური საჭიროებისათვის, ასევე გასაყიდად. მისივე ცნობით, კინტრიშის საპოლიციო უბანის ხინოს სასოფლო საზოგადოებაში ტყის დიდი ნაწილი შეადგენს სოფლის საერთო საკუთრებას ყოველგვარი დანაწილების გარეშე[2]. ამავე დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ტყის ნაწილი დანაწილებული იყო მოსახლეობის პირად საკუთრებაში. ტყის ამ ნაკვეთებს „ბალთალიკები" ეწოდებოდა.

საადგილმამულო ურთიერთობის რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ხანდაზმულობითი მფლობელობის წესი. ეს წესი ადგილ-მამულების შეძენისა თუ შთამომავლობით გადაცემისას უპირატესობას იმას ანიჭებდა, ვინც მათ ათი წლის მანძილზე შეუსვენებლივ ამუშავებდა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას— გლეხობას მიწაზე საკუთრებისა თუ მფლობელობა-სარგებლობის დამადასტურებელი საბუთები არ გააჩნდა[3]. ასეთ შემთხვევაში ადგილ-მამულების მემკვიდრეობითი, შთამომავლობითი სარგებლობა ხანდაზმულობითი მფლობელობის წესს ემყარებოდა. ეს წესი გათვალისწინებული იყო ოსმალურ საადგილმამულო კანონმდებლობაში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სავარგულები არათანაბრად იყო განაწილებული. მიწის სიუხვით გამოირჩეოდა ზეგანი და დაბლობი. ამ მხრივ აღსანიშნავია კოლა-არტაანი და ზღვისპირეთი. ამ კუთხეებში განლაგებული იყო მიწის მსხვილი ნაკვეთები. მაგრამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მეტი ნაწილი მთასა და მთისწინა სოფლებზე მოდიოდა. საქართველოს ამ ნაწილის მთიანეთისათვის დამახასიათებელია მცირემიწიანობა, მიწათდაქსაქსულობა, მიწის ნაკვეთების მცირეკონტურიანობა და

---

1 სცსსა, ფ.12, ან.10, ს.1026, ფურც.23.

2 დ.ბაქრაძე, დასახ. ნაშრ. გვ.47-48, მისივე Кинтришский участок (в Батумской области) „ქართული ისტორიოგრაფია", III. თბ., 1975, გვ.170.

3 სცსსა, ფ.13, ან.7, ს.2909, ფურც.87.

გაფანტულობა. მიწის მსხვილი ნაკვეთები (400-500 დონუმამდე) მხოლოდ ბეგებს ჰქონდათ[1].

საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის მიწები ასევე არათანაბრად ნაწილდებოდა. კოლა-არტაანის გამოკლებით, მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხობა საკმაოზე მეტი იყო. გლეხური მოსახლეობის მიწის ნაკვეთები უმეტესწილად სოფლის გარეთ მდებარეობდა. ხშირ შემთხვევაში ერთმანეთში შეჭრილ-შემოჭრილ იყო, რაც არცთუ იშვიათად დავასა და შეხლა-შემოხლას იწვევდა. უმიწო და მცირემიწიანი გლეხები არსებობას ინარჩუნებდნენ მემამულეების საიჯარო მიწებით.

ქართველი კაცისათვის მშობლიური მიწის, ადგილ-მამულის სიყვარული უპირველესი და უზენაესია. ოსმალეთის მთავრობამ სწორედ მიწასთან, მამულთან დააკავშირა დაპყრობილ მხარეებში ქართველობის ამოძირკვა, მოსახლეობის გაოსმალება და გამუსლიმანება. მართალია, ქართული ეროვნული სული, მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობის გამო, მთლიანად ვერ მოსპეს, მაგრამ ის კი შეძლეს, რომ მოსახლეობას ისლამი ძალით თავს მაინც მოახვიეს. დ.ბაქრაძის ცნობით ისლამმა ჯერ ფეხი მოიკიდა ლაზეთში, შემდეგ ჭოროხის ხეობაში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, XVIII საუკუნის ბოლოს კი ქობულეთში და მთლიანად კინტრიშის ხეობაში[2].

მართალია, სარწმუნოება და ეროვნება განსხვავებული ცნებებია, მაგრამ ისლამის უარყოფითი გავლენა ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე საგრძნობლად შესამჩნევი იყო. დ.ბაქრაძის დაკვირვებით, XIX საუკუნის 70-იან წლებში ისლამის გავლენით აჭარლების შეგნება მათ წარმომავლობაზე მეტისმეტად აბნეული ყოფილა. ამ საკითხზე შეხედულება სარწმუნოების თვალსაზრისიდან გამომდინარეობდა და ზოგიერთ მათგანს ძნელად თუ დაარწმუნებდით, რომ სარწმუნოება სხვაა და გვარტომობა სხვა. ჩვენი ენის ერთიანობა საუკეთესოდ ამტკიცებს, რომ ჩვენც და აჭარლებიც ერთი ხალხი ვართ[3].

მართალია, ოსმალეთის ხელისუფლების ასიმილატორული პოლიტიკის შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა გამუსლიმანდა, მაგრამ ქართველობის დიდმა ნაწილმა შეინარჩუნა ეროვნულ-ეთნიკური სახე და მშობლიური ენა. გ.ყაზბეგის მიერ მოძიებული მასალების მიხედვით ლაზისტანის სანჯაყში ქართველები შეადგენენ ამ რეგიონის საერთო მოსახლეობის 89,3% (150,6 ათას სულს 168,5

---

1 სცსსა, ფ.13, ან.7, ს.2909, ფურც.88.

2 დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ.72.

3 იქვე, გვ.46.

ათასიდან). მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული ქვემო და ზემო აჭარა, მაჭახელი, გონიოს მხარე. ჩურუქ-სუში ქართველი იყო საერთო მაცხოვრებელთა 94,7%, ლივანაში – 92%, ხოფაში – 89%, არხავეში – 99%, ათინას ყაზაში – 99,4%, შავშეთ-იმერხევში – 93,6%[1]. ცხადია, ადგილ-მამულებიც ქართველების მფლობელობაში რჩებოდა.

სამწუხაროდ, კოლა-არტაანში, ოლთისში, ტაოსკარში, ჰემშინეში და ზოგიერთ სხვა ისტორიულ ქართულ ტერიტორიაზე მოსახლეობის ეროვნულ-ეთნიკური სიჭრელე თვალსაჩინო გახდა. ქართველი მოსახლეობის მიგრაციის შედეგად ოსმალეთის ხელისუფლებამ აღნიშნულ ტერიტორიებზე ჩაასახლა არაქართველები. ამის შედეგად ქართული მიწა-წყალი უცხო ტომელთა მფლობელობა-სარგებლობაში მოექცა. მაგალითად, ლაზისტანის სანჯაყის ჰემშინის ყაზა მთლიანად დასახლებული იყო გამუსლიმანებული სომხებით. კოლა-არტაანში ჰარბობდნენ თურქული მოდგმის ეთნოსი, ყარაფაფახები, ქურთები; არტანუჯსა და ართვინში – სომხები. ცხადია, ამის შედეგად შემცირდა ქართული ენის მოქმედების არეალი, რასაც მოწმობს აგრეთვე რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის პირველი საყველთაო აღწერის მასალებიც[2].

---

1 Г.Казбек, военно-статистический и стратегический очерки лазистанского санджака. Тифлис, 1876, с.86; მისივე, სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995, გვ.90.

2 Первая всеобцая перепись населения Российской империи 1897 года. Карская область, 1904, с.34-35; Кутайская губерния, 1905, с.88-95.

# თავი მეორე

## ბეგარა-გადასახადების დამძიმება და სამამულო განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერება

### 1. ოსმალური ბეგარა-გადასახადები

ფეოდალიზმის დროს მოსახლეობაზე გაწერილი ბეგარა-გადასახადები ყველა ქვეყანაში მძიმე იყო. ცხადია, საქართველო გამონაკლისი არ ყოფილა. მაგრამ ოსმალეთის იმპერიაში არსებული ბეგარა-გადასახადები ქართულთან შედარებით უკიდურესად მძიმე და აუტანელზე აუტანელი იყო. სწორედ დაპყრობილი ხალხების ძარცვა-გლეჯით ამოღებული მატერიალური და ფინანსური საშუალებები წარმოადგენდა თურქეთის სახელმწიფოს არსებობის, მისი ფინანსური სალაროს შევსების ძირითად წყაროს. ოსმალეთში ბეგარა-გადასახადებსა და რენტას შორის სხვაობა საერთოდ არ იყო. ისინი ერთმანეთს ემთხვეოდა. ეს გარემოება კიდევ მეტად ამძიმებდა მოსახლეობის ცხოვრების პირობებს. ცხადია, რენტის ყველა ძირითადი სახეები ადგილ-მამულზე მოდიოდა, რადგან წარმოების სხვა დარგების შემოსავალი უმნიშვნელო იყო.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიწის რენტის ოსმალური სახეების შემოღება XVI საუკუნიდან, ე.ი. ამ მხარეების დაპყრობისთანავე დაიწყო. ფისკალური ინტერესებიდან გამომდინარე იმპერიის სახელმწიფო მოხელეები გულმოდგინედ შეუდგნენ ქართული კუთხეების აღწერას. მათ დეტალურად აღწერეს თითოეული სოფელი, მოსახლეობა, ადგილ-მამულები, ბაღ-ვენახები, მეურნეობის დარგები, მიწასთან დაკავშირებული სარეწები, მათ შორის წისქვილები. ამის შემდეგ საგადასახადო დავთრები შეადგინეს.

დაპყრობისთანავე მოსახლეობა დაბეგრეს მრავალრიცხოვანი ბეგარა-გადასახადებით. ცხადია, სულთნის მთავრობის საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო არა მარტო სახელმწიფო ხაზინის შევსება, არამედ აგრეთვე ქართველების ფიზიკური დაუძლურება, სულიერი დაბეჩავება, რათა მათ აღარ ჰქონოდათ წინააღმდეგობების გაწევის უნარი. ასეთ პირობებში დაპყრობილ ხალხებზე ოსმალეთის ბატონობის გამტკიცება ადვილად შესაძლებელი იქნებოდა და გაოსმალება დაჩქარდებოდა.

მამულთან იყო დაკავშირებული არაპირდაპირი გადასახადებიც, რადგან მოსახლეობის შემოსავლის და, საერთოდ, არსებობის ერთადერთ წყაროს მიწა შეადგენდა. ოსმალეთის იმპერიაში,

კერძოდ, თურქეთის მიერ დაპყრობილ ქართულ კუთხეებში მიწის რენტის სამივე ფორმა არსებობდა: შრომითი, ნატურალური და ფულადი, მაგრამ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის სუსტად განვითარების გამო, ძირითადი იყო შრომითი და ნატურალური რენტა. დომინირებული მდგომარეობა ნატურალურ რენტას ეკავა.

გადასახადების ხასიათის მიხედვით ოსმალეთში მიწები ორ კატეგორიად იყოფოდა: აშარი და ხარაჯა. აშარის კატეგორიის მიწებზე მუსლიმანები ცხოვრობდნენ, ან ის ხალხები, რომლებიც თურქებს ბრძოლის გარეშე დანებდნენ. ხარაჯას სახის მიწებზე იარაღის ძალით დაპყრობილი ხალხები სახლობდნენ, რომლებიც დაბეგრილი იყვნენ უფრო მძიმე გადასახადებით: მიწის შემოსავლის ერთი მეხუთედიდან ნახევრამდე[1]. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთის მიერ იარაღის ძალით დაპყრობილი მხარე იყო და, რაღა თქმა უნდა, აქაური ადგილ-მამულები გადასახადების ხასიათის მიხედვით ხარაჯის კატეგორიის მიწებს განეკუთვნებოდა. გადასახადი ხარაჯა ორი სახისა იყო: პირველი დამოკიდებული იყო მიწის ფართობზე და ნატურალურ გამოსაღებსაც ამის მიხედვით გაიღებდნენ („ხარაჯა მუკასამე"). მეორე შემთხვევაში ნატურალური გადასახადის სიდიდე დამოკიდებული იყო უშუალოდ მოსავალზე („ხარაჯა მუვაზაფი")[2].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გლეხობა თურქი ოსმალების დაპყრობის შემდეგ ორმაგ ექსპლუატაციაში მოექცა. რამდენადაც XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ნაწილობრივად შემორჩა ქართული ფეოდალური გადასახადები და ბეგარა-ვალდებულებები. მართალია, ოსმალეთში მიწები სახელმწიფო საკუთრება იყო, მაგრამ ფეოდალებს, მათ შორის ქართველ თავადაზნაურებს მამულები მათზე მცხოვრები ყმა-გლეხებითურთ საკარგავის სახით ეძლეოდათ. გლეხი კვლავინდებურად მიწაზე იყო მიმაგრებული და გარეეკონომიკური იძულებით თავიანთ ფეოდალებს ემსახურებოდა.

ოსმალეთის მთავრობამ დაპყრობილ მოსახლეობას დააკისრა მრავალრიცხოვანი სახელმწიფო გადასახადები და ბეგარა-ვალდებულებანი.

განუწყვეტელი ომებითა და სისტემატური მოუსავლიანობით ვანაწამებ მოსახლეობას ოსმალური ბეგარა-გადასახადები მძიმე ტვირთად დააწვა. ყველაზე მეტად ქრისტიანი ქართველობა იტანჯებოდა. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, საცხეთ-საათაბაგოში,

---

1 შ.ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი. თბ., 1975, გვ.408.

2 ნ.შენგელია, ოსმალური გადასახადები ქართლში (1723-1735), მაცნე, 1973, № 4, გვ.19.

XVI საუკუნის ბოლოს შემოღებული ოსმალური ბეგარა-გადასახადებიდან აღსანიშნავია ისფენჯი, აშარი, მურახხასიე, ბადჰავა, დაშთიბანი, ბეჰრე, ბენაქი და სხვა.

ისფენჯი საადგილმამულო საკომლო გამოსაღები იყო. ამ გადასახადით ქრისტიანების ადგილ-მამულები იბეგრებოდა. კანონთა წიგნში ნათქვამია: „ვინაიდან გურჯისტანის ვილაიეთი ქვიანი ადგილია და მიწა მცირეა, ამიტომ ძველი დავთრის თანახმად, თითოეულ კაცზე იმ ადგილებითურთ, რომელსაც იგი ძველი დროიდანვე ფლობს, დაწესებულ იქნა გამოსაღები ისფენჯი 25-25 ახჩა"[1].

უფრო ნაყოფიერ რეგიონებში, კერძოდ, ყარსის ვილაიეთში ისფენჯი გაცილებით დიდ თანხას შეიცავდა. ქრისტიანებისაგან განსხვავებით, მუსლიმანებისათვის შემოღებული იყო უფრო შეღავათიანი საადგილმამულო გამოსაღები, რომელსაც ბენაქი ეწოდებოდა. გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნის მიხედვით, გამოსაღები ბენაქი 18 ახჩას შეადგენდა[2]. დაახლოებით ასეთივე ცნობას გვაწვდის ცნობილი მეცნიერი თურქოლოგი ნ.შენგელია. მისი ცნობით ბენაქი კომლზე 18-22 ახჩამდე იყო გაწერილი[3].

ოსმალთა მიერ დაპყრობილ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე XVI საუკუნეში გამოსაღები ბენაქი გაწერილი საერთოდ არ ყოფილა, თითო-ოროლა კომლის გამოკლებით. მოსახლეობა ქრისტიანი იყო, ხოლო ისლამი ფეხს ძნელად იკიდებდა. ამის დასტურია გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოცემული საადგილმამულო აღწერის მასალები. სოფლების აღწერისა და გადასახადების დაწესებისას ყველგან ფიგურირებდა გამოსაღები ისფენჯი. ბენაქი იშვიათად თუ გვხდება. მაგალითად, ფანასკერტის სამუდიროში (ტაოს მხარე), რომელშიც 38 სოფელი შედიოდა, ისფენჯი გაწერილ იყო სოფლის ყველა ოჯახზე, ხოლო ბენაქი — მხოლოდ ორ კომლზე[4].

ქრისტიანი მოსახლეობის ადგილ-მამულების გადიდებული განაკვეთებით დაბეგვრა აყვანილი იყო ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის დონემდე. ეს მდგომარეობა შემთხვევითი არ ყოფილა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სულთნის მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა გამიზნული იყო ქართველების გაოსმალებისა და გამუსლიმანებისაკენ.

---

1 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ.1.

2 იქვე, გვ.2.

3 ნ.შენგელია, ოსმალური გადასახადები ქართლში. ჟურნ. „მაცნე", 1973, №4, გვ.19.

4 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ.370-392.

გადასახადებით დაბეგრილი იყო მეურნეობის ყველა დარგი და სახეობა. კონკრეტულად: გამოსაღები დაწესებული იყო ყველა სახის მარცვლეულზე, ბოსტან-ბაღჩებზე, ბაღ-ვენახებზე, საბალახოებსა და საძოვრებზე, მათ შორის ალპურ საძოვრებზეც, ფუტკარსა და შინაურ ცხოველებზე, წისქვილებზე და სხვა. მაგალითად, გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენიებული ბეჰრე გაწერილი იყო ბაღ-ვენახებზე[1].

ბეჰრე, როგორც გადასახადი, სახელმწიფოს სასარგებლოდ იკრიფებოდა. ვენახებზე დაწესებული იყო აგრეთვე ნატურალური გამოსაღები, რომელსაც ადგილობრივი ფეოდალები კრეფდნენ. იგი ქართული ფეოდალური გამოსაღები კულუხის ანალოგიურია. მაგრამ გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში ვენახებზე გაწერილი გადასახადი ხშირად არ გვხდება. ეს იმით აიხსნება, რომ მოსახლეობამ მძიმე გადასახადებ-გამოსაღების გამო მევენახეობაზე ხელი აიღო.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე გაწერილი იყო ოსმალური გადასახადების კიდევ ერთი სახეობა, რომელსაც მურახხასიე ეწოდებოდა. იგი სულადობრივი გადასახადი იყო, რომელიც სახელმწიფოს სასარგებლოდ იკრიფებოდა. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში ნათქვამია, რომ გამოსაღებ მურახხასიეს სახით თითეულ კაცზე ორ-ორ ახჩას იღებდნენ[2].

გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნში მოცემულია საქორწინო გამოსაღები, ფუტკარსა და შინაურ ცხოველებზე დაწესებული გადასახადები, ხოლო დავთარში მათი რაოდენობა ახჩებშია გამოხატული. მაგალითად, კანონთა წიგნში წერია, რომ ორ სულ ცხვარზე აიღება ერთი ახჩა. ფარებზე, ცხვრის ფარის გამოზამთრებისათვის, დაწესებული იყო გამოსაღები — თითოეულ ცხვრის ფარაზე ერთი ცხვარი. თითოეულ ფუტკრის ოჯახზე ორ-ორ ახჩას ახდევინებდნენ. წისქვილზე გაწერილი გადასახადი 60 ახჩას შეადგენდა. საქორწინო გამოსაღები ქალწულისაგან 60, ხოლო ქვრივისაგან — 25 ახჩა აიღებოდა[3].

სულთნის მთავრობის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დაწესებული იყო ასევე მრავალრიცხოვანი საბაჟო გამოსაღები. მათი არასრულყოფილი სია, რომელიც მოცემულია გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში, ცხადყოფს ამ საბაჟო გამოსაღების სიმძიმესა და აუტანლობას. მათგან ყველაზე უფრო მძიმე იყო ე.წ. შავი დამღა და საბაზრო ბაჟი.

---

1 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ.2.
2 იქვე, გვ.4.
3 იქვე, გვ.2-3.

კანონთა წიგნის მე-14 თავში შავი დამღის შესახებ ნათქვამია: „ცხენის ბაზარზე ცხენი რომ გაიყიდოს, 12 ახჩა უნდა აიღონ. სასაკლაოზე რომ ცხვარი გაიყიდოს, ორ ცხვარზე ერთი ახჩა უნდა აიღონ, თუ კამეჩი გაიყიდება – 4 ახჩა, თუ ხარი გაიყიდება – 2 ახჩა. და თუ სხვა ვილაიეთებიდან საპალნით ტილო და ბამბა შემოვიდა, უნდა იქნეს 2% გადახდევინებული. ქიშმიშის, ლეღვისა და სხვა ხმელი ხილის საპალნეზე უნდა აიღონ. ცხენის საპალნეზე – 2 ახჩა, აქლემის საპალნეზე – 4 ახჩა და ვირის საპალნეზე – 1 ახჩა, ხოლო თუ ხილი არ გაიყიდა, არაფერი არ გადაიხდებათ. ნედლი ხილის ორ საპალნეზე ერთი ახჩა უნდა აიღონ"[1].

საბაზრო ბაჟი დაწესებული იყო ქალაქად მარცლეულის გაყიდვაზე. ამის შესახებ გურჯისტანის ვილაეთის კანონთა წიგნში ვკითხულობთ: „თუ ხორბალი ან ქერი გაიყიდება, თითოეულ საპალნეში 6-6 ქილა იქნება, გამყიდველს ყოველ ქილაზე ერთი ახჩა უნდა გადახდეს. მუდდის ზომა კი – 20 სტამბოლური ქილაა"[2].

გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში ასახული ოსმალური გადასახადებისა და საბაჟო გამოსაღებების სახეები მეტნაკლებად გავრცელებული იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რეგიონებში, მათ შორის აჭარაშიც თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდ დავთარში აჭარის, ლივანას, კლარჯეთისა და შავშეთ-იმერხევის საადგილმამულო აღწერის მასალები მოცემული არ არის.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მასალებით შესაძლებელია კონკრეტულად ტაოს ქართული მხარის შესახებ ვიმსჯელოთ. ისტორიული ტაო გეოგრაფიული მდებარეობით ორ ნაწილად იყოფოდა: ამიერ და იმიერ ტაოდ. გურჯისტანის ვილაიეთში მხოლოდ ამიერტაოს აღმოსავლეთი ნაწილი შედიოდა. ესენია ფანაკისა და ფანასკერტის ნაჰიები. პირველი მათგანი ტაოს მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ, ხოლო მეორე ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორებს მოიცავდა. ფანაკის ნაჰიეში 57 საგადასახადო ობიექტი, მათ შორის 55 სოფელი შედიოდა, სულ 821 კომლი სახლობდა. მათზე გაწერილი გადასახადები და გამოსაღები 443448 ახჩას ითვლიდა, მათ შორის ისფენჯი – 20775 ახჩა. თითოეულ კომლზე საშუალოდ 118 ახჩამდე მოდიოდა[3].

ფანასკერტის ნაჰიე, მართალია, მოსახლეობის რაოდენობით ფანაკის რაიონს თითქმის უტოლდებოდა, მაგრამ აქ საგადასახადო ობიექტები და გამოსაღებები საგრძნობლად მცირე იყო. კონკრეტულად:

---

1 გურჯისტანის ვილაიეთი დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ.4.

2 იქვე.

3 იქვე, გვ.332-362. ციფრები დაჯამებული და გაანგარიშებულია ავტორის მიერ.

ფანაკერტის რაიონში 38 საგადასახადო ობიექტი ითვლებოდა და 816 კომლი სახლობდა, რომლებზეც გაწერილი იყო 299841 ახჩა. მათ შორის ისფენჯი 19800 ახჩა[1]. ასეთი მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ ფანაკის რაიონში ბევრი დაცარიელებული სოფელი იყო. ამ სოფლების მიწები კი სახელმწიფოს მიერ საკარგავის სახით გაიცემოდა. ფანაკის რაიონი გამონაკლისი არ ყოფილა. მაგალითად, არტაანის სანჯაყის (ლივა) ჩილდირის ნაჰიეში მდებარეობდა სოფელი ჭინჭრობი, სადაც აჭარის სან- ჯაყბეგის ვინმე ახმედ-ფაშას მამული (ჩიფთლიქი) ჰქონია, როგორც თიმარი. მასზე გაწერილი იყო მარცვლეულის გამოსაღები, ფულადი გამოსახულებით ათას ახჩას შეადგენდა[2].

გადასახადების ნაწილი ადგილობრივი ბეგების, სანჯაყბეგებისა და ფაშების შემოსავალი იყო, დანარჩენი კი ოსმალეთის სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა, ანდა ნატურალური სახით პირდაპირ იგზავნებოდა ციხე-სიმაგრეებში დისლოცირებული თურქეთის ჯა- რის ნაწილისათვის. მაგალითად, ოსმალეთის სულთნის მურად III-ის (1574-1595 წწ.) ბრძანებით ბათუმის სანჯაყიდან ამოღებული გადასახადების ნაწილი 1583 წელს გაიგზავნა არზრუმში დისლო- ცირებული ჯარისათვის. სულთან მუსტაფა II-ის (1695-1703 წწ.) მიერ 1699 წელს გაცემული თუღარით (მონოგრამა) ბათუმის სანჯაყის ბეგლარბეგს დაევალა: სანჯაყიდან ამოღებული საადგილმამულო გადასახადის ნაწილი (130 ათასი ახჩა) გაეგზავნა არზრუმის ციხის დამცველებისათვის[3].

სამხედრო ნაწილებისათვის იგზავნებოდა ხორცეული და ხორბლეული. არზრუმის გარდა, ბათუმის სანჯაყში ამოღებული საადგილმამულო გადასახადი, ძირითადად ხორცეული და ხორბლეული გაიგზავნა ბათუმში, გონიოში, ციხისძირში, ფოთში, სოხუმში, არტაანში, ახალციხეში და სხვა ადგილებში დისლოცირებული ოსმალეთის ჯარისათვის. მაგალითად, 1703 წელს გაიგზავნა 57 ათასი ახჩის, 1704 წელს — 117,6 ათასი, 1708 წელს — 197,9 ათასი ახჩის ოდენობის სურსათ-სანოვაგე. 1720 წელს ბათუმისა და გონიოს ციხე-სიმაგრეებში დისლოცირებული ჯარისათვის გაიცა 274,7 ათასი ახჩის სურსათი, 1730 წელს ციხისძირში დაბანაკებული ჯარისათვის გაიგზავნა 287,7 ათას ახჩაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები[4].

---

1 გურჯისტანის ვილაიეთი დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ.370-392.

2 იქვე, გვ.451-452; წიგნი III, თბ., 1958, გვ.524.

3 XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები, I. თბ.. 1987, გვ.23-25, 50.

4 იქვე, გვ. 109, 144, 172, 178, 187.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ზემო აჭარის ლივაზე (სანჯაყი) გაწერილი საადგილმამულო გადასახადები 38[illegible] ათას ახჩას, ხოლო ქვემო აჭარაზე — 323,9 ათას ახჩას აჭარბებდა. გადასახადების დიდი ნაწილი (52% და 64,5%) ახალციხის საფაშოს მსხვილი ფეოდალების საფარ-ბეგ და იუსუფ-ბეგ ჯაყელების შემოსავალს შეადგენდა[1]. ისინი საადგილმამულო გადასახადების მნიშვნელოვან ნაწილს ოსმალეთის სახელმწიფო ხაზინაში აგზავნიდნენ. საადგილმამულო გადასახადების 48% და 35,5% საშუალო და წვრილი ფეოდალები იღებდნენ. არტანუჯის ლივაზე გაწერილი ყოველწლიური საადგილმამულო გადასახადი 665,[illegible] ათას ახჩას უდრიდა. ამ საერთო თანხის თითქმის 63% იყო ისაკ-ფაშა ჯაყელის სარგო. გლეხები გადასახადების 37% (248,[illegible] ათასი ახჩა) ასევე აძლევდნენ ადგილობრივ საშუალო და წვრილ ფეოდალებს[2]. მეტნაკლებად ანალოგიური მდგომარეობა იყო ოსმალეთის მიერ დაპყრობილ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რეგიონებში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის საგადასახადო სისტემასა და წესებში საგრძნობი ცვლილებები აღინიშნა. საგადასახადო დავთრებში აღარ გვხვდება ისფენჯი და ზოგიერთი სხვა სახის გამოსაღები. ქრისტიანი ქართველები აიძულეს გამუსლიმანებულიყვნენ. მიუხედავად ამისა, გადასახადებისა და ბეგარა-ვალდებულთა სიმძიმე არ შემსუბუქებულა. შეიძლება ითქვას, ოსმალეთის განუწყვეტელი ომიანობის გამო, გადასახადების სიმძიმე კიდევ მეტად გაიზარდა. ამას მოწმობს გ.ყაზბეგის მიერ შეკრებილი მასალებიც. იგი წერდა: „შავშეთში გადასახადები საკმაოდ მაღალია, მთელი საოჯახო მეურნეობა მეტნაკლებად დიდი თანხითაა დაბეგრილი"[3].

XIX საუკუნეში საადგილმამულო გადასახადებს შორის თავისი სიმძიმით გამოირჩეოდა აშარი, სალიანი, რუსუმათი და სხვა. სალიანის განაკვეთებს სტამბოლში აწესებდნენ უძრავი ქონების, მათ შორის ადგილ-მამულების აღწერის შედეგად. იგი საკომლო გამოსაღები იყო, რომელიც ხმარდებოდა მთავრობის ადმინისტრაციული აპარატის შენახვას. მაგალითად, XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, გ.ყაზბეგის მონაცემებით, ზემო აჭარაში მოსახლეობა სალიანს (რუსულ ფულზე გადაყვანით) 2170 მანეთს იხდიდა, ხოლო შავშეთ-იმერხევში — 3045 მანეთს. თითო კომლზე საშუალოდ 1,1 და 1,75 მანეთი მოდიოდა[4].

---

1 ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. ქართული თარგმანი. თბ., 1979, გვ.100-204.

2 იქვე.

3 გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995, გვ.92.

4 გ.ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., გვ.63-64, 90, 92.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანზიმათის შემდეგ გლეხობა ფეოდალებს ბეგარა-გადასახადებს აღარ უხდიდა. ამიერიდან გადასახადებიდან მიღებული სახსრები უშუალოდ შედიოდა ოსმალეთის სახელმწიფო ხაზინაში. სულთნის მთავრობის ოფიციალური მონაცემებით, 1870 წელს ლაზისტანის სანჯაყის საგადასახადო შემოსავლები 2594,5 ათას ყურუშამდე აღწევდა, საიდანაც 2261 ათასი ყურუში, ე.ი. საერთო თანხის 87,2 % საადგილმამულო ღალაზე მოდიოდა[1].

საადგილმამულო ღალიდან ყველაზე უფრო მძიმე იყო მიწის მოსავლის მეათედის გაღება. იგი ოსმალეთში ცნობილია აშარის სახელით. აშარს მოსახლეობა როგორც ნატურით, ისე ნაღდი ფულით იხდიდა. გადახდის წესებსა და ფორმას სულთნის მთავრობა ადგენდა. ამ წესების თანახმად ნატურით გადახდისას გადამხდელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები თვითონ უნდა მიეტანათ დანიშნულ ადგილას. ეს კი დამატებით სიძნელეებს ქმნიდა და გლეხობისათვის ტანჯვა-წვალება იყო. აშარის ფულად სახეს „თახშირი“ ერქვა.

ომიანობის დროს, როგორც წესი, მოსახლეობას აშარს ნატურით ახდევინებდნენ, ხოლო სხვა დროს ხშირად ფულს ართმევდნენ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნატურალური ღალის შესაგროვებლად გახსნილი იყო სპეციალური პუნქტები. აქედან მთავრობის მოხელეებს გადაჰქონდათ სანჯაყისა თუ ვილაიეთის ცენტრებში, სადაც ხდებოდა მათი განაწილება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაწილს აქ დაბანაკებული თურქეთის ჯარს გამოუყოფდნენ, დანარჩენს კი სხვა ადგილებში აგზავნიდნენ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ნატურალური ღალის შესაგროვებელი ძირითადი ცენტრი იყო ბათუმი, ტრაპიზონი, ართაანი, ყარსი. ზ.ჭიჭინაძის ცნობით, ლივანას მხარის მურღულის ხეობის მოსახლეობა ნატურალურ გადასახადებს თვითონვე აგროვებდნენ და მათვე ჩამოჰქონდათ ბათუმში და უშუალოდ აბარებდნენ მთავრობის შესაბამის დაწესებულებებს[2].

გლეხობისათვის არანაკლებ მძიმე იყო აშარის ნაღდი ფულით გადახდა („თახშირი“). ფულის შოვნის მიზნით მათ ჭირნახულს ხშირად ჩალის ფასად ყიდულობდნენ ჩარჩ-ვაჭრები. მრავალ შემთხვევაში გლეხები გადასახადის გადახდისათვის საჭირო ფულად თანხას მაღალი პროცენტით მათგან სესხულობდნენ. მევახშეები და ჩარჩ-ვაჭრები სომხები და ებრაელები იყვნენ, რომლებიც ქარ-

1 ტრაპიზონის ვილაიეთის 1870 წლის წელიწდეული. ტ.2, შეადგინა ქუდრეთ ემიროღლიძ. ანკარა. 1994, გვ.195 (თურქულ ენაზე); პროცენტი გამოთვლილია ჩვენს მიერ.

2 ზ.ჭიჭინაძე, ოსმალეთის საქართველო. ტფილისი, 1914, გვ.116.

თველ გლეხკაცობას ტყავს აძრობდნენ უმოწყალოდ. მათ შესახებ შავშეთის მაგალითზე გ.ყაზბეგი წერდა: ,,ისინი (მევახშეები და ვაჭრები-ო.თ.) იმ დროს მოდიან, როცა მოსახლეობას გადახდის საშუალება არ აქვს. ამიტომ გამომსყიდველი ჩარჩები იტოვებენ ბეს – ფულს ან პროდუქტს, იმის მიხედვით, რა უფრო აწყობთ მათ''[1].

ლაზისტანის სანჯაყის მოსახლეობამ 1870 წელს აშარი გაიღო 1501,1 ათასი ყურუშის ოდენობით, რაც ყველა სახის გადასახადიდან შემოსული საერთო სახსრების 58,7%-ს შეადგენდა. ჩურუქ-სუს ნაჰიეში (უბანი) აშარაზე მოდიოდა საერთო გადასახადების 84% (81680 ყურუში), ზემო აჭარაში – 71,5% (58180 ყურუში), ქვემო აჭარაში – 63,4% (86496 ყურუში), მაჭახელში – 64% (44180 ყურუში), გონიოს ნაჰიეში – 59,6% (92680 ყურუში), ლივანას ყაზაში – 53,5% (378586 ყურუში), ხოფას ყაზაში – 53,3% (76180 ყურუში), ათინას ყაზაში – 66,9% (243229 ყურუში), ბათუმის ყაზაში – 34,1% (107180 ყურუში)[2].

მეფის რუსეთის სამხედრო კორესპონდენტი ა.ფრენკელი სამართლიანად შენიშნავდა, რომ საადგილმამულო გამოსაღები აშარი, განსაკუთრებით კი მისი ფულადი სახე (თახშირი) მოსახლეობის დრტვინვას იწვევდა[3]. ეს მართლაც ასე იყო. მის აუტანლობაზე მეტყველებს ოსმალეთის მთავრობის ოფიციალური სტატისტიკური მასალებიც. მაგალითად, 1870 წელს ლაზისტანის სანჯაყის თითო კომლზე საშუალოდ მოდიოდა 68,5 ყურუში. ზოგიერთ მაზრასა თუ რაიონში აღნიშნული მახასიათებელი კიდევ უფრო მაღალი იყო. მაგალითად, ჰემშინის ნაჰიეში აშარი თითო კომლზე მოდიოდა 902,3 ყურუში, ათინას ყაზაში (მაზრა) -- 106,2, ლივანაში – 86,3, არხავეს ნაჰიეში – 82,6, ბათუმის ყაზაში – 76 ყურუში.

მართალია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გამოსაღები აშარის განაკვეთები შედარებით დაბალი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, სავარგულები მწირი და მცირემოსავლიანი გახლდათ. მაგალითად, ზემო აჭარაში აშარის გამოსაღები თითო კომლზე მოდიოდა 30,2 ყურუში, მაჭახელში – 33,2, ქვემო აჭარაში – 47,4, გონიოს უბანში – 61, ჩურუქ-სუს ნაჰიეში – 56,5 ყურუში[4].

---

1 გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995, გვ.93.

2 ტრაპიზონის ვილაიეთის 1870 წლის წელიწდეული ტ.2, ანკარა, 1994, გვ.195 (თურქულ ენაზე); პროცენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.

3 А.Френкель, очерки Чурук-су и Батума. Тифлис, 1879, с.66.

4 გამოთვლილია: ტრაპიზონის ვილაეთის 1870 წლის წელიწდეული. ტ.2. ანკარა, 1994, გვ. 185, 195 (თურქულ ენაზე).

საადგილმამულო გადასახადის აჭარის შესახებ საინტერესოა გ. ყაზბეგის ცნობებიც, რომლებიც სახელოვანმა მამულიშვილმა შეკრიბა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისას. მისი ცნობით XIX საუკუნის 70-იან წლებში შავშელები ყოველწლიურად თახშირს (რუსულ ფულზე გადაყვანით) იხდიდნენ 10850 მანეთს, ხოლო ზემო აჭარის მოსახლეობა – 8400 მანეთს[1].

ასევე მძიმე იყო საძოვრებზე დაწესებული გადასახადები. ამ სახეობის გამოსაღები ოსმალეთში ცნობილია „აღნამ რუსუმათისა" და „მალ ვერგის" სახელით. პირველს ახდევინებდნენ წვრილფეხა პირუტყვზე (თხა, ცხვარი), მეორეს – მსხვილფეხა საქონელზე. გ.ყაზბეგის ცნობით, აჭარაში, შავშეთში, ლივანში, არტანუჯსა და ლაზეთში მოსახლეობა საძოვრებზე დაწესებულ გადასახადებს იხდიდა როგორც ნატურით, ისე ფულად. მაგალითად, წვრილფეხა პირუტყვის თითო სულზე იხდიდა 25 კაპიკს, ხოლო მსხვილფეხა რქოსან საქონელზე – 1,2-დან 1,8 კგ-მდე კარაქს. საერთოდ ფულადი სახით გადახდისას თითო სულ პირუტყვზე 3 ყურუშს ახდევინებდნენ[2].

საძოვრებზე არსებული გადასახადების სიმძიმეს ასევე მოწმობს ოსმალეთის მთავრობის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიც. მაგალითად, 1870 წელს ლაზისტანის სანჯაყში ამ სახეობის გამოსაღების ხვედრითი წილი მთლიანი გადასახადების შემოსავლებში 29,3%-ს აჭარბებდა (760261 ყურუში), საშუალოდ თითო კომლზე 34,7 ყურუში მოდიოდა. მსხვილფეხა პირუტყვზე („მალ-ვერგი") გადაიხადეს 631741 ყურუში, ხოლო წვრილფეხაზე („აღნამ რუსუმათი") – 128520 ყურუში. ლივანას ყაზაში მოსახლეობამ გაიღო 241823 ყურუში, ათინაში – 109065, არჰავეში – 93670, ჰემშინის ნაჰიეში – 73266, ხოფის ყაზაში – 60483, მაჰახელში – 22590, ზემო აჭარაში – 22605, ქვემო აჭარაში – 39020, ჩურუქსუში – 11330, ბათუმის ყაზაში – 28922, გონიოს ნაჰიეში – 57553 ყურუში[3].

XIX საუკუნეში კიდევ უფრო დამძიმებული ჩანს მეფუტკრეობასა და მეხილეობაზე დაწესებული გამოსაღებები. ხეხილის თითო ძირზე 2 ყურუშს ახდევინებდნენ, თაფლზე კი მეათედ გამოსაღებს. გ.ყაზბეგი გადმოგვცემს: „მეფუტკრეობა ძველთაგანვე შეადგენდა აჭარის სიმდიდრეს, ახლა კი უმნიშვნელოდაა განვითარებული,

---

1 გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995, გვ.64, 92.

2 ა.ფრენკელი, დასახ. ნაშრ., გვ.67; Г.Н. Казбек, военно-статистический и стратегический очерки Лазистанского санджака. Тифлис, 1876, с.67.

3 გამოთვლილია: ტრაპიზონის ვილაიეთის 1870 წლის წელიწდეული: ტ.2. ანკარა, 1994, გვ.185, 195 (თურქულ ენაზე).

რაც მეტისმეტად დიდი გადასახადების შემოღებით აიხსნება. საფუტკრე არსად მინახავს, ისე კი ამბობენ, რომ სკები მიმალული აქვთ ხშირ ტყეში, რათა თავი აარიდონ მეათედ გადასახადს. თაფლი თითქმის ყოველ ოჯახში აქვთ, მაგრამ ამით არ ვაჭრობენ"[1].

სულთნის მთავრობას ომებში ქართველობა ვერ მიყავდა, ან ძალზე ძნელად, ისიც უკიდურეს შემთხვევაში თუ გაიყვანდა. ამასთან დაკავშირებით ქართველ მოსახლეობას შეაწერეს გადასახადის განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც „დაბალაქი-ასქერი" ეწოდებოდა. ამ სახის გადასახადით დაბეგრილი იყო 23-დან 40 წლამდე ასაკის მამაკაცი. თითოეული მათგანი 27 ყურუშს იხდიდა[2].

გლეხობისათვის მძიმე და აუტანელი იყო შრომითი რენტაც (ბეგარა). საადგილმამულო რეფორმამდე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გლეხები ადგილობრივი ფეოდალების კაბალაში იმყოფებოდნენ: უსასყიდლოდ ამუშავებდნენ მათ მამულებს, უხდიდნენ განსაზღვრულ გადასახადს, უწევდნენ გარკვეულ მომსახურებას. თანზიმათის გატარების შემდეგ კი, როგორც ზემოთ ითქვა, გლეხობა განთავისუფლდა ფეოდალების ყმური დამოკიდებულებისაგან და სახელმწიფო დასახლების კატეგორიაში გადაიყვანეს.

ამიერიდან შრომითი რენტის ანუ ბეგარის დიდი ნაწილი სახელმწიფო სამუშაოებზე მოდიოდა. როგორც მთლიანად ოსმალეთის იმპერიაში, ისე მის მიერ დაპყრობილ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 16-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცი ვალდებული იყო წლის განმავლობაში ოცი დღე ემუშავა სახელმწიფო მნიშვნელობის გზებზე, ხიდებზე და სხვა. დღეში მხოლოდ სამასი გრამი პური ეძლეოდათ. ამ სამხედრო ბეგარას ემელიეს ეძახდნენ. ზემოდასახელებული სამხედრო ბეგარის მეშვეობით, მაგალითად, გაყვანილია ბათუმ-ყარსის გზა, აუგიათ სამხედრო მნიშვნელობის ციხე-სიმაგრეები თუ ნაგებობანი ბათუმსა და სხვა ადგილებში[3]. გლეხობას ხშირად იყენებდნენ სახელმწიფო მნიშვნელობის სეზონურ სამუშაოებზეც. მათ გამოყავდათ საკუთარი გამწევი ძალაც (ცხენები და ხარ-ურემი).

XIX საუკუნეში, წინა წლებთან შედარებით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, არაპირდაპირი გადასახადებიც გამრავლდა და დამძიმდა. ოსმალურ საგადასახადო ლექსიკონში შემოვიდა საბაჟო გამოსაღებთა ახალი ტერმინები: „იხთიზაბი", „ზებიე", „ჯევრიე",

---

1 გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995, გვ.58.

2 А.Френкель, Очерки Чурук-су и Батуми. Тифлис, 1879, с.66.

3 Г.Н.Казбек, военно-статистический и стратегическйй очерк Лазистанского санджака. Тифлис, 1876, с.37.

„აუმეთი", „რემში" და სხვა. იხთიზაბის სახელით ცნობილ გამოსაღებს ადგილობრივი ხელისუფალნი ახდევინებდნენ პირუტყვის გაყიდვისას ყოველ 40 ყურუშზე თითო ყურუშს. გამოსაღებ ზებიუს ფურზე ახდევინებდნენ. ჯევრიეს — ხილისაგან არაყის გამოხდაზე, თემეთს ვაჭრეში იხდიდნენ — სავაჭრო დუქანში შეფასებულ ყოველ ათასი მანეთის საქონელზე — ოთხ მანეთს. თუ დუქანის პატრონი იქ ცხოვრობდა, გადასახადი მეტი იყო.

რემში სასამართლო საბაჟო გამოსაღები იყო. მას ბრალდებული გაიღებდა ოთი ყურუშის ოდენობით. საბაჟო გამოსაღები დაწესებული იყო მარილისა და თამბაქოს გასაყიდად გატანაზე, სამასალე ხე-ტყეზე. ეს უკანასკნელი მასალის ღირებულების ერთ მეხუთედს შეადგენდა[1]. საგულისხმოა, რომ ტყის საბაჟო გამოსაღები ოსმალეთის მთავრობამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში შემოიღო, გარდა აჭარისა. აქ კი საბაჟო გამოსაღების შემოღების ცდელობას მოსახლეობამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ამის თაობაზე გ.ყაზბეგი გადმოქვცემს: „აჭარლები წინ აღუდგნენ ტყის მცველების დანიშვნას, რაც სხვა პროვინციებში უკვე შემოღებულია. მოსახლეობას დაეკისრა აგრეთვე ზაფთიებისა და მიკრიკების საგზაო ხარჯები, საღერბო გამოსაღები მიწის ნასყიდობისა და სხვა საბუთების გაფორმებისათვის და ა.შ.[2]

სულთნის მთავრობა ანგარიშს არ უწევდა გლეხკაცის გაჭირვებას, უწინარესად მოუსავლიანობას, რაც არც თუ ისე იშვიათობა ყოფილა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. პირიქით, მთავრობა ბეგარა-ვალდებულებებსა და გადასახადებს სისტემატურად ზრდიდა. მაგალითად, 1865-1871 წლებში ლაზისტანის სანჯაყში გადასახადები და გამოსაღებები 3-ჯერ და მეტად გაიზარდა (53245-დან 168571 მანეთამდე)[3]. ერთობ გამონაკლისი იყო აჭარა და მაჭახელი, სადაც სახელმწიფო საადგილმამულო გადასახადები სხვა პროვინციებთან შედარებით დაბალი იყო. გ.ყაზბეგის ცნობით „გადასახადები ზემო აჭარაში, თურქეთის საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით მძიმე არაა, რადგან მთავრობას აქამდე ვერ გაუბედავს შემოიღოს იჯარის ის საერთო წესი, რომელიც ტარდება შავშეთში, არტანუჯში და სხვა ადგილებში"[4].

თუ გავითვალისწინებთ აჭარისა (ზემო და ქვემო) და მაჭახლის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს — მთაგორიან რელიეფს, მცირე-

---

1 А.Френкель, очерки Чурук-су и Батума. Тифлис, 1879, გვ.67-68; გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995, გვ. 64-65.

2 გ.ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., გვ.64.

3 ა.ფრენკელი, დასახ. ნაშრ., გვ.68.

4 გ.ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 64, 65.

მიწიანობას, მოსახლეობის სიმჭიდროვეს, ნათელი გახდება, თუ რაოდენ მძიმე და აუტანელი იყო ამ კუთხეებში არსებული ოსმალური ბეგარა-გადასახადები. გლეხკაცობას სულს უხუთავდა ადგილობრივი ბეგების თვითნებობაც.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გლეხობის ექსპლუატაციას კიდევ უფრო ამძიმებდა საგადასახადო უწყების მოხელეთა თვითნებობა და საერთო განუკითხაობა. ოსმალეთში საგადასახადო უწყება ურთიერთგადახლართულ და იერარქიაზე აგებულ სისტემას წარმოადგენდა. ამ სისტემის სათავეში სულთანი იდგა. იერარქიის მომდევნო საფეხური იყო იმპერიის სპეციალური ცენტრალური საგადასახადო უწყება — სავაზირო. ვილაიეთებში გადასახადების საქმეს ფაშა განაგებდა, სანჯაყებში — სანჯაყის უფროსი, ყაზებში — ყაიმაყამი, ნაჰიეში — მუდირი, სოფლად — მუხტარი.

ოსმალეთის საგადასახადო უწყება მოხელეთა დიდ ჯგუფს აერთიანებდა. იგი ქართულთან შედარებით უმძიმესი იყო. ტრაპიზონში ინგლისის კონსული ჯ.პალგრევი გადმოგვცემს, რომ ლაზისტანის სანჯაყში გადასახადების სიმძიმესა და აუტანლობას ხალხი მძვინვარებამდე მიჰყავდაო[1]. მოხელეთა თვითნებობის შესახებ გ.ყაზბეგიც შენიშნავდა. იგი აღნიშნავდა, რომ შავშეთ-იმერხევის მუდირმა ქიბარ-აღამ თვითნებურად დაბეგრა სოფლები სამ-სამი ყურუშით, როგორც თავისი შრომის გასამრჯელო. ქიბარ-აღა თვითონ ძარცვავს ხალხს, არ ერიდება ნახევრად ოფიციალური გადასახადების შემოღებას[2].

ოსმალური აგრარული პოლიტიკის, უწინარესად მძიმე გადასახადების შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში წარმოებას არ ჰქონია განვითარების შინაგანი წყარო, იგი მოკლებული იყო ყოველგვარ სტიმულს. ამის გამო საგრძნობლად დაქვეითდა ქართული მეურნეობის ისეთი ტრადიციული დარგები, როგორიცაა მეფუტკრეობა, მებაღეობა, პურეული კულტურების მოყვანა, მესაქონლეობა. მევენახეობა-მეღვინეობა კი მთლიანად გადაშენდა. ერთი სიტყვით, ოსმალური აგრარული პოლიტიკის განხორციელება ქართველების არა მარტო მატერიალური გაღარიბების, არამედ აგრეთვე ფიზიკური და სულიერი გადაშენების მომასწავებელი იყო.

---

1 ИКОИРГО, книжка VII-VIII, 1882-1883, с. 49.

2 გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995, გვ.93.

## 2. სამამულო განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერება

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველობამ ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ დიდი ბრძოლები გადაიტანა და დიდძალი მსხვერპლიც გაიღო. ეს ბრძოლა თავისი ხასიათით სამამულო განმათავისუფლებელი იყო. მასში განმსაზღვრელი მდგომარეობა დაიკავა აგრარულმა მოძრაობამ, რომელიც გადანასკვული იყო საერთო ეროვნულ და პოლიტიკურ ბრძოლასთან. ცხადია, კოლონიურ მონობაში მყოფი ხალხისათვის ადგილ-მამულის დაცვა, ურჩობა დამძიმებული ბეგა-რა-გადასახადების ამოღების თაობაზე მოასწავებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ფორმის გამოვლენას.

ოსმალებმა ვერ გატეხეს ქართველების წინააღმდეგობა. რაც უფრო დამამძიმებელი ხდებოდა კოლონიური ბატონობა და მძაფრდებოდა სულთნის მთავრობის რეჟიმი, მით უფრო ძლიერდებოდა სამამულო-განმათავისუფლებელი ბრძოლა. ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ გამოსვლები, მამულისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა საყოველთაო და სისტემატური ხასიათს იძენდა. მართალია, ამ ბრძოლების მრავალი ფაქტი ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, მაგრამ დღემდე გამოვლენილი მასალები ცხადყოფენ სამამულო განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართო მასშტაბსა და სიმძლავრეს. ამ გამოსვლებიდან აღსანიშნავია 1604 წლის აჯანყება. მის სიმძლავრესა და ერთსულოვნებას ისიც მოწმობს, რომ იგი ადგილობრივი სადამსჯელო ძალებით ვერ ჩააქრეს. სულთანი ახმედ I (1603-1617 წწ.) იძულებული გახდა გადმოესროლა ფეხით თავამდე შეიარაღებული სადამსჯელო რაზმი, რომელსაც თავისი ვეზირი ხასან ფაშა ხელმძღვანელობდა.

აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდნენ, მაგრამ აღელვებული ხალხის დაშოშმინება, მათი წინააღმდეგობის გატეხვა მაინც ვერ შეძლეს. აჯანყების ხანძარი ისევ გიზგიზებდა, რამდენადაც სულთნის მთავრობა არ ეშვებოდა ხალხის გაძვალტყავებას. XVII საუკუნის სახალხო მღელვარებათა შორის ყველაზე ძლიერი იყო გამოსვლები ზემო და ქვემო აჭარაში 1680 წელს, ლივანის (ლიგანის) ხეობაში — 1685 წელს, შავშეთში — 1690 წელს. განსაკუთრებით მძლავრი იყო 1697 წლის გამოსვლა, რომელიც მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოიცავდა[1].

ქართველობა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა შესაძლო

---

1 ხ.ახვლედიანი, აჭარა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ბათუმი, 1946, გვ.18, 36, 37; XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტების წყაროები. თბ., 1987, გვ.7.

ძალასა და საშუალებას მიმართავდა. საგულისხმოა, რომ 1647 წელს კაზაკებმა გონიოს ციხე დაიკავეს და იქ მყოფი ოსმალთა ჯარი გააძევეს. ოსმალებმა თავისი სამხედრო ძალების მობილიზაცია მოახდინეს და გონიოს ციხის გასათავისუფლებლად დაიძრნენ. ქართველები შეეცადნენ კაზაკები გამოეყენებინათ ოსმალთა მოძალადეების წინააღმდეგ საბრძოლველად. ზღვიდან გონიოს ციხეს მოადგა ლაზების 40-50 ნავი, რომლებშიც იმყოფებოდა ათობით შეიარაღებული ქართველი. ევლია ჩელების ცნობით „ესენი იყვნენ ურჩი აზნაურები, რომლებიც ციხეში მყოფი კაზაკების დასახმარებლად მოდიოდნენ[1].

თურქი მოგზაური, რომლებიც ამ ამბების თვითმხილველი იყო, აღნიშნავს, რომ გონიოს ციხესთან „საღამომდე გაგრძელებული დიდი ბრძოლები შეიქმნა"[2]. უთანასწორო ბრძოლაში ქართველები და კაზაკები დამარცხდნენ, მაგრამ ოსმალთა ჯარმაც დიდი დანაკლისი განიცადა. ოსმალებმა დაარბიეს, ააოხრეს და გაძარცვეს ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობები, ბათუმის მიდამოები, გურია და სამეგრელო. გონიოსა და ბათუმის მიდამოებში ოსმალთა დიდძალი ჯარი შემოვიდა არზრუმიდან, თორთომიდან, ახალციხიდან, ტრაპიზონიდან. ოსმალეთის ჯარის სარდალმა სეიდ ახმედ-ფაშამ, რომელიც გონიოს ციხესთან კაზაკებისა და ქართველების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციას ხელმძღვანელობდა, სამხედრო ლაშქარი ბათუმის სანჯაყიდანაც გადმოიყვანა. ჯარისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე მოსახლეობას შეაწერეს და ძალადობით წაგლიჯეს. ამის შესახებ ევლია ჩელები წერდა: ბათუმისა და გონიოს მიდამოებში ჯარის დაბანაკების მეორე დღეს „მოსვლა იწყო სურსათმა გურჯისტანის, სამეგრელოს, ბათუმისა და ლაზისტანის სანჯაყებიდან[3]. ცხადია, ეს იყო მოსახლეობისაგან ძალადობით ამოღებული ნადავლი.

ოსმალებმა ამ ლაშქრობის დროს საშინლად ააწიოკეს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაც. ამ ავბედით აქციაში აქტიურად მონაწილეობდა ქართველი რენეგატი საფარ-ფაშა ჯაყელი, რომელიც 1628-1651 წლებში ახალციხის (ჩილდირის) ვილაიეთს განაგებდა ვეზირის ტიტულით. სულთნის წყალობით გალაღებული საფარ-ფაშა არაერთხელ დასხმია თავს საქართველოს პროვინციებს. 1647 წელს მან ბათუმის მხარის, გურიისა და სამეგრელოს სოფლები ააწიოკა. ამის შესახებ ევლია ჩელები წერდა: მდინარე ჭოროხს რომ გავდიოდით, საფარ-ფაშამ დაიწყო

---

1 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, I, ქართული თარგმანი, თბ., 1978, გვ.326.

2 იქვე, გვ.327.

3 იქვე, გვ.324, 327.

სამეგრელოს აწიოკება. მეგრელები მთებში გაიხიზნენ. ოსმალები მთებს შეესივნენ და დიდი ბრძოლები გაიმართაო[1]. XVII საუკუნეში მოღვაწე თურქი ისტორიკოსები სამეგრელოს მხარედ გულისხმობდნენ ზღვისპირა ტერიტორიას, რომელიც მდებარეობდა მდინარე ჭოროხიდან ფოთამდე[2].

ოსმალეთის მიერ საქართველოს მხარეების აოხრების ერთობ მწირ, მაგრამ საყურადღებო ცნობას ვხვდებით ქაიბ ჩელების ნაშრომში. მისი გადმოცემით 1648-1649 წლებში სულთანმა საქართველოში სალაშქროდ ახმედ-ფაშა გამოგზავნა. ჯალათმა აიღო და მოაოხრა ციხე-ქალაქები. მათ შორის ორი ციხე თორთომის მახლობლად[3]. აღნიშნულ წლებში მდინარე ჭოროხის მხარე, მათ შორის თორთომი ოსმალთა ბატონობაში იმყოფებოდა. სავარაუდებელია, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა აჯანყებული ან ურჩი მოსახლეობის დამორჩილებას. ამ ურჩობის ძირითადი მიზეზი იყო მეტად მძიმე ბეგარა-გადასახადები, რისი ამოღებასაც მთავრობა ძალადობით ცდილობდა.

XVIII საუკუნიდან ოსმალეთის მთავრობამ დააჩქარა დაპყრობილი ქართული ტერიტორიების გაოსმალებისა და გამუსლიმანების პროცესი. ამ ავბედით განზრახვას ქართველების მხრიდან მედგარი წინააღმდეგობა მოჰყვა. მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლებს სისტემატური და შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა. ქართველები თავს ესხმოდნენ იმ ციხე-სიმაგრეებს, სადაც დაბანაკებული იყო ოსმალთა ჯალათები. 1723 წელს ქართველებმა მძლავრი გამოსვლა მოაწყვეს ოსმალთა წინააღმდეგ ბათუმში, გონიოსა და სხვა კუთხეებში. აჯანყებულებს მიეშველენ გურიისა და სამეგრელოს თანამოძმეები. მათ ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად საზღვაო ხომალდებიც კი გამოიყენეს.

ოსმალეთის სულთნის 1723 წლის 8 აგვისტოს ბრძანებაში აღ-

---

1 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, I, ქართული თარგმანი, თბ., 1978, გვ.331-332.

2 ქათიბ ჩელები, რომელიც ევლია ჩელების თანამედროვე იყო, მეგრელთა ტერიტორიად თვლიდა ბათუმ-ქობულეთსა და გურიას. იგი თავის ნაშრომში აღნიშნავდა: „დადიანი შავი ზღვის სანაპიროსთან ახლოს, აბაზას მოსაზღვრე ქვეყანაა... მისი ერთი მხარე ფოთის მდინარეს (რიონს-ო.თ.) აღწევს.

მეგრელი-მხარეა შავი ზღვის სანაპიროზე. მდებარეობს იმ ადგილას, სადაც ფოთის მდინარე შავ ზღვას ერთვის. მისი საზღვარი გონიოს ემიჯნება (იხ. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და ამერკავკასიის შესახებ. ქართული თარგმანი. თბ,. 1978, გვ.136).

3 ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ. ქართული თარგმანი. თბ., 1978, გვ.136.

ნიშნულია, რომ ქართველი ტომები გაერთიანდნენ და განზრახული აქვთ გონიოს, ბათუმისა და სხვა ციხე-სიმაგრეებსა და მათ გარშემო მდებარე სოფლებს „ზიანი და უბედურება" მიაყენონ. იგი ავალებდა ტრაპიზონის ვალს მუსტაფა-ფაშას და გონიოს სანჯაყის მუთესარიფს მეჰმედს სადამსჯელო ძალების მობილიზებას და დაცვის გაძლიერებას. სულთანი მათგან ხომალდებისა და ნავების აგებასაც მოითხოვდა, რათა აღეკვეთათ ქართველების მძლავრი გამოსვლები[1].

მძლავრი იყო 1754 წლის აჯანყება, რომელსაც სულეიმან ნიბაძე ხელმძღვანელობდა. იგი წარმოშობით შავშეთიდან იყო. ჯაყელების საგვარეულოს ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ სულეიმან ნიბაძე აჭარის გამგებელი გამხდარა და ოსმალებს შიშის ზარს სცემდა. აჯანყებული აჭარლების წინააღმდეგ ოსმალეთის მთავრობამ მრავალრიცხოვანი ჯარი შემოიყვანა და აჯანყება მთელი სისასტიკით ჩააქრო, ხოლო სულეიმან ნიბაძეს იმავე წელს თავი მოკვეთეს. ოსმალთა წინააღმდეგ აჭარელთა მძლავრი გამოსვლა 1763 წელსაც აღინიშნა[2].

აჭარაში ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლების შესახებ „ახალციხის ქრონიკებში" ნათქვამია: 1774 წლის 17 მაისს „აჭარის ილქის შეყრა იოქვა და დახოცვა" შემდეგ აღნიშნულია, რომ „1774 წლის 19 მაისს ოლქთაგან ფაშის გაქცევა და ჯარის დახოცვა იოქვა"[3].

ეს ცნობა მწირი, მაგრამ საინტერესო და მრავლისმეტყველია. გასაგებია, რომ 1774 წელს აჭარაში დიდი აჯანყება მომხდარა. იგი დაიწყო 17 მაისს და იმავე დღეს სისხლიც დაღვრილა, ე.ი. ადგილი ჰქონია ხოცვა-ჟლეტას. 19 მაისს აჯანყებულ აჭარლებს ოსმალთა ჯარი დაუხოცავთ, ე.ი. გაუნადგურებიათ. ამას მოწმობს „ქორონიკონში" მოცემული სიტყვები: „ჯარის დახოცვა". ფაშამ გაქცევით უშველა თავს. ვინ იყო ეს ფაშა, ამაზე „ქორონიკონში" არაფერია ნათქვამი. ცხადია, აჭარაში ოსმალთა ჯარი შემოსული იყო მოსახლეობის დასასჯელად ურჩობისთვის. ეს ურჩობა გამოიხატებოდა გადასახადებსა და ბეგარა-ვალდებულებებზე უარის თქმაში.

XIX საუკუნიდან დაწყებული, ვიდრე ოსმალთა ბატონობისაგან გამოხსნამდე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ბრძოლა მამულისა და თავისუფლებისათვის კიდევ უფრო მძლავრი გახდა. ამ ბრძოლაში ჩაბმული იყო ქართველობის ყველა სოციალური

---

1 ოსმალთა დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII სს.). თბ., 1982, გვ.102-103.

2 ხ.ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ.19, 37.

3 შ.ლომსაძე, ახალციხის ქრონიკეში. თბ., 1977, გვ.144-145.

ფენა. ამ ხანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ედგა ხიმშიაშვილების საგვარეულო. სწორედ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა სელიმ ხიმშიაშვილი. მისი უფროსი ვაჟი — ახმედი 1815, 1816, 1819 წლებში აჭარაში ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებებს ხელმძღვანელობდა.

მაგრამ რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შემდეგ ახმედ ხიმშიაშვილის პოზიცია რადიკალურად შეიცვალა. ეს ცვლილება განაპირობებული იყო რუსეთის სარდლობის უგუნური მოქმედებით და თურქეთის მთავრობის დაყვავების პოლიტიკით. 1828-1829 წლების ომის დროს რუსეთის სარდლობა შეეცადა აჭარის ძალით დაპყრობას, რის გამოც, ჩაიშალა ახმედ ხიმშიაშვილთან რუსეთის სამხედრო უწყების მიერ დაწყებული საიდუმლო მოლაპარაკება. მეორეს, ოსმალეთის მთავრობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ხიმშიაშვილების საგვარეულოს აღზევებისათვის. მათი გადმობირებისა და გაერთგულების მიზნით სელიმ ხიმშიაშვილების შვილებს მაღალი სამოხელეო თანამდებობები და ადგილ-მამულები უბოძეს.

ასეთ პირობებში ხიმშიაშვილები გვევლინებიან სულთნის მთავრობის პოლიტიკის აქტიური გამტარებლები. ყველაზე მეტად გამოირჩეოდა ახმედ სელიმისძე ხიმშიაშვილი. თურქი სახელმწიფო მოხელეები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გადასახადების ამოსაღებად ძნელად შედიოდნენ. ეს მხარე ფაქტობრივად ვასალურ მდგომარეობაში იყო. საყურადღებოა და თანაც საკამათო გ.ყაზბეგის შეხედულება. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის შედეგად იგი წერდა: თანზიმათამდე „აჭარა ფაქტიურად თურქეთის ვასალური სამფლობელო იყო და მას ხიმშიაშვილების ბეგური გვარი მართავდა. ამ ბეგური გვარის ყველაზე გავლენიანი წევრი — ახმად-ფაშა იყო აჭარაში თურქეთის სახელმწიფოს უფლებათა პირველი გამტარებელი. სულთნის წყალობით გულმოგებულმა ბეგმა, რომელიც თურქეთის საქართველოს ნამდვილი ბატონ-პატრონი იყო, პირველმა შემოიღო აქ გადასახადები. მისი მფარველობით მოვიდნენ აჭარაში პირველი თურქი მოხელეები"[1].

გ.ყაზბეგის ეს მოსაზრება მთლიანობაში აღებული სიმართლეს არ შეიცავს. მართალია, ახმედ ხიმშიაშვილმა სულთნის მთავრობის მოხელეებს ფართოდ გაუღო აჭარის ხეობის კარები, მაგრამ ოსმალებმა გადასახადები აჭარაში, როგორც მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ამ მხარის დაპყრობისთანავე შემოიღეს. ვასალური ქვეყანა სწორედ იმას ნიშნავდა, რომ იგი მოხარკე იყო. სხვანაირად მის დაპყრობას აზრი არ ჰქონდა.

---

1 გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995, გვ.62-63.

გლეხობას ბრძოლა უხდებოდა ორ ფრონტზე. ერთი მხრივ იბრძოდა ოსმალეთის მთავრობის მოხელეების, ხოლო მეორე მხრივ ადგილობრივი ფეოდალების (აღა-ბეგების) წინააღმდეგ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში აჭარაში გლეხთა გამოსვლებს ხელმძღვანელობდნენ მდაბიო ფენებიდან გამოსული პირები: მემედ ბერიძე (ჩახალოღლი), ყიზეთ დვალიძე (შამბაშიოღლი), ახმედ კიკნაძე (კიკინოღლი) და სხვა. მათ ჩამოაყალიბეს გლეხთა შეიარაღებული რაზმები, რომლებიც იცავდნენ მოსახლეობას ოსმალოს ჯალათებისა და ადგილობრივი აღა-ბეგების თვითნებობის, ბეგარა-გადასახადების დამძიმების, სოფლების დარბევა-აწიოკებისაგან.

ახმედ კიკნაძე იყო ქვემო აჭარის სოფელ კიბეს მაცხოვრებელი. ზ.ჭიჭინაძის ცნობით, მისი შეიარაღებული რაზმი 100 კაცისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ გაბედული ახალგაზრდები, რომლებიც თავს ესხმოდნენ თურქეთის მთავრობის მოხელეებს და მათ მომხრე ბეგებს. ყიზეთ დვალიძის შესახებ ზ.ჭიჭინაძე წერდა, რომ იგი ცხოვრობდა XIX საუკუნის 40-იან წლებში. ყდვალიძე ქვემო აჭარის სოფელ სალორეთიდან იყო. მას მტრებმა ყაჩაღის სახელი დაუგდეს, მაგრამ იგი ყაჩაღი არ ყოფილა. ყდვალიძე იყო დაუძინებელი მტერი სულთნის მთავრობის მოხელეებისა და მისი ერთგული ადგილობრივი ბეგებისა. იგი ყოფილა არსენას მზგავსი კაცი[1].

მემედ ბერიძე (ჩახალოღლი) იყო ქვემო აჭარის სოფელ ზვარედან. მისი შეიარაღებული რაზმი ასევე მამაცურად ებრძოდა ოსმალეთის მოხელეებს და ადგილობრივ ფეოდალებს (ხიმშიაშვილებს, ბეჟანიძეებს). მ.ბერიძის შესახებ პეტრე უმიკაშვილმა 1859 წელს თბილისში ჩაიწერა ხალხური ლექსი, რომელიც მას უამბო ქვემო აჭარის სოფელ მერისის მაცხოვრებელმა. მისი შინაარსის გაცნობის შედეგად ნათელი ხდება, რომ აჭარაში XIX საუკუნის დასაწყისში ადგილი ჰქონდა მძლავრ აჯანყებას (ოლქობას). ამ გამოსვლას მემედ ბერიძე (ჩახალოღლი) ხელმძღვანელობდა. მისი მისამართით ხალხურ ლექსში ნათქვამია; „ფაშას ყულე (ციხე-სიმაგრე-ო.თ.) დეუნგრიე, სასახლეს გეუღე კარი." ზემო მოხსენიებული ფაშა იყო სელიმ ხიმშიაშვილი, რომელიც მაშინ ახალციხის საფაშოს განაგებდა. დიდი ბრძოლები გამართულა, რასაც მოწმობს ხალხური ლექსის შემდეგი სტროფი; „აჭარა დასწვა, დალაგა, ზეცას ადის მათი ალი." სელიმ ხიმშიაშვილი აღნიშნული აჯანყების ჩაქრობას აპირებდა მემედ ბერიძესთან შერიგებით, როგორც ლექსშია ნათქვამი „სელიმი შერიგებას მოითხოვდა, როგორც ორი ძმანი"[2].

---

1 ზ.ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. ტიფლისი, 1916, გვ.83-86.

2 პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება. თბ., 1964, გვ.142.

XIX საუკუნის 40-70-იან წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა. ამის საფუძველიც არსებობდა: ახალი საადგილმამულო რეფორმა, გადასახადების დამძიმება, ჯარში ახალგაზრდობის მასობრივად გაწვევა. საადგილმამულო რეფორმით ყველაზე მეტად დაზარალებული რჩებოდნენ ალა-ბეგები. მათი მამულები ყმა-გლეხებიურთ სახელმწიფო საკუთრებაში გადადიოდა და შემოსავალს კარგავდნენ. ადგილ-მამულზე ალა-ბეგების სამემკვიდრეო უფლებები მნიშვნელოვნად მცირდებოდა. მიწების მფლობელობა-სარგებლობისათვის სახელმწიფო გადასახადებიც კი შეაწერეს.

ცხადია, ასეთ პირობებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აგრარული მოძრაობა საგრძნობლად გაფართოვდა. მოძრაობაში ალა-ბეგებიც ჩაებნენ. აჭარაში აგრარული მოძრაობის წინამძღოლები ყოფილან ხუსეინ სელიმისძე ხიმშიაშვილი, შერიფ-ბეგის მეუღლე დუდა ბეჟანიძე, ხასან ბეჟანიძე, ხუსეინ შერვაშიძე, სული-ბეგ ავალიანი, შავშეთ-იმერხევში — სელიმ და ნური ხიმშიაშვილები.

XIX საუკუნის 40-იან წლებში ყველაზე მძლავრი გამოსვლა მოხდა 1844 წელს. აჯანყება დაიწყო მარტში და სექტემბრის ბოლომდე მიმდინარეობდა. მისი გამომწვევი მიზეზი იგივე იყო, რაც ადრინდელი გამოსვლების დროს ყოფილა. 1843 წელს მოსახლეობამ გადასახადები არ გადაიხადა და ჯარში გაწვევაზეც კატეგორიული უარი განაცხადა. გაძვალტყავებულ გლეხობას გადასახადების გაღების საშუალებები არ გააჩნდა, ამასთან ერთად ხალხს დიდად აწუხებდა ჯარში გაწვეული ახალგაზრდების ბედი, ვინაიდან მათი ნაწილი უაზროდ იხოცებოდა ოსმალეთის დამპყრობლურ ომებსა და განმანთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციებში. მოსახლეობის წუხილი მთავრობამ აინუნშიც არ ჩააგდო. 1844 წელს გადასახადები გაადიდეს და ჯარში გასაწვევი კონტინგენტიც გაზარდეს.

აჯანყება მასობრივი, ერთსულოვანი და საკმაოდ ორგანიზებული იყო. მას სათავეში ჩაუდგნენ ჩინგარ-ოღლი და სული-ბეგ ავალიანი. პირველი გახლდათ ქვემო აჭარის სოფელ მერისიდან, ხოლო მეორე — დანდალოდან. ჩინგარ-ოღლი ითვლებოდა ოსმალეთის რეგულარული არმიის (ნიზამი) წევრად, სული-ბეგ ავალიანი — არარეგულარული (ბაში-ბუზუკი) არმიისა[1].

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო აჯანყებულების დაშოშმინება. მაშინ ყარსის ფაშამ ზემო აჭარაში გამოაგზავნა სამხედრო შენაერთი, რომელსაც თურქეთის რეგულარული არმიის

---

1 სცსსა, ფ. 16 ან. 1, ს. 8035, ფურც. 1-11 (აღნიშნული მასალა დაცულია აგრეთვე აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში (იხ. საქმე 325).

ოფიცერი, ეროვნებით სომეხი ვინმე აღასი მეთაურობდა. მოძალადენი იარაღის ჟღარუნით შეეცადნენ ხალხის დაშინებას, მათი წინააღმდეგობის გატეხვას. მაგრამ ამაოდ.
აჯანყებულებმა ხალხმრავალი კრებები გამართეს სოფელ დანდალოში, ქვანის, სხალთისა და მირეთის ხეობებში. აჯანყებაში ხუთი ათასამდე კაცი მონაწილეობდა. მათ ხელში ალყაში მოაქციეს ზემო აჭარის მმართველის ახმედ ხიმშიაშვილის ქვრივის დუდა ბეჟანიძის რეზიდენცია, სადაც თავს აფარებდა ოსმალეთის არმიის ოფიცერი აღასი. იგი მალულად ფანჯრიდან გადახტა და დარეტიანებული გაიქცა.
აჯანყებულები დუდა ბეჟანიძეს თხოვდნენ: ყარსის ფაშას წინაშე ოფიციალურად დაეყენებინა საკითხი იმის შესახებ, რომ აჭარლებისათვის გადასახადები და ჯარში გაწვევა გაეუქმებინა. თუ ეს ასე არ მოხდებოდა, მაშინ ისინი თურქეთის მთავრობას შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევდნენ[1]. ამ თხოვნიდან არაფერი გამოვიდა. ყარსის ფაშამ ყურად არ იღო ხალხის მოთხოვნა.
ამის შემდეგ აჯანყებულმა მოსახლეობამ ფულის შეგროვება დაიწყო, რათა დეპუტაცია გაეგზავნათ კონსტანტინეპოლსა და არზრუმში. სულთნის სახელზე დაწერილ თხოვნაში ისინი წერდნენ: აჭარა მცირემიწიანი ქვეყანაა, მესაქონლეობა განუვითარებელია, სხვა შემოსავალი არ გვაქვს, უკიდურეს სიღარიბეში ვიმყოფებით და გადასახადების გადახდა არ შეგვიძლია[2].
ამ თხოვნამ ასევე არ გაჭრა. არზრუმის ფაშა კვლავ შეეცადა აჯანყებულების დაშინებას. მოსახლეობას გამოუცხადეს: თუ გადასახადებს არ გადაიხდიან და ჯარში ახალგაზრდობას არ გააგზავნიან, მაშინ სოფლებს დაარბევდნენ და აჯანყებულებს ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ. ამ მუქარით აჯანყებულები არ შეშინებულან.
ოსმალეთის მთავრობას გამოუვალი მდგომარეობა შეექმნა. იგი იძულებული იყო გარკვეულ დათმობაზე წასულიყო. 1844 წლის ზაფხულის ბოლოს აჭარა (ქვემო და ზემო), მაჭახელი და ლივანა არზრუმის ვილაიეთიდან ტრაპიზონის ვილაიეთის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაიყვანეს. თურქეთის არმიაში გაწვევა გააუქმეს და გადასახადებიც შეამცირეს. ხალხმა თავისი გაიტანა და აჯანყება სექტემბერში გამარჯვებით დამთავრდა[3].
1844 წელს ასევე მძლავრ გამოსვლას ადგილი ჰქონდა შავშეთიმერხევში. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა სელიმ აბდის-ძე ხიმშიაშ-

1 იქვე, ფურც. 10-11.
2 იქვე, ფურც. 8.
3 იქვე, ფურც. 19-37.

ვილი. მოძრაობა მიმართული იყო ოსმალეთის მთავრობის საადგილმამულო რეფორმის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა სულთნის მოხელეები გააძევეს, შემდეგ ფოცხოვში გადავიდნენ, სადაც დაატყვევს იქაური თურქი ფაშა.

